www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

ხუთშაბათი 9 აპრილი, 2009 წელი. №78 (2116)
ფასი 50 თეთრი
© გაზეთი 24 საათი

"24 საათის" ფიჭქიანი ნომერი
*2424

ერაყის ბედი ერაყელების ხელში
A7



შედარებითი სიმშვიდე მოლდოვაში
A8



დღეს ცხრა აპრილია
A10



# აქცია დანის პირზე

ეკა კვესიტაძე

**"თუ იტყვი, რომ სააკაშვილი უნდა წავიდეს, მაგრამ ის არ წავა, მაშინ რას აკეთებ? მაშინ მოგიწევს რეპუტაციის გადარჩენა, ეს კი ცალსახად ადასტურებს იმას, რომ დაძაბულობა რაღაც სახის ძალადობაში გადაიზრდება,"** - ამბობს ჯონ ჰოპკინსის ცენტრალური აზიის და კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი ექსპერტი სვანტე კორნელი 9 აპრილს დაგეგმილი აქციაზე საუბრისას.

რა იქნება მერე და იქნება თუ არა ძალადობა, სააკაშვილი რომ არ გადადგეს? - ეს კითხვა, რა თქმა უნდა, მხოლოდ სვანტე კორნელს არ აწუხებს. ეს კითხვა იმდენ ადამიანს აწუხებს, რომ ზოგჯერ შთაბეჭდილება რჩება - 9 აპრილის მოლოდინი (ან შიშნარევი ან ენთუზიზმით სავსე) უფრო დიდია, ვიდრე თავად ამ დღეს დანიშნული აქციის მნიშვნელობა.

აპოკალიპსური დატვირთვა ამ თარიღს პირველად ოპოზიციის ერთმა ნაწილმა მიანიჭა, როცა თქვა, რომ 9 აპრილს სააკაშვილის ხელისუფლების დასასრული დადგებოდა. ერთ დღეში ხელისუფლების შეცვლის პირობის დადება ოპოზიციის მხრიდან ან სრული ბლეფი იყო ან მას მართლაც ძალიან სერიოზული საფუძველი ჰქონდა ასეთი ხმამაღალი განცხადების გასაკეთებლად.

თუ ჩვენი ოპოზიციური პარტიების მუდმივ რადიკალურ, თუმცა ფუყე რიტორიკის მოკლე ისტორიას გავიხსენებთ, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ბლეფს უფრო ჰგავდა და ჰგავს, ვიდრე საფუძვლიან მუქარას. ამიტომაც იყო, რომ ოპოზიციის ერთი ნაწილი, "ალიანსის" სახით, 9 აპრილის საკრალურ დღედ გამოცხადებას თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ოკუპაციის "სიკეთეები"

დიმიტრი ავალიანი

*დამოუკიდებელი რუსული გაზეთის "ნოვაია გაზეტას" კორესპონდენტი ელენა მილაშინა აგვისტოს ომის შემდეგ ცხინვალის რეგიონში იმყოფებოდა. რუსი ჟურნალისტი "24 საათს" რუსული პროპაგანდის სიცრუეზე, ოკუპირებულ რეგიონში გამეფებულ კორუფციასა და განუკითხაობაზე და ცხინვალის არშემდგარ "აღორძინებაზე" ესაუბრა. მისი თქმით, ომი რუსეთმა დაიწყო, თუმცა, მალევე დაივიწყა მის მიერ "გადარჩენილი" მოსახლეობაც და საკუთარი ჯარისკაცებიც. დღეისთვის მოსკოვის მთავარი ინტერესი კონფლიქტის ზონაში ლოიალური რეჟიმი და თანხების მოპარვის შესაძლებლობაა.*

**- როდის მოხვდით ცხინვალის რეგიონში?**

- სექტემბერში. მაშინ იქ ერთ კვირას დავრჩი. ვიყავით ცხინვალში, ვნახეთ ის, რაც დაინგრა.

გაგრძელება A3 გვერდზე


მიხო კოტეტიშვილის ფოტო
ელენა მილაშინა

# პროტესტი დამკვირვებელთა პრიზმაში

დათო გამისონია

*არასაპარლამენტო ოპოზიცია დღეს დაწყებული აქციების გაგრძელებას საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომამდე აპირებს. ორგანიზატორი პოლიტიკური პარტიები პარლამენტის შენობასთან შეკრებილ მომიტინგეებს ოთხი ადგილიდან შეუერთდებიან.*

9 აპრილის საპროტესტო აქციის მონაწილეები 12:00-დან 13:00 საათამდე შეიკრიბებიან მეტროს სადგურ "ავლაბართან", "საზოგადოებრივი მაუწყებლის" შენობასთან, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან და ეროვნულ სტადიონთან. პარალელურად, პარლამენტის შენობის წინ დაიწყება მომიტინგეთა შეკრება. რუსთაველის გამზირზე მყოფთ 14:00 საათზე, პოლიტიკურ ლიდერებთან ერთად, შეუერთდებიან სხვადასხვა ადგილას შეკრებილი ადამიანები. კერძოდ, მეტროსადგურ "ავლაბრიდან" - "კონსერვატორები", "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" და "ხალხის პარტია"; ეროვნული სტადიონის შესასვლელიდან დაიძვრება "ეროვნული ფორუმი" და მისი მხარდამჭერები; ხოლო უნივერსიტეტის პირველი კორპუსიდან - "საქართველოს გზა", "ალიანსი თავისუფლებისთვის", "მრეწველები" და ნინო ბურჯანაძის "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" წევრები; "საზოგადოებრივი მაუწყებლის" შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან კი საპროტესტო აქციას შეუერთდება ირაკლი ალასანიას "ალიანსი საქართველოსთვის." 9 აპრილის აქციაზე განსაკუთრებული ორგანიზებით მისვლას არ აპირებენ "ლეიბორისტები." პარტიაში განმარტეს, რომ შალვა ნათელაშვილის მხარდამჭერები პირდაპირ პარლამენტთან მივლენ და ხალხის გვერდით დადგებიან. "მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი აჭარაში გამართავს საპროტესტო აქციას, ხოლო თბილისში ნოღაიდელის პარტიის ახალგაზრდული ფრთის წევრები, პეტრე მამრაძის ხელმძღვანელობით, მომიტინგეებს 14:00 საათზე შეუერთდებიან. მანიფესტაცია დაგეგმილია შავნაბადას საპრეზიდენტო რეზიდენციისკენ მიმავალ გზაზეც.

გაგრძელება A2 გვერდზე

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება

გუშინ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რობერტ ვუდმა საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ვაშინგტონის ოფიციალური პოზიცია გაახმოვანა. თეთრი სახლი საქართველოს ხელისუფლებას და 9 აპრილის ორგანიზატორ პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდებს უზრუნველყონ დემონსტრაციის მშვიდობიანად წარმართვა და არ დაუშვან ძალადობა.

**"როგორც საქართველოს მეგობარი, ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს მოქალაქეებს დემოკრატიის განვითარების პროცესში. მშვიდობიანი პროტესტი დემოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილია და აღიარებულია პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის მიღებულ ფორმად. დემოკრატიის განვითარება ყველა პოლიტიკური ძალის დიალოგში ჩაბმით უნდა მოხდეს. ასევე დემოკრატიის განვითარებისთვის აუცილებელია აღებული ვალდებულებების შესრულება და გულმოდგინე თანამშრომლობა დემოკრატიული რეფორმების განხორციელების მიზნით, მათ შორის საარჩევნო კოდექსის, სასამართლო სისტემის და დამოუკიდებელი მედიის სფეროში. აშშ მზადაა გააგრძელოს და გააღრმაოს ამ რეფორმების მხარდაჭერა. ეს მნიშვნელოვანია დემოკრატიის წარმატებისთვის საქართველოში, სადაც ამომრჩევლები თავად განსაზღვრავენ ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს,"** - ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში. **საკუთარი ინფორმაცია**

## უცხოურ მედიას სასტუმრო "თბილისი მარიოტის" ორი სართული აქვს დაკავებული

დღეს საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცევა. 9 აპრილის საპროტესტო აქციის გასაშუქებლად თბილისში თითქმის ყველა წამყვანი უცხოური მედიასაშუალების კორესპონდენტია ჩამოსული. "ჟურნალისტები უკვე საქართველოში იმყოფებიან. კერძოდ, აქ არიან "ბი-ბი-სი"-ს, "სი-ენ-ენ"-ის, "ნიუსუიკის", "ლოს ანჯელეს თაიმსის", "ნიუ იორკ თაიმსის", "ფაინენშალ თაიმსის", "ვაშინგტონ პოსტის", ფრანგული "ფიგაროს", "ლიბერასიონის", "პერესის", ასევე რუსეთის ყველა ტელევიზიის კორესპონდენტები", - განაცხადა პარტია "საქართველოს გზის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა სოფო ჯაჯანაშვილმა. მისივე თქმით, გარდა მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებებისა, საქართველოში იმყოფებიან ჰოლანდიური, პოლონური, აზერბაიჯანული, გერმანული, იაპონური ტელევიზიების, ჩინური სააგენტოების, სკანდინავიური მედიის, გერმანული "დოიჩე ველესა" და მსოფლიოს სხვა ქვეყნების მედიასაშუალებების წარმომადგენლები.

უცხოურ მედიას სასტუმრო "თბილისი მარიოტის" ორი სართული აქვს დაკავებული.

"პირად საუბრებში უცხოელი ჟურნალისტები საქართველოში ცვლილებების მოლოდინს არ მალავენ. მათი მთავარი კითხვაა - მიდის თუ არა მიხეილ სააკაშვილი," - განაცხადა ჯაჯანაშვილმა. **პირველი**

## 9 და 10 აპრილს პარლამენტი შეზღუდულ რეჟიმში იმუშავებს

პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი ოფიციალურად ადასტურებს, რომ 9 აპრილს პარლამენტის შენობა დახურული იქნება და მასში შესვლის შესაძლებლობა არც თანამშრომლებს და არც ჟურნალისტებს არ მიეცემათ. პარლამენტი "შეზღუდული რეჟიმით" იმუშავებს 10 აპრილსაც, როდესაც შენობაში შესვლის შესაძლებლობა მხოლოდ აპარატის უფროსს, მის მოადგილეებს, დეპარატამენტების უფროსებს, მათ მოადგილეებს და დეპუტატებს მიეცემათ, ჟურნალისტებისთვის კი "შეზღუდული რეჟიმი" იმოქმედებს. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მაკა გიგაური განმარტავს, რომ 9 აპრილი ოფიციალურად უქმე დღედ არის გამოცხადებული. რაც შეეხება 10 აპრილს, პარლამენტის შენობაში შესასვლელად შეზღუდვა უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაწესდება. ამასთან, გიგაური აღნიშნავს, რომ 10 აპრილს პარლამენტში არ არის დაგეგმილი არც სესია და არც საკომიტეტო სხდომები.

9 აპრილს ოპოზიციის მიერ პარლამენტის შენობის წინ ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციის გამართვის გამო პარლამენტის შენობაში რამდენიმე სახის გასამაგრებელი სამუშაოები ჩატარდა. კერძოდ, რკინის გისოსებში ჩასვეს პირველ და მეორე სართულებზე გზის პირას მდებარე ფანჯრები, ყველა მხრიდან გაამაგრეს შესასვლელი კარები და ა.შ. ამასთან, შენობაში ახალი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა დამონტაჟდა, ეზოს შიდა პერიმეტრზე კი სპეციალური კამერები განთავსდა. აღნიშნულ ღონისძიებებს პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელი დავით ჯანიაშვილი "წლის გეგმით" ხსნის და ირწმუნება, რომ აღნიშნული სამუშაოები აპრილის თვეში დაგეგმილი საპროტესტო აქციების გამო არ დაწყებულა.

9 აპრილი კანონმდებლობით უქმე დღედ არის გამოცხადებული, რასაც საქართველოს შრომის კოდექსი ითვალისწინებს. "შრომის კოდექსში" წერია: 9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე. **პირველი**

# პროტესტი დამკვირვებელთა პრიზმაში

პირველი გვერდიდან

რუსთაველის გამზირზე შეკრებილ მოქალაქეებს საპროტესტო პროცესის შემდგომი განვითარების გეგმას ისინი ყოველდღე 15:00 საათზე გააცნობენ. 9 აპრილის საპროტესტო აქციის ორგანიზატორებმა მედიის მუშაობის შესახებაც გააკეთეს კომენტარი. მათი თქმით, პარლამენტის წინ ჟურნალისტებისთვის იმუშავებს პრესცენტრი. გარდა ამისა, პოლიტიკურმა ოპოზიციამ თბილისის მერიას აცნობა, რომ საპროტესტო აქციები შესაძლოა გაიმართოს სამი ტელეარხის - "საზოგადოებრივი მაუწყებლის", "რუსთავი 2"-ის და "იმედის" შენობებთან. "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმართ კონკრეტული მოთხოვნები აქვს საპროტესტო აქციის საინიციატივო ჯგუფს. ოპოზიციის ლიდერებმა წერილობით მიმართეს "პირველი არხის" ხელმძღვანელობას და მოითხოვეს, რომ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ხელმძღვანელობამ "საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული ტელევიზიის მოვალეობები" შეასრულოს. 4-პუნქტიან მიმართვაში წერია, რომ **"საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" 9 აპრილის საპროტესტო აქცია 14:00-დან 18:00 საათამდე პირდაპირ ეთერში უნდა გადასცეს. მიტინგის მომდევნო დღეებში კი აქციის მიმდინარეობა 17:00-დან 20:00 საათამდე უნდა გადაიცეს პირდაპირ ეთერში."** გარდა ამისა, აქციის ორგანიზატორები მოითხოვენ, განსაკუთრებულ შემთხვევებში მათი განცხადებების პირდაპირ ეთერში გადაცემას და ამასთანავე ტოქ-შოუებში ხელისუფლებასა და პოლიტიკურ ოპოზიციას შორის პარიტეტის დაცვას.

9 აპრილს დაწყებულ საპროტესტო მიტინგს რამდენიმე ორგანიზაცია გაუწევს მონიტორინგს. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს, გარკვეულწილად, შესაძლო ძალადობის პრევენციის დატვირთვაც ექნებათ. ომბუდსმენის ოფისის 100 წარმომადგენელი, სპეციალურ ფორმაში გამოწყობილები - კეპებით და წარწერით: "სახალხო დამცველი", ადგილზე დააკვირდებიან ვითარებას, ასევე სახალხო დამცველის აპარატს დაგეგმილი აქვს ვიდეოგადაღებები. ამოქმედდება ომბუდსმენის აპარატის ცხელი ხაზი - ტელ.: 99 58 98. ამავდროულად, საპროტესტო აქციებს დააკვირდებიან "არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია" და ადვოკატთა პროფკავშირები. გაერთიანებები გამოავლენენ საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ მოქალაქეთა უფლებების დარღვევების ფაქტებს და შეგროვებულ ინფორმაციას საერთაშორისო ორგანიზაციებს მიაწვდიან. თავის მხრივ, მონიტორინგის ცენტრი შექმნა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. ვანო მერაბიშვილის უწყება საპროტესტო აქციებს 9 აპრილიდან ვიდეოთვალით დააკვირდება.

# საყოველთაო მზადყოფნა მშვიდობისათვის

გიორგი ასანიშვილი

*9 აპრილის საპროტესტო აქციის გამო გუშინ გამაფრთხილებელი განცხადებები გააკეთეს სასულიერო პირებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა. მათი მოწოდების საერთო პათოსი აგრესიისა და პროვოკაციების პრევენციაა.*

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში გუშინ განცხადება გააკეთა.

პატრიარქმა მიმართა ხელისუფლებას, ოპოზიციასა და ხალხს, მათ დიალოგისკენ მოუწოდა და პროვოკაციული საფრთხის შესახებ ისაუბრა.

**"მე მივმართავ სრულიად საქართველოს, ხელისუფლებას ჩვენსას, ოპოზიციას; მე მივმართავ ჯარს, რომ არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოს ძალა. ადამიანი, ჯარისკაცი, რომელიც აღმართავს ხელს თავის ძმაზე, აღარ გამოდგება სამშობლოს დასაცავად. მე მივმართავ ყოველ ადამიანს, რომ ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ლოცვა, რათა გამოვლინდეს განგება ღვთისა,"** - ბრძანა პატრიარქმა.

უწმინდესმა მიმართა ოპოზიციას, უზრუნველყოს აქციის მშვიდობიანი ფორმით ჩატარება; მოსახლეობას მოუწოდა, არ გამოიჩინოს აგრესია; ქვეყნის სხვა ეროვნების ადამიანებს კი - არ აყვნენ მათ მიმართ პროვოკაციულ ქმედებებს.

გუშინვე გამაფრთხილებელი აქცია გამართა საზოგადოებრივმა გაერთიანებამ "დედები სამშობლოსთვის". ორგანიზაციის წარმომადგენლები ე.წ "მოდულის" შენობის წინ შეიკრიბნენ და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ჯანაშვილს მოუწოდეს, არ გასცეს უკანონო ბრძანება და დაიცვას მშვიდობიანი მომიტინგეები.

"დედები სამშობლოსთვის" წევრმა, მსახიობმა ნატა მურვანიძემ მიმართა სამართალდამცველებს, რომ რუსთაველის გამზირზე შეკრებილი საზოგადოება თავის ნაწილად აღიქვან.

**"ჩვენ აქ არაფერს მოვითხოვთ, უბრალოდ, ვთხოვთ ამ ადამიანებს, შეასრულონ თავიანთი მოვალეობა და დაგვიცვან ყოველგვარი ძალადობისგან, დადგნენ ჩვენი და ჩვენი შვილების გვერდით,"** - აღნიშნა მურვანიძემ.

გუშინ საგანგებო მიმართვა გაავრცელა საქართველოში აკრედიტებული ელჩების სამუშაო ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შედიან ეუთოს წევრი სახელმწიფოების ელჩები, ევროსაბჭოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი, ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელი და გაერო-ს კოორდინატორი. სამუშაო ჯგუფი საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციურ ძალებს მოუწოდებს, ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების კონსტრუქციულად გადასაჭრელად დიალოგი აწარმოონ.

ელჩები მოწოდებით მიმართავენ უსაფრთხოების სამსახურებსაც, აჩვენონ პასუხისმგებლობის მაღალი დონე, დაიცვან პროტესტის გამოხატვის უფლების დემოკრატიული პრინციპი და არ მიმართონ ძალადობას.

საგანგებო განცხადებას აკეთებს ევროკავშირის მოქმედი თავმჯდომარე ქვეყანაც. ჩეხეთის რესპუბლიკა, ევროკავშირის სახელით, მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, დემონსტრაციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, გამოიჩინონ პასუხისმგებლობა და მაქსიმალური თავშეკავება, იმოქმედონ სამოქალაქო წესრიგის დაცვისა და კანონის ფარგლებში.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ შეკრებისა და სიტყვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული ქვეყნების ერთ-ერთ ძირითად ფასეულობას.

ჩეხეთი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ქართველი ხალხისთვის პოლიტიკური პლურალიზმი და ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონსტრუქციული პოლიტიკური დიალოგი მხოლოდ სიკეთის მომტანი იქნება.

9 აპრილის აქციის გამო თბილისში საგანგებოდ ჩამოვიდა ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი პიტერ სემნები, რომელიც გუშინ ოპოზიციის ლიდერებს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეკა ზღულაძეს და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერიას შეხვდა.

ოპოზიციის ლიდერებთან შეხვედრის დაწყების წინ, რომელშიც მონაწილეობდნენ ნინო ბურჯანაძე, ლევან გაჩეჩილაძე და ირაკლი ალასანია, სემნებიმ აღნიშნა, რომ აქციებზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებამ და ოპოზიციამ ერთად უნდა აიღონ.

**"ქუჩა არ არის ის ადგილი, სადაც გარკვეული საკითხები გადაწყდება. საჭიროა დიალოგი ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის. ჩვენი რეკომენდაციაა, მხარეები დიალოგის მაგიდას მიუსხდნენ,"** - განაცხადა ევროკავშირის წარმომადგენელმა.

ოპოზიციის ლიდერებთან მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ კი პიტერ სემნებიმ აღნიშნა, რომ ევროკავშირმა გამოყო სპეციალური წარმომადგენლები, რომლებიც აქციის მიმდინარეობას დააკვირდებიან.

თავის მხრივ, ირაკლი ალასანია აღნიშნავს, რომ ევროკავშირის წარმომადგენლებს კონტაქტი ექნებათ როგორც ოპოზიციასთან, ისე ხელისუფლებასთან.

**"თუ პრობლემები შეიქმნება, ისინი ჩაერთვებიან და პროცესს ზედამხედველობას გაუწევენ. მათი პოზიციაა, დაიცვან დემოკრატიული პროცესები,"** - აცხადებს ალასანია.

ალასანია აცხადებს, რომ კრიზისიდან დიალოგის გზით გამოსვლის აუცილებლობას თავადაც ხედავს, თუმცა ცალმხრივი განცხადებები და არასერიოზული შემოთავაზებები საკმარისი არ არის...

რამდენიმე საელჩო და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა დღეს სრული მობილიზებით იმუშავებს.

როგორც საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობაში აცხადებენ, ისინი ყურადღებით დააკვირდებიან მოვლენების განვითარებას, მოხდება ინფორმაციის კოორდინირება და ევროკავშირის ცენტრალურ ოფისში მისი დროული მიწოდება.

საპროტესტო აქციას ასევე გაუწევს მონიტორინგს სახალხო დამცველის აპარატის 30-ზე მეტი თანამშრომელი და 45 მოხალისე. სახალხო დამცველის თქმით, მოხალისეებთან გაფორმებულია მემორანდუმი და მათ სპეციალური სწავლება გაიარეს, რათა აქციის დროს დარღვევების შემთხვევაში მონიტორინგი განახორციელონ.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ოკუპაციის "სიკეთეები"

პირველი გვერდიდან



მიხო კოტეტიშვილის ფოტო

ეს, ძირითადად, ქართულ სოფლებს ეხება. ახალგორშიც გვინდოდა ჩასვლა, იმ გზით, რომელსაც, თურმე, ორი წლის განმავლობაში ისე აშენებდნენ, რომ ამის შესახებ ბევრმა ოსმაც არ იცოდა. თუმცა, მაშინ ახალგორამდე ვერ მივაღწიეთ. მეორედ ნოემბრის ბოლოს ჩავედი. ორიდვეჯერ "ჰუმან რაითს უოთჩის" მისიასთან ერთად ვიყავი. ბევრი რამ ვნახეთ. ძირითადად, ყველგან ერთი და იგივე სურათი დაგვხვდა - ცარიელი, ხალხისგან დაცლილი მიწა. იქაურებს კეთილდღეობას შეპირდნენ, თუმცა უკვე ჩემს მეორე ჩასვლაზე ოსები ძველებურად გახარებულები აღარ იყვნენ. ისინი კითხულობდნენ - სად არის ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც რუსეთმა გამოგზავნა?

**- მათ საერთოდ არაფერი მიუღიათ?**

- ოსმა ქალებმა დახმარების გაკონტროლების მიზნით კომიტეტი შექმნეს, რომლის წევრებმაც მითხრეს, რომ მათ მხოლოდ წინდები და რაღაც საჭმელი გადასცეს. რაღაც დახმარება რუსეთის პატრიარქისგან დარიგდა, ეს იყო პროდუქტი და ჭურჭლის კომპლექტები. იყვნენ სხვა პირებიც, ვინც საკუთარი ინიციატივით არიგებდა დახმარებას. მაგრამ, სად წავიდა ის უზარმაზარი ტვირთი, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე გროვდებოდა? ნოემბერში ჩემი იქ ჩასვლის შემდეგ, ამ საკითხით სერიოზულად დაინტერესდა გაზეთი "კომერსანტი". ამან კოკოითი გააბრაზა. ბარანკევიჩიც კოკოითის კრიტიკით გამოვიდა.

**- საერთო ჯამში, რა დამოკიდებულებაა კოკოითის მიმართ რეგიონის მოსახლეობაში?**

- ვისაც მე ვესაუბრე, იმ ხალხს მის მიმართ არც ისე კარგი დამოკიდებულება აქვს. სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება, ვინაიდან რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების გამო შექმნილი ეიფორია განელდა და რუსული დახმარების იმედი იწურება. ხალხი უგაზობამ და უშუქობამ შეაწუხა. კოკოითიმ კი წლების განმავლობაში ისეთი სიტუაცია შექმნა, რომ ხალხისთვის რაიმეს გაკეთების საშუალება არ აქვს არავის, თუ ის კოკოითის მომხრე არ არის. ბიზნესმენებს არ ჰქონიათ თავისუფლად საქმიანობის საშუალება. ყველაფერი კოკოითის სახელით უნდა გაკეთებულიყო და მისთვის ამ საქმეში ფულიც უნდა ეხადათ. ნათელია, რომ რუსეთს ეს ადამიანი ხელს აძლევს. რუსეთში ლამაზი ლოზუნგების მიღმა, ყველაფრის უკან, ელემენტარულად, რაც შეიძლება მეტი ფულის მოპარვის ინტერესი დგას. დახმარება კი სამხრეთ ოსეთისთვის იმით დასრულდა, რომ ფული გაქრა და არავინ იცის - სად.

**- ახლა თითქოს სიტუაცია შეიცვალა და რუსეთმა თანხებზე კონტროლი გააძლიერა**

- უდავო ფაქტია - ქართველი დევნილებისთვის დასახლებები აშენდა. განაღმულია ტერიტორიები, რაც ჩვენ ჩეჩნეთში დღემდე ვერ მოვახერხეთ. ეს არის ხელისუფლების ორი სხვადასხვა ტიპი. ერთმა - საქართველოს მთავრობამ - ყველაფერი გაკეთა, მეორემ - პუტინმა და მედვედევმა - საერთოდ არაფერი. სამხრეთ ოსეთში ხალხი ფიქრობს, რომ კიდევ 18 წელს მოუწევთ სახლების გარეშე ცხოვრება. მიმაჩნია, რომ ამ ხალხმა შეცდომა დაუშვა და ეს შეცდომა, პირველ რიგში, მათზე აისახა.

**- თქვენ "ჰუმან რაითს უოთჩის" მისიას ახლდით. თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს რუსული მხარის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ოსების გენოციდისა და ქართული შეიარაღებული ძალების მხრიდან ძალადობის შესახებ?**

- ყოვლად მიუღებელია სიცრუე ორი ათასი დაღუპულის შესახებ. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ეს საინფორმაციო შეტევის ნაწილს წარმოადგენდა. ჩვეულებრივ ადამიანს შეიძლება არ ესმოდეს, რომ შეუძლებელია, ერთ დღე-ღამეში საბრძოლო მოქმედებების შედეგად ორი ათასი ადამიანი დაიღუპოს. ასეთი რამ ცუნამისა თუ სხვა სტიქიური უბედურებების დროს ხდება. მე ვყოფილვარ ცხელ წერტილებში და ეს კარგად მესმის. რატომ მიიღო ეს სიცრუე მსოფლიომ და იმავე მომენტში არ შეაწყვეტინა ტყუილი ჩვენს პროპაგანდისტებს, გაუგებარია. მეორე კოლოსალური ტყუილი ის არის, თითქოს ცხინვალი დაინგრა. რა თქმა უნდა, იყო ნგრევაც, მაგრამ გროზნოსთან და სტალინგრადთან ცხინვალის შედარება წარმოუდგენელია. არის რამდენიმე ქუჩა, სადაც მიყოლებით არის დანგრეული სახლები. მაგრამ ეს არ არის კოლოსალური ნგრევა. სამ თვეში ცხინვალის არა მხოლოდ აღდგენა, არამედ ახალი კვარტლების აშენებაც შეიძლებოდა. ეს არ მოხდა. კიდევ ერთი სიცრუე ეთნიკურ წმენდას ეხება. ეს არა ქართველებმა, არამედ ოსებმა ჩაიდინეს. მეუბნებოდნენ, ქართველებს რომ დაცლოდათ, იგივეს იზამდნენო. მაგრამ მე ამის არ მჯერა. საქართველო სხვა ქვეყანაა, ამ დროის განმავლობაში შეიცვალა და, დარწმუნებული ვარ, ასეთ რამეს მომავალშიც არავინ დაუშვებს. ფაქტია, რომ ძალადობა ეთნიკური ნიშნით ოსებმა განახორციელეს, რუსეთის მფარველობით და არ არის გამორიცხული, უშუალო მითითებით.

**- რუსეთში სჯერათ იმ სიცრუის, რასაც პროპაგანდა ავრცელებს?**

- რუსეთში ეს ყველაფერი ესმით. მაგრამ, როდესაც ყველა ხვდება, რომ ატყუებენ, ის თემა ნელ-ნელა იხურება და მასზე საუბარი არავის სურს. ამ ომის თემა უკვე დავიწყებულია, მიუხედავად იმისა, რომ იქ ჩვენი ჯარისკაცები დაიღუპნენ. ისიც დაგვავიწყდა, რომ იქ რუსი ჯარისკაცები იმყოფებიან - ძირითადად, ვადიანი მოსამსახურეები. ომის დასაწყისიდან ისინი იქ იყვნენ და დაღუპულთა შორის სწორედ გაწვეული ჯარისკაცები ჭარბობდნენ. დღეს იქ მყოფი ჯარისკაცები აუტანელ პირობებში არიან. განსაკუთრებით ახალგორში, სადაც არც კავშირი მუშაობს და ჩასვლაც ძნელია. ნაცემები, უკაცრავად და, ტილიანები, მიწურებსა თუ ქოხებში ცხოვრობენ. ისინი შიმშილობენ, ვერ ბანაობენ. ეს არის სამხედრო ბაზა? ამას წინათ რაღაც მიზეზით, ალბათ ლოთობის გამო, იქ დიდი რაოდენობით შეიარაღება აფეთქდა.

**- როგორ გრძნობს თავს ახალგორში ქართული მოსახლეობა?**

- იქ ნოემბერში ჩავედით. იმ დროსთვის ხალხის დიდმა ნაწილმა იქაურობა დატოვა - ძირითადად, ახალგაზრდობამ. ხელფასების გაცემას კვლავ საქართველო განაგრძობს. იქ ცხინვალიდან რაღაც სახსრებს ელოდებოდნენ, თუმცა იმ დროისთვის არაფერი მიუღიათ, მათ შორის არც ცხინვალის მიერ დანიშნულ წარმომადგენლებს. იქაური ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, რომელიც ახალგორიდან 1992 წელს გაიქცა, თითქოს ეთნიკური დევნის, მაგრამ, მგონი, უფრო კორუფციაში ბრალდების გამო, შემოგვჩივლა, რომ ძალიან დაბალი ხელფასი დაუწესეს. მას კი იმედი ჰქონდა, რომ იმდენს დაუნიშნავდნენ, რასაც ახალგორის ქართველი გამგებელი იღებს. გზაც არ აუშენებიათ, არსებულის შენარჩუნება კი ძალიან ძვირი ჯდება.

**- მოსახლეობა დაცული არ არის?**

- დიდი პრობლემაა იარაღი. ის ყველას აქვს. მინახავს, როგორ დადიან ბავშვები ნამდვილი იარაღით, მამებიც მათ ისე ჩუქნიან იარაღს, როგორც სათამაშოს. საყოველთაო დეგრადაციისა და აპათიის პირობებში, ადამიანები, უბრალოდ, შარაგზის ყაჩაღები ხდებიან. 2003 წლამდე ხალხი ერგნეთის ბაზრობაზე ვაჭრობდა, აგვისტომდე მოყოლებული კონტრაბანდას ეწეოდა. ახლა კი ბიზნესი, ფაქტობრივად, მოკვდა. უკვე ხდება ადგილობრივი მოსახლეობის შეტაკებები რუს სამხედროებთან. რუსი სამხედროები, ვინც იბრძოდა, ფაქტობრივად, დაითხოვეს და მათთვის არც საბრძოლო მოქმედებებისთვის კუთვნილი ანაზღაურება მიუციათ. გამოვიდა ოფიციალური ბრძანება იმის შესახებ, რომ მათ არაფერს გადაუხდიან, რადგან ფული აღარ არის. ეს წარმოუდგენელი სიტუაციაა. რა გვინდოდა იქ? რისთვის ჩავებით ომში? ვის და ვისგან ვიცავდით? რისთვის დაიხოცნენ ჩვენი ბიჭები?

**- იქნებ იმისთვის, რომ რუსეთს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის აღიარებით გამარჯვება ეზეიმა? რა დამოკიდებულებაა რუსულ საზოგადოებაში ამ საკითხის მიმართ?**

- კონფლიქტამდე რუსეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტს არც გაუგია სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე. ქვეყნის შიგნით ეს საკითხი დიდ ინტერესს არ იწვევს. ხალხმა იცის, რომ მათი გარეშე მტერი საქართველოა და ის უნდა დაისაჯოს. გასაგებია, საკითხი ასე რატომ დგას. რუსულ საზოგადოებაში ძალიან ნელა, მაგრამ მაინც მწიფდება უკმაყოფილება. აუცილებელია მისი გადამისამართება. მაგრამ, არავინ უჩვენებს რუსეთის მოსახლეობას, თუ რა ხდება სინამდვილეში. რომ მილიარდები, რომელიც ჩვენც არ გვაწყენდა, რადგან ხალხი თვეების განმავლობაში ხელფასს ვერ იღებს და შიმშილობს, არა ოსებს, არამედ კოკოითის ჯიბეს ხმარდება. ამის შესახებ ხალხს ვინმემ რომ უთხრას, სულ სხვა რეაქცია იქნებოდა. რუსეთში არავის შეუძლია გასცეს პასუხი კითხვას - რაში გვჭირდებოდა ეს ყველაფერი? რატომ დავიწყეთ ომი? ომი სინამდვილეში ხომ ჩვენ დავიწყეთ! არ არის მნიშვნელოვანი, პირველმა ვინ ისროლა. ამის გასაგებად საკმარისია, დავაკვირდეთ ჩვენს პოლიტიკას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ, რომლებსაც ჩვენ, რატომღაც, ისევ ჩვენებად მივიჩნევთ. თუ ევროპა ამ საკითხს ისე დააყენებს - ვინ ისროლა პირველმა, ყველაფერი ძველებურად დარჩება და კონფლიქტის განახლების, ხალხის დაღუპვის ალბათობაც კვლავ იარსებებს.

## საპატრიარქო აზერბაიჯანულ პრესაში ილია მეორის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას პროვოკაციას უწოდებს

საქართველოს საპატრიარქო აზერბაიჯანულ პრესაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას პროვოკაციას უწოდებს.

როგორც საპატრიარქოს განცხადებაშია ნათქვამი, ცნობილი გახდა, რომ აზერბაიჯანულ პრესაში თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გააკეთა მუსლიმანებისათვის შეურაცხმყოფელი განცხადება, რაც სრული სიცრუეა და შორსგამიზნულ რელიგიურ-პოლიტიკურ პროვოკაციას წარმოადგენს. შემდეგ კი დამატებით ინფორმაციაში ითქვა, რომ ასეთი აზრი დაფიქსირდა საქართველოს საპატრიარქოს ინგლისურენოვან ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ეს ჩანაწერი 6 აპრილის შემდეგ საიტიდან გაქრა. საპატრიარქოს ვებ-გვერდის სარედაქციო ჯგუფი კატეგორიულად უარყოფს მსგავსი ინფორმაციის მართებულობას და ამას გარკვეული დაინტერესებული ძალების შეგნებულ ქმედებად მიიჩნევს. "ჩვენი მხრივ გვინდა, აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საპატრიარქოს კრიზისულ სიტუაციებში არაერთგზის გაუკეთებია განცხადება მუსლიმანთა წინააღმდეგ ძალადობისა და მათი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის დაგმობის მიზნით და ამის საწინააღმდეგოს დღეს იგი რატომ მოიმოქმედებს?! ასევე გაუგებარია, რატომ ატკენდა იგი გულს მეზობელ ქვეყნებში მცხოვრებ ჩვენი ერის მუსლიმან წარმომადგენლებს (გურჯებს, ლაზებს, ფერეიდნელებს, აზერბაიჯანელ ქართველებს...), ან საქართველოში მცხოვრებ ქართველ და არაქართველ მუსლიმანებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ერთგული შვილები არიან?!" - ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს საპატრიარქოს მოსაზრებით, აზერბაიჯანული სააგენტოებისთვის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის და საპატრიარქოს შესახებ ყალბი ინფორმაციის მიმწოდებელი შეიძლება იყოს მხოლოდ აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების არაკეთილმოსურნე, რომლის ინტერესებშიც არ შედის როგორც საქართველოში მცხოვრები მუსლიმანებისა და მართლმადიდებელი ქრისტიანების მშვიდობიანი თანაცხოვრება და მათი სულიერი ლიდერების სამაგალითო მეგობრობა, ასევე კავკასიის რეგიონისა და სრულიად ისლამური სამყაროს კეთილგანწყობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი და საერთოდ საქართველოსადმი.

"მადლიერებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ კავკასიის მუსლიმანთა სულიერმა ლიდერმა შეიხულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა-ზადემ თავიდანვე სწორი შეფასება მისცა ზემოთ აღნიშნულ ფაქტს და იგი თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების ბოროტ გამოყენებად მიიჩნია, რომლის მიზანია საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვა. ვიმედოვნებთ, აზერბაიჯანის საერო და სასულიერო ხელისუფალნი, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები მუსლიმანები ამ პროვოკაციის ავტორებს თავისი შორსმიმავალი მიზნების განხორციელების შესაძლებლობას არ მისცემენ," - ნათქვამია განცხადებაში. **პრაიმ-ნიუსი**

## "თბილისის მიმართულებით ტრანსპორტი შეუზღუდავად იმოძრავებს"

კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რეგიონიდან თბილისის მიმართულებით ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვის შესახებ. "დღესაც და მომდევნო დღეებშიც კახეთიდან თბილისის მიმართულებით მიკროავტობუსებიც და ავტობუსებიც უპრობლემოდ იმოძრავებენ, ისე როგორც აქამდე მუშაობდნენ. მგზავრებს გადაადგილების პრობლემა არ ექნებათ," - განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს გიორგი ღვინიაშვილმა.

რამდენიმე დღეა, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ ხელისუფლების დავალებით, რეგიონებიდან თბილისის მიმართულებით ტრანსპორტის გადაადგილება შეიზღუდა იმ მიზნით, რომ ოპოზიციის მხარდამჭერები 9 აპრილის საპროტესტო აქციას ვერ შეუერთდნენ. ღვინიაშვილის თქმით, 9 აპრილს კახეთის რეგიონში არც ერთი სანქცირებული აქცია არ გაიმართება. კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინფორმაციით, რეგიონის არც ერთი მუნიციპალიტეტის გამგეობაში არ შესულა განაცხადი აქციის გამართვის შესახებ. რაც შეეხება არასანქცირებულ აქციებს, გუბერნატორი აცხადებს, რომ მის ხელთ არსებული მონაცემებით, 9 აპრილს კახეთში არასანქცირებული აქციაც არ შედგება. **მედიანიუსი**

## გიორგი ცაგარეიშვილმა "საქართველოს დემოკრატიული პარტია" დატოვა

გიორგი ცაგარეიშვილმა "საქართველოს დემოკრატიული პარტია" დატოვა, ფრაქციის დატოვებას კი ჯერჯერობით არ აპირებს. ამ ინფორმაციას ცაგარეიშვილი ადასტურებს და აცხადებს, პარტია გია თორთლაძესთან ზოგიერთ საკითხში განსხვავებული შეხედულებების გამო დატოვა, მათ შორის არის 9 აპრილი და სააკაშვილის პოლიტიკური მომავალი.

ცაგარეიშვილმა აღნიშნა, რომ "საქართველოს დემოკრატიული პარტიის" გენერალური მდივნის პოსტისა და პარტიის რიგების დატოვების შესახებ 30 მარტს იუსტიციის მინისტრის სახელზე შეიტანა განცხადება. ცაგარეიშვილი ჯერჯერობით საპარლამენტო ფრაქციაში დარჩა, რომლის თავმჯდომარეც გია თორთლაძეა. ფრაქციიდან ცაგარეიშვილის წასვლის შემთხვევაში თორთლაძის 6-კაციანი ფრაქცია დაიშლება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სეპარატისტების გეგმები

სამი სეპარატისტული რესპუბლიკის - აფხაზეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის ლიდერები შეხვედრას გეგმავენ. სერგეი ბაგაფშის, ედუარდ კოკოითისა და იგორ სმირნოვის მოსალოდნელი შეხვედრის შესახებ ინფორმაციას დნესტრისპირეთის ე.წ. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვლადიმერ იასტრებჩაკი ავრცელებს. **"ამჟამად ვგეგმავთ შეხვედრის ჩატარებას საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, რომლის შემდეგაც ასევე იგეგმება შეხვედრა უმაღლეს დონეზე. ამჟამად მიმდინარეობს ამ ღონისძიების ორგანიზებისთვის ყველა დეტალის განხილვა,"** - აცხადებს იასტრებჩაკი.

ის ჯერჯერობით თავის იკავებს შეხვედრის ადგილისა და თარიღის დაკონკრეტებისაგან. **"ზუსტი თარიღი ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ეს საკითხი სამივე ხელმძღვანელს კონტროლზე აქვს აყვანილი,"** - აცხადებს დნესტრისპირეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი.

სერგეი ბაგაფშმა, ედუარდ კოკოითიმ და იგორ სმირნოვმა ბოლო შეხვედრა 2007 წლის ნოემბერში, სოხუმში გამართეს.

გუშინვე სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ აფხაზეთის ტელევიზიის პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ აფხაზეთის ურთიერთობა ევროკავშირთან ან რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან მხოლოდ მაშინ შეიძლება შედგეს, როდესაც ისინი აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებენ. მისივე თქმით, აფხაზეთის ხელისუფლება სკეპტიკურად არის განწყობილი საქართველოში განლაგებული ევროპული სტრუქტურების წარმომადგენლობების მიმართ. **"ისინი გამუდმებით ცდილობენ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხვედრას, აცხადებენ რა, რომ მათი მანდატი ვრცელდება საქართველოზე და ესე იგი აფხაზეთზეც. ამგვარი მიდგომით აფხაზეთი, რა თქმა უნდა, უარს აცხადებს აფხაზეთში მათ ყოფნაზე და ეს ჩვენ არაერთხელ გვითქვამს,"** - აღნიშნავს სერგეი შამბა.

ნატო-ს საიუბილეო სამიტზე მიღებული შემაჯამებელი დოკუმენტის კომენტირებისას შამბა აცხადებს, რომ დოკუმენტში ჩამოყალიბებული მიდგომები კიდევ ერთხელ მოწმობს განსხვავებული პოზიციების არსებობას. **"ამგვარ სიტუაციაში კი თანამშრომლობის შესახებ პერსპექტივებზე საუბარი შეუძლებელია და ამიტომაც ყოველი მცდელობა, აქტიურად ვითანამშრომლოთ საერთაშორისო სამშვიდობო ფორმატში, შედეგს არ მოიტანს,"** - აცხადებს შამბა, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ აფხაზეთი მზად არის ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში მონაწილეობის გაგრძელებისთვის, მაგრამ იმ პირობით, რომ აფხაზეთს განსაზღვრული სტატუსი ჰქონდეს.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოჩამჩირის პორტში ორი რუსული სამხედრო ეშელონი შევიდა. ეშელონებში 60 ერთეული სამხედრო ტექნიკაა დასაწყობებული. ასევე პორტში გადასროლილია საბრძოლო მასალები და, დაახლოებით, 400 სამხედრო მოსამსახურე. ტექნიკის ნაწილი მობილიზებულია სოფელ ოხურაში, ნაწილი - სოფელ აჩიგვარაში. გარდა ამისა, წებელდაში აფხაზებმა ორკვირიანი სამხედრო სწავლება დაიწყეს, რომელშიც რეგულარული ჯარი და კონტრაქტორები მონაწილეობენ. მანევრებში სხვადასხვა ტიპის საბრძოლო ტექნიკას იყენებენ.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ 9 და 10 აპრილს გალის რაიონის ადმინისტრაციული საზღვრები ჩაიკეტება.

აღნიშნულ ინფორმაციას აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობის უფროსის მოადგილე თორნიკე კილანავაც ადასტურებს. **"ასეთი ბრძანება ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს უკვე მიღებული აქვთ, მაგრამ ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაკეთებულა. რა ფორმით მოახდენენ სეპარატისტები საზღვრების დაკეტვას, ჯერ უცნობია, მაგრამ არა მგონია, ეს შეძლონ,"** - აცხადებს კილანავა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# აქცია დანის პირზე

პირველი გვერდიდან

თუმცა, ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით კი ხმაურიანი ჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ, 9 აპრილის ორგანიზატორთა რიტორიკაც მეტ-ნაკლებად შეიცვალა - დღეს ამ ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ამბობს: "ჩვენ იქ იმდენი ხანი უნდა დავდგეთ, სანამ სააკაშვილი არ გადადგება... ეს იქნება ჩვენი ნების მშვიდობიანი გამოხატულება და ნუ მოუსმენთ, თუ ვინმე მოგიწოდებთ [მთავრობის ან პარლამენტის] შენობის აღებისკენ; ის, ვინც ასეთი ქმედებისკენ მოუწოდებს, პროვოკატორი იქნება."

არის თუ არა მშვიდობიანი "დგომა" ოპოზიციის ერთადერთი გეგმა, ძნელი სათქმელია. მიტინგის პირველი დღის კომპოზიციის შემუშავებას თუ არ ჩავთვლით, გეგმა, როგორც ასეთი, ოპოზიციას სავარაუდოდ არ აქვს ან აქვს, მაგრამ სხვა ოპოზიციურ მოკავშირეებსაც არ უმხელს. სხვა შემთხვევაში ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში "ალიანსის" წევრი, მემარჯვენე ფიქრია ჩიხრაძე არ იტყოდა: "როცა მათ ვეუბნებოდით, რომ არ გამოგვეცხადებინა აპოკალიფსური დატვირთვით 9 აპრილი, ვგულისხმობდით იმასაც, რომ გვინდოდა თუ არა, ყველანი ვხდებოდით ამ თარიღის მძევალი.. იყო შემთხვევები, როცა ხალხმრავალ მიტინგზე მის ორგანიზატორებს არ სცოდნიათ, რა ნაბიჯი გადაედგათ იმ კონკრეტულ შემთხვევაში... და ასეთი ალბათობა, სამწუხაროდ, მერე აჩენს მოთხოვნილებას, რომ რაღაც ხელოვნურად მოიფიქრო - სიტუაციის გამწვავებისთვის."

ამ შემთხვევაში ფიქრია ჩიხრაძის შეშფოთების მიზეზი ზუსტად ემთხვევა სვანტე კორნელის ანალიზს, რომ "სახის გადარჩენის" ინსტინქტმა შესაძლოა, ოპოზიციას პროვოკაციებისკენ უბიძგოს.

დღეს უკვე გვაქვს 7 ნოემბრის გამოცდილება და იმის თქმაც შეგვიძლია, თუ რა გაკვეთილები გამოიტანა ამ მოვლენიდან მასში ჩართულმა თითოეულმა სუბიექტმა. თავად ნოემბრის დღეების გამოცდილება არის ის, რომ ოპოზიცია მშვიდობიანი აქციის საზღვრებს არ გადასულა და პრინციპში, პირველ ძალადობას ხელისუფლების მხრიდან ჰქონდა ადგილი, როცა დილაადრიან, თითქმის უკვე მარგინალებად ქცეული მოშიმშილე მომიტინგეების დაშლა გადაწყვიტა, რითაც მომდევნო ძალადობის აქტების პროვოცირებაც მოახდინა.

რაც შეეხება გაკვეთილებს, რომელიც ხელისუფლებამ ამ მოვლენებიდან მიიღო, სახეზეა - თუ 2007 წლის ნოემბერში ხელისუფლება აროგანტულ, ცინიკურ განცხადებებს აკეთებდა, ამტკიცებდა, რომ ქვეყანაში არანაირი პოლიტიკურ კრიზისი არ არსებობდა და ყველაფერი მხოლოდ რუსეთის პროვოცირებული იყო, დღეს მმართველი გუნდის რიტორიკა თვალშისაცემად შეცვლილია. შეცვლილია პრეზიდენტის სახის გამომეტყველებაც, როცა ის მოახლოებულ აქციებზე და დიალოგის აუცილებლობაზე საუბრობს; შეცვლილია ხელისუფლების წარმომადგენელთა კომენტარები - ისინი გაცილებით უფრო რბილი და არააგრესიულია. შესაბამისად, დიალოგისკენ მოწოდება აქციებამდე ხდება და არა აქციების პიკის დროს, როგორც ეს ნოემბრის ცნობილ დღეებში იყო. და რაც მთავარია, ხელისუფლებაში ძალიან კარგად ხვდებიან, რომ 7 ნოემბრის შეცდომის განმეორება სრულიად მომაკვდინებელი იქნება მათთვის. ამიტომაც არის, რომ ამ დღებში თბილისში უკვე ჩამოვიდა რამდენიმე უცხოელი ჩინოსანი პოლიციელი ქართველი კოლეგებისათვის რჩევის მისაცემად. სავარაუდოდ, დამკვირვებლები, უცხოელი პოლიციელების სახით, თავად მიტინგსაც ეყოლება.

ხელისუფლებისაგან განსხვავებით, დღეს ოპოზიციის მიერ გამოტანილ გაკვეთილებზე საუბარი გაცილებით უფრო რთულია, რადგან მიღებული გამოცდილების შედეგი კონკრეტულ მაგალითებზე ჯერ არ ჩანს. ოპოზიცია უფრო ფრაგმენტირებული და ერთ ლიდერს მოკლებულია. მოთხოვნა კი ისევ ერთადერთი და უკიდურესად რადიკალური რჩება. ოპოზიციის მოქმედების ნათელი გეგმის დანახვა კი იმდენად რთულია, რომ ეს მათ პარტნიორებსაც უჭირთ. სამაგიეროდ, არსებობს ის სინანული, რომელსაც ოპოზიციის ზოგიერთმა ლიდერმა არაერთხელ გაუსვა ხაზი - რომ მათ არ გამოიყენეს ის რადიკალური, ემოციური მუხტი, რომელიც ნოემბრის დღეების შემდეგ საზოგადოებაში არსებობდა და ბოლომდე ბრძოლის ნაცვლად, უკან დაიხიეს.

ასე რომ, დღეს ერთადერთი საშიშროება ისაა, როგორ ტრანსფორმირდება ეს სინანული ოპოზიციის ქმედებებში და ხელისუფლებასთან ბრძოლაში; კიდევ ერთხელ მოსალოდნელი ფიასკოს შიში ხომ არ აიძულებს მას, პროვოკაციას მიმართოს?

ამ შეკითხვას პასუხი მხოლოდ მომდევნო დღეებში გაეცემა. დღეს კი მთავარია საზოგადოებას ახსოვდეს, რომ მიუხედავად მრავალი პრობლემისა და ხელისუფლების შეცდომებისა, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ ბოლო წლებში მოხერხდა, შევარდნაძის დროინდელი "არშემდგარი ქვეყნიდან" სახელმწიფო სისტემის შექმნა და ამუშავებაა. ამ სისტემამ აგვისტოს ომსაც კი გაუძლო და არ ჩამოშლილა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ის ჯერ არც ისე ძლიერია, რომ კიდევ ერთმა სერიოზულმა პოლიტიკურმა კრიზისმა და პროვოკაციებმა არ შეარყიოს. ამ სისტემაზე კი თითოეული ადამიანის ნორმალური, ადამიანური ცხოვრებაა დამოკიდებული. არც ისე შორსაა წარსული, როცა სახელმწიფოსთვის აუცილებელი არც ერთი კომპონენტი არ მუშაობდა, როცა პანკისში ადამიანების გატაცება ისეთივე ყოველდღიური რუტინული პრობლემა იყო, როგორც უშუქობა თუ წლობით გადაუხდელი პენსია. "დიდი მონდომების" შემთხვევაში, ამ ყველაფრის დაბრუნება ახლო წარსულიდან ჯერ კიდევ შეიძლება.

# ახლო მომავლის ახალი ამბები

**გამომშვები რედაქტორი: დავით პაიჭაძე**

- გაეროში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ლომაიამ გადადგომისას განაცხადა, რომ არავითარი საერთო არ აქვს და არც სურს, ჰქონდეს საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან.

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ პარტიული რეგისტრაცია შეუწყვიტა "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას"; როგორც იუსტიციის მინისტრობის ყველაზე რეალურმა კანდიდატმა, ეკა ბესელიამ განაცხადა, "საქართველოში ნაციონალების სახსენებელი უნდა გაწყდეს".

- დღეს ციხიდან გაათავისუფლეს ბადრი ბიწაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ არ აპირებს გააგრძელოს პოლიტიკური საქმიანობა. ბიწაძის მეუღლემ, ნინო ბურჯანაძემ, რომელსაც აპრილის რევოლუციის შემდგომ დღეებში ჩამოართვეს აგარაკი წყნეთში, განაცხადა, რომ ტოვებს "დემოკრატიულ მოძრაობა - ერთიან საქართველოს" და აფუძნებს მაია წყნეთელის საზოგადოებას.

- საქართველოს მმართველი საბჭო არ აპირებს, თავდაცვის მინისტრის პოსტი შესთავაზოს ირაკლი ოქრუაშვილს. "უმაგისოდაც გავართვით თავი ჩვენს საქმეს. იმისთვის არ გვიბრძოლია, რომ ესოდენ საპასუხისმგებლო თანამდებობა ხონჩით მივართვათ ადამიანს, რომელიც თითქმის ორი წელია, მოწყვეტილია ეროვნულ ნიადაგსა და კონტექსტს," - ნათქვამია მმართველი საბჭოს ლიდერების, ლევან გაჩეჩილაძისა და გიორგი ხაინდრავას ერთობლივ განცხადებაში.

- "რესპუბლიკური პარტია" გამოეყო "ალიანსს საქართველოსთვის". პარტიაში კომენტარს არ აკეთებენ, ხოლო ალიანსის პრესსამსახურის უფროსმა, ვაკო ავალიანმა ჟურნალისტებს აუწყა, რომ რესპუბლიკელები არ ეთანხმებოდნენ ალიანსის ლიდერის, ირაკლი ალასანიას მიდგომებსა და პოლიტიკას აპრილის რევოლუციის შემდგომი საქართველოს მმართველი საბჭოსადმი. მმართველმა საბჭომ ძალაუფლების სადავეები 22 აპრილს აიღო და სახელისუფლებო ინსტიტუციური ვაკუუმის პირობებში თავი ერთადერთ ლეგიტიმურ ორგანოდ გამოაცხადა.

- 2009 წლის აპრილამდელი საქართველოს მთავრობა დევნილობაში ვერა და ვერ ახერხებს, შეიკრიბოს. ყოფილი მინისტრებისა და მათი მოადგილეების დიდი ნაწილი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაშია მიმოფანტული; საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ბოლო დრომდე აშშ-ში, ტექსასის შტატში, ჯორჯ ბუში უმცროსის რანჩოში ცხოვრობდა. ჩრდილოეთ ამერიკას მიაშურა რამდენიმე ექს-დეპუტატმა. პარლამენტის ყოფილ წევრთა დიდი ნაწილი კი თურქეთში იმყოფება. რაც შეეხება ლევან თარხნიშვილს, ბოლო მონაცემებით, ის ბუდაპეშტში შენიშნეს. "ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ნაციონალური მოძრაობა ერთი კაცის პარტია იყო და მის წევრებს არავითარი თვითორგანიზაციის უნარი არ გააჩნიათ," - განაცხადა საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილემ კახა კუკავამ.

- 26 მაისს ასათიანის ქუჩაზე მდებარე კლინიკიდან გაწერეს უცნობი - გიიორგი გაჩეჩილაძე. "თავს კარგად ვგრძნობ, - განაცხადა ყოფილმა პაციენტმა, - სული დამიმშვიდდა, საკანში აღარ შევბრუნდები. ვაპირებ ახალი კლიპი შევქმნა ბასა ფოცხიშვილთან ერთად". გაჩეჩილაძის მკურნალმა ექიმმა, პროფესორმა ცნობილაძემ დაადასტურა, რომ მკურნალობის კურსი წარმატებით დასრულდა. "ჩვენ ერთად დავძლიეთ სიხარულის ელდა, რომელიც უცნობს ეცა სააკაშვილის გადადგომისთანავე," - თქვა პროფესორმა და ღიმილით დასძინა: "გია, უბრალოდ, ინფორმირებული არ იყო იმის თაობაზე, რომ ბასა ფოცხიშვილი კულტურის მინისტრად დაინიშნა. დარწმუნებული ვარ, ამ ამბავს მშვიდად გადაიტანს".

- საპრეზიდენტო არჩევნების მეორე დღეს ქართველ ლეიბორისტთა ლიდერი სასწრაფოდ ვენაში გადააფრინეს. პარტიაში აცხადებენ, რომ შალვა ნათელაშვილმა გეგმიური კარდიოლოგიური შემოწმება უნდა გაიაროს. "ამასთან, ბატონ შალვას ძალიან უნდა ზიგმუნდ ფროიდის სახლ-მუზეუმის მონახულება," - დასძინა ნესტან კირთაძემ. თუმცა, ცესკო-ში ლეიბორისტების წარმომადგენელმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ბ-ნ შალვას გაუჭირდა არჩევნების შედეგებთან შეგუება. შეგახსენებთ, ნათელაშვილი 7,68%-ით საპრეზიდენტო კანდიდატთა შორის მეოთხე იყო. პრეზიდენტობისათვის აუცილებელი ხმების 50%-ს პლუს ერთი ხმის მოგროვება პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოახერხა.

- რძის პროდუქტების მწარმოებელმა კომპანიებმა და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ შესაბამისად კორპორატიული და უწყებრივი მარხვის ვალდებულება იკისრეს პეტრე-პავლობის მარხვის მთელ პერიოდში. "პროდუქციას ძველებურად გამოვუშვებთ, თუმცა, მეტ წილს სამარხვო მაიონეზი დაიკავებს. რაც შეეხება თანამშრომლებს, უკლებლივ ყველა მათგანი შეინახავს მარხვას," - განაცხადა რპმკ პროფესიული ასოციაციის "რძე და ყველის" პი-არ მენეჯერმა გელა მოწონელიძემ. გარემოს დაცვის სამინისტრომ ამ პერიოდში ხის მოჭრა აკრძალა.

- დედოფლისწყაროში გაიხსნა საწარმო, რომელიც გამოუშვებს შპალერს ტელეპროექტ "საქართველოს დიდ ათეულში" გამარჯვებულ პირთა გამოსახულებით. შპალერზე დატანილი იქნებიან ის პირებიც, რომლებიც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას წმინდანად ჰყავს შერაცხილი. მაჩხაანისა და მირზაანის ეპისკოპოსმა, მეუფე გაიოზმა რჩევით მიმართა მრევლის წევრებსა და პოტენციურ მყიდველებს, არ მიადგან ავეჯი იქ, სადაც წმინდანები იქნებიან გამოსახული.

- კონსერვატიული პარტიის ყოფილი ლიდერი, ზვიად ძიძიგური ბერად აღიკვეცა. აწ უკვე მამა ზინობიმ აღკვეცამდე განაცხადა, რომ თავისი ერის ყველა ღირსებასა და ნაკლს ატარებდა და სწორედ ამ ნაკლისა თუ ცოდვების მოსანანიებლად შეუდგა საუფლო გზას. პირველი ინიციატივა, რაც მამა ზინობიმ გააჟღერა, სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიში სამონასტრო ცხოვრების დაფუძნება და განვითარებაა.

- დასრულდა 2009 წლის ვადამდელი კონკურსი ქართველი ჟურნალისტებისათვის. ნომინაციაში "წლის შეკითხვა" გაიმარჯვა ინგა გრიგოლიას კითხვამ, რომელიც "პოლიტიკური კვირის" წამყვანმა 5 აპრილს დაუსვა საქართველოს მაშინდელ ვიცე-პრემიერს, გიორგი ბარამიძეს: "თუ 2003 წლის ნოემბერში შეიძლებოდა პარლამენტში შევარდნა, რატომ არ შეიძლება ახლა?" "ეს იყო შეკითხვა, რომელსაც მთელმა ქართველმა ხალხმა გასცა პასუხი," - განაცხადა საკონკურსო ჟიურის თავმჯდომარემ, თსუ საპატიო პროფესორმა ნუგზარ ფოფხაძემ.

- ყოფილი მოძრაობა "რატომ" და ყოფილი თანასწორობის ინსტიტუტის წევრები ცრუ ინფორმაციის განზრახ გავრცელებისათვის სასამართლოში უჩივიან გაზეთ "24 საათს", რომელმაც ისინი 9 აპრილამდე მოიხსენია "საქართველოს ახალგაზრდა მაზოხისტთა კავშირის" წევრებად. თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი პირადად შეიტანეს ახალგაზრდული დეპარტამენტის თავმჯდომარემ ჯაბა ჯიშკარიანმა და საარჩევნო ბლოკის, "საქართველოს წინსვლის" მე-15 ნომერმა დაჩი ცაგურიამ.

## "სახალხო ბანკი" "საპენსიო სესხების" გაცემას იწყებს




"სახალხო ბანკის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი ღლონტმა განცხადება გააკეთა "საპენსიო სესხების" აღდგენასთან დაკავშირებით.

"საპენსიო სესხით" სარგებლობას მომხმარებელი 13 აპრილიდან შეძლებს. როგორც გიორგი ღლონტმა განაცხადა - "ამ ეტაპზე უპირველეს პრიორიტეტს "საპენსიო სესხის" აღდგენა წარმოადგენდა, რომლითაც სარგებლობა შეეძლებათ პენსიონერებს, დევნილებს და ყველა იმ კატეგორიის მომხმარებელს, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალური დახმარებასა და შემწეობებს „სახალხო ბანკის" ქსელის მეშვეობით იღებს". აღნიშნული სახეობის სესხებისთვის "სახალხო ბანკი" 40 მლნ ლარის რესურსის დახარჯვას გეგმას.

# ვის რა უჯდება საქართველოს იმიჯის შელახვა

თინა შავაძე

4 წლის მუშაობის შედეგებით საქართველომ წარმატებული ქვეყნის იმიჯი დაიმკვიდრა, მაგრამ გასული წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევების მიხედვით, არაპროგნოზირებადი ქვეყნის სტატუსი შესძინა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო პოლიტიკურად არასტაბილურია და ქვეყანაში ინვესტიციების ჩადება ისეთ რისკებს მოიცავს, რომელთა პროგნოზირებაც ძალიან რთულია. დღევანდელი საპროტესტო გამოსვლების დიდი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საქართველო შეიძენს სახიფათო ქვეყნის სახელს და ეს სტატუსი, რა თქმა უნდა, ახლანდელზე ბევრად უარესია, რადგან ცნობილია, რომ სარისკო ზონაში ფინანსური რესურსის შეტანა თავად ამავე ქვეყნისთვის ჯდება ძვირი, ხოლო თუ მას ყველაზე ცუდი - dangerous სტატუსი აქვს მინიჭებული, მაშინ უცხოური ინვესტიცია ორჯერ ძვირდება და ის თითოეული მოქალაქის გადასახდელია. არსებული რეალობის მიუხედავად, ქვეყნის მთავრობა ოპტიმისტურად არის განწყობილი.

მოსალოდნელი საპროტესტო გამოსვლების წინა დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" კერძო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა. საერთაშორისო სამრეწველო პალატის წევრი კომპანიების ინიციატივით ორგანიზებულ შეხვედრაზე ერთობლივი განცხადება გაკეთდა. აღნიშნულ პალატაში გაწევრიანებულია 100-ზე მეტი მსხვილი კომპანია. ბიზნესმენების წინაშე მთავრობამ გასული წლისა და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ეკონომიკის დარგში მიღწეული შედეგები შეაჯამა. არსებული ეკონომიკის მთავარი მაჩვენებლები - მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა, ინფლაციის ერთნიშნა მაჩვენებელი, საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობა ადასტურებს იმას, რომ საქართველოში საინვესტიციო გარემო არ გაუარესებულა. ამიტომაც ინვესტორების ნდობა, ასე თუ ისე, არსებობდა და ქვეყანაში საერთაშორისო ფინანსების შემოდინება არ შეჩერებულა. გარდა ამისა, საბანკო და ბიზნესსექტორი მდგრადია.

ნიკა გილაურის თქმით, "ერთადერთი შედეგი, რომლის მოტანაც ამ აქციებს შეუძლია, ეს ეკონომიკისა და ბიზნესის შესუსტება და სამუშაო ადგილების დაკარგვა იქნება". რაც შეეხება იმას, გაუძლებს თუ არა საპროტესტო აქციებს ქართული ეკონომიკა, გილაურის პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკამ ბევრს გაუძლო და დაამტკიცა, რომ კიდევ ბევრის გაძლება შეუძლია. ამაზე მეტყველებს საბანკო რეზერვი და შესრულებული ბიზნესაქტივობა.

როგორც საერთაშორისო სამრეწველო პალატის თავმჯდომარე ფადი ასლი აცხადებს: "ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მხარეები საკუთარი ინტერესების დაცვას კანონის ფარგლებში მოახერხებენ და ასევე იმედს გამოვთქვამთ, რომ 9 აპრილის მოვლენები მშვიდობიანად ჩაივლის და გრძელვადიანი აქციები ბიზნესაქტივობაზე ნაკლებად იმოქმედებს. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, ადგილობრივ საფინანსო და სხვა სექტორებში სტაბილურობა შენარჩუნებულია და ამისთვის საქართველოს ხელისუფლებამ მაქსიმუმი გააკეთა."

ბიზნესმენი თემურ ჭყონია საპროტესტო აქციების გაგრძელების შემთხვევაში პესიმისტურ პროგნოზს აკეთებს და ამბობს: "თუკი აქციები დიდხანს გაგრძელდება, ქართული ეკონომიკა ამას დიდხანს ვერ გაუძლებს და ეს ბიზნესისთვის ნამდვილი კატასტროფა იქნება. ხელისუფლებამ და ოპოზიციამ აუცილებლად უნდა გამონახონ საერთო პოზიცია, რათა ეს ყველაფერი ბიზნესზე არ აისახოს. ეკონომიკა მართავს ბიზნესსა და პოლიტიკას, სწორედ ამიტომ ნებისმიერ სიტუაციაში, იქნება ეს ახალი კანონპროექტი თუ ინვესტიციები, ხელისუფლებამ და ბიზნესმენებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ, მხოლოდ ამის შემდეგ ეშველება ეკონომიკასაც და პოლიტიკასაც."

# "საქართველოს ბანკმა" ერგნეთში ომის დროს დაზარალებული სკოლა აღადგინა

ნათია ყიფიანი



"საქართველოს ბანკმა," მის მიერ დაარსებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა დახმარების ფონდის მიერ, აგვისტოს მოვლენების დროს დაზარალებული რეგიონიში, სოფელ ერგნეთში, ერგნეთ-მამისაანთუბნის საჯარო სკოლის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები განახორციელა. ერგნეთ-მამისაანთუბნის საჯარო სკოლის აღდგენითი სამუშაოები "საქართველოს ბანკის" დახმარების ფონდმა 2008 წლის ნოემბერში დაიწყო. ერგნეთის სკოლის სრულ აღდგენაზე, რემონტსა და აღჭურვაზე ფონდა 166,600 ლარი მიმართა.

აღნიშნულ სკოლას, მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოები ესაჭიროებოდა - 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად, სკოლაში დაზიანდა კედლები, ჩამოინგრა სახურავი, განადგურდა და გაიძარცვა სკოლის გათბობის სისტემა და სრულიად განადგურდა სასკოლო ინვენტარი.

სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, სკოლაში აღდგა დაზიანებული კედლები და სახურავი, განახლდა გათბობის სისტემა. ფონდმა ასევე უზრუნველყო სკოლის სრული მომარაგება ახალი სასკოლო ავეჯით, სპორტული და სასკოლო ინვენტარით, მათ შორის: გეოგრაფიული და ისტორიული რუქები, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, ფიზიკის და სხვა საგნების თვალსაჩინოების კომპლექტები. ფონდმა სკოლას გადასცა და დაუმონტაჟა კომპიუტერები, ასევე შეუძინა ტელევიზორი, DVD და ვიდეო საკრავი, მუსიკალური ცენტრი. ბიბლიოთეკისთვის შეძენილ იქნა მხატვრული ლიტერატურა.

დღეისათვის, ერგნეთ-მამისაანთუბნის სკოლაში 30 მოსწავლე ირიცხება. სკოლის საერთო ფართობი 350 კვ. მეტრია.

ფონდისთვის, სოფელ ერგნეთში არსებული სკოლა, უკვე რიგით მეორე აღდგენილი სკოლაა. ერთი თვის წინ "საქართველოს ბანკის" დახმარების ფონდმა დაზარალებულ რეგიონში დაასრულა სოფელ დიცის საჯარო სკოლის აღდგენა-გარემონტება და ინვენტარით აღჭურვა.

"მოგახსენებთ, რომ "საქართველოს ბანკმა" დააფუძნა ფონდი, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად. ეს არის უკვე მეორე სკოლა, რომელიც აღნიშნულმა ფონდმა დააფინანსა. სკოლის უმაღლესი სტანდარტებით მოწყობაზე დაიხარჯა 170 ათასი ლარი. პირველი სკოლა ჩვენ აღვადგინეთ სოფელ დიცში. ფონდი რა თქმა უნდა, განაგრძობს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას." - განაცხადა "საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა გვარამია: "დღეს არის მნიშვნელოვანი დღე, "საქართველოს ბანკი" განაგრძობს ძალიან კეთილშობილურ საქმეს და ეხმარება კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონს. ერგნეთთან სადაც ერთი ხელის გაწვდომაზე არის ცხინვალი, სწორედ ამ ადგილას სკოლის ამ კონდიციამდე მიყვანა ძალიან მნიშვნელოვანი და დასაფასებელია. ეს არის საერთო საქმე. ჩვენ გვჭირდება ამ სფეროში დახმარება. შესაბამისად, მადლობლები ვართ და მიგვაჩნია, რომ "საქართველოს ბანკი" მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს."

## ენერგეტიკის სფეროში მემორანდუმი გაფორმდა

სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის ენერგოხიდის პროექტის მხარდაჭერის ფარგლებში, კომპანია "აზერენერჯიმ", საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ და თურქეთის ელექტროენერგიის ტრანსმისიის კორპორაციამ ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმეს.

ღონისძიებას საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური დაესწრო. პროექტი ენერგოხიდი აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ არის დაფინანსებული. მემორანდუმის თანახმად"აზერენერჯისთან" ერთად საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა და თურქეთის ელექტრონული ტრანსმისიის კორპორაცია მაღალი ძაბვის ქსელების რეგიონულ მოდელს შეიმუშავებენ. ეს კი, თავის მხრივ, ელექტროენერგიის ქსელის სიმძლავრესა და ელექტროენერგიის გაცვლა-გაყიდვის პროცესს გააუმჯობესებს, რაც საბოლოოდ სამივე ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე დადებითად აისახება. ალექსანდრე ხეთაგურის განცხადებით, დღეს გაფორმებული მემორანდუმი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ნავთობისა და ბუნებრივი აირის სფეროში მიმდინარე პროექტების განხორციელებას.

"ეს ქვეყნის ეკონომიკაზე დადებით გავლენას მოახდენს. მაღალი ძაბვის ქსელის სიმძლავის გაუმჯობესებით საქართველოს შესაძლებლობა მიეცემა, ელექტროენერგია ევროკავშირის ქვეყნებში გაყიდოს. ნავთობსადენისა და გაზსადენის აშენების შემდეგ ზემოთაღნიშნული პროექტის მეშვეობით, ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებული რეგიონული პრობლემების გადასაჭრელად საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი ისევ გაერთიანდებიან", - აღნიშნა ალექსანდრე ხეთაგურმა.

## ჩინური პროდუქციის ექსპორტი შემცირდა

მსოფლიოში ჩინური პროდუქციის ექსპორტი მცირდება. ჩინეთის მთავარი საბაჟო სამმართველოს ინფორმაციით, 2009 წლის იანვარ-თებერვალში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ჩინური ტანსაცმლისა და ტექსტილის ექსპორტი 14,5 პროცენტით შემცირდა. ამასთან, მხოლოდ თებერვალში ექსპორტის შემცირების მაჩვენებელმა 35,1 პროცენტი შეადგინა.

მნიშვნელოვნად შემცირდა ჩინური ფეხსაცმლის ექსპორტიც. მიმდინარე წლის იანვრის დასაწყისიდან თებერვლის ბოლომდე ფეხსაცმლის ექსპორტი 9,7 პროცენტით შემცირდა. აქედან თებერვალში საზღვარგარეთ 26,3 პროცენტით ნაკლები ფეხსაცმელი გაიტანეს, ვიდრე 2008 წლის ანალოგიურ პერიოდში.

ასევე მცირდება ჩინური წარმოების სათამაშოების ექსპორტის მოცულობა. 2009 წლის იანვარ-თებერვალში ეს მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 17,1 პროცენტით შემცირდა. ჩინური პროდუქციის ექსპორტის შემცირება გლობალური საფინანსო კრიზისის გაღრმავებასა და მსოფლიო ბაზარზე არსებულ სავაჭრო პროტექციონიზმს უკავშირდება.

## ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერთიფიკატების აუქციონი

ეროვნული ბანკის 92-დღიან N14, სადეპოზიტო სერთიფიკატების აუქციონზე 16 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

ფასიანი ქაღალდები შეიძინა ორმა კომერციულმა ბანკმა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 13.00 პროცენტით, მაქსიმალური 13.00 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 13.00 პროცენტით.

## "გურჯაანის გამგებლის პირველი მოადგილე მეწარმეებს წილებს აწერს"

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე დავით ქათამაშვილი რაიონში მომუშავე მეწარმეებს წილებს სთხოვს. გარდა ამისა, გამგებლის მოადგილე საკუთარ სამუშაო ოთახში საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი სამსახურების ხელმძღვანელებს იბარებს და მათ საქმიანობაში უხეშად ერევა, კონკრეტული პირების გათავისუფლებას და სხვების დანიშვნას სთხოვს, - ამის შესახებ ძადამიანის უფლებათა ცენტრის" კახეთის რეგიონულმა კოორდინატორმა გელა მთივლიშვილმა განაცხადა. მთივლიშვილის ცნობით, ეს ინფორმაცია ძადამიანის უფლებათა ცენტრს" კერძო მეწარმეებმა და საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მიაწოდეს. მისივე თქმით, ორგანიზაციისთვის კონკრეტული ფაქტებიც არის ცნობილი, თუმცა რესპონდენტებს ვინაობის საჯაროდ გამჟღავნება არ სურთ.

გამგებლის მოადგილის დავით ქათამაშვილის განცხადებით, მას სრული უფლება აქვს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების ხელმძღვანელები დაიბაროს და მათ კონკრეტული ქმედებების განხორციელება მოსთხოვოს, თუმცა წილების შეწერების და სამსახურბრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებს არ ადასტურებს. ძეს არის აბსოლუტური სიცრუე. მაგის უფლებაც არ გაქვთ, რომ მკითხოთ, ვერევი თუ არა საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი სამსახურების საქმიანობაში და ვაწერ თუ არა ვინმეს წილებს", - აღნიშნა ქათამაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ დავით ქათამაშვილი ძმოქალაქეთა კავშირის" მმართველობის დროს კახეთის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილე იყო. ხელისუფლებაში ძნაციონალური მოძრაობის" მოსვლისთანავე ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს, რის შემდეგაც ქათამაშვილმა გურჯაანში ბენზინგასამართი სადგური კანონდარღვევით ააშენა. სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, რომ ბენზინგასამართი სადგური უკანონოდ იყო აშენებული, რამდენიმე მეტრში მცხოვრები მოსახლეობის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდა და ამის გამო მისი დემონტაჟი უნდა მომხდარიყო, ობიექტმა ფუნქციონირება ექსპლუატაციაში მიღების გარეშე დაიწყო და დღემდე მუშაობს, - იუწყება კახეთის საინფორმაციო ცენტრი.

# ოთხი მოსაზრება



ზაზა მეიშვილი



ირაკლი კოტეტიშვილი



გელა ნიკოლაიშვილი



გიორგი ჩხეიძე

თამარ კაციტაძე

*თავის დროზე, საქართველოში, ევროკავშირის მხარდაჭერით სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია შემუშავდა, რომელიც 2005 წელს ქვეყნის პრეზიდენტმა მოიწონა. 2007 წელს კი რეფორმის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა პრემიერ-მინისტრმა დაამტკიცა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალ კანონპროექტზე მუშაობა, რომელიც დღევანდელი კანონმდებლობისგან ფუნდამენტურად განსხვავებულია. პარლამენტმა კანონპროექტის ახალი ვერსია პირველი მოსმენით დაამტკიცა კიდეც. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი, ცივილური ვარიანტის დროული მიღება ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.*

ექსპერტები, რომლებიც ამ კანონპროექტის შემუშავებაზე მუშაობდნენ და დღესაც მუშაობენ, მიიჩნევენ, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უდავოდ პროგრესული ნაბიჯია ქართულ სამართალწარმოებაში. თუმცა, არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. თუ ექსპერტთა ნაწილი ამტკიცებს, რომ კანონპროექტის დღევანდელი სახე თითქმის სრულყოფილია, სხვები ირწმუნებიან, რომ კანონპროექტს პროგრესული ცვლილება არ განუცდია. ამჯერად გთავაზობთ რამდენიმე მხარის მოსაზრებას - მართლმსაჯულების, პროკურატურისა და დაცვის მხარის პოზიციას, ასევე, დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასებას. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად, განსხვავებული შეხედულებებისა, ყველა მხარე კოდექსის ახალ პროექტს ზოგადად დადებითად აფასებს.

## პროგრესული კანონპროექტი

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა მეიშვილი მიიჩნევს, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განვითარებისთვის წინგადადგმული ნაბიჯია, არა მარტო სასამართლოსთვის, ადვოკატურისა და პროკურატურისთვის, არამედ, ზოგადად, სამართლებრივი სახელწიფოს მშენებლობისთვის.

ახალი საპროცესო კოდექსით გამყარებულია მხარეთა შეჯიბრობითობის პროცესი, სადაც მხარეებს თანაბარი უფლებები გააჩნიათ. სასამართლო, როგორც ნამდვილი არბიტრი წარმართავს მხოლოდ კონკრეტული საქმის განხილვის მიმდინარეობას, მისი მოვალეობაა წაიყვანოს პროცესი და მხარეებს მტკიცებულებების წარმოსადგენად თანაბარი საშუალება მისცეს. რაც შეეხება მტკიცებულებების წარმოჩინებას და მათ მიტანას მართლმსაჯულებამდე, ეს უკვე მხარეებზე იქნება დამოკიდებული. სასამართლო მხოლოდ და მხოლოდ ფაქტების შემფასებელი და გადაწყვეტილების მიმღებია. ანუ, დღევანდელი პროცესისგან განსხვავებით, სადაც სასამართლოს გარკვეულწილად ეკისრება ვალდებულება დამატებითი მოქმედებების განსახორციელებლად, ახალი საპროცესო კოდექსის პროექტით, მოსამართლეს არ აქვს უფლება, არ ეკისრება ვალდებულება, რომ შეითავსოს ამა თუ იმ მხარის ფუნქცია.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალ ვარიანტთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, ყველას აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი მოსაზრება, მაგრამ ვფიქრობ, დღეს არსებული კანონპროექტი საკმაოდ პროგრესულია - ძალიან ბევრი ევროპული ქვეყნის მოქმედ პროცესებზეც უკეთესი შემოთავაზებაა. თუნდაც იმით, რომ მხარეებს ობიექტურად თანაბარი შესაძლებლობა ენიჭებათ მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებით. მართალია, ადვოკატს პროკურორისგან განსხვავებით, ყველა საგამოძიებო მოქმედების განხორციელების საშუალება არ აქვს, მაგალითად, იგი ვერ განახორციელებს ფარულ საგამოძიებო მოქმედებას, მაგრამ, სამაგიეროდ, დაცვის მხარეს აქვს უფლება გარკვეული მტკიცებულება შემოინახოს, მაშინ, როდესაც ბრალდების მხარე ვალდებულია ყველა მტკიცებულება თავიდანვე წარმოდგინოს.

კანონპროექტის დამტკიცებას თავის დროზე ხელი შეუშალა ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა - არჩევნებმა, საომარმა მოქმედებებმა და ასე შემდეგ. თუმცა, მიმაჩნია, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განხილვა და მიღება არ არის მარტივი, რადგან ეს არის ფუნდამენტური კანონი, რომელსაც უნდა სიღრმისეული გააზრება და, ბუნებრივია, ჭირდება დრო, - ასეთია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ზაზა მეიშვილის მოსაზრება.

## დემოკრატიისკენ გადადგმული ნაბიჯი

იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის აპარატის უფროსი ირაკლი კოტეტიშვილი მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი სისხლის სამართლის კანონმდებლობის რევოლუციური სიახლეა.

ქვეყანა გადადის დასავლეთში აპრობირებულ შეჯიბრებით სისხლის სამართალზე, რაც, თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მხარეები თანაბარ მდგომარეობაში იქნებიან, ენიჭებათ თანაბარი უფლებები, დაწყებული წინასწარი გამოძიებით, დამთავრებული სასამართლო პროცესით - ეს არის ამ რეფორმის ამოსავალი პრინციპი.

რეფორმა თავისთავად გულისხმობს რამდენიმე რადიკალურ ცვლილებას. კერძოდ, ახალი კანონპროექტით ძალიან არის შემცირებული საპროცესო ვადები. როგორც ცნობილია, დღევანდელი კანონმდებლობით, წინაწასწარი გამოძიებისთვის არ არის დაწესებული ვადები, ხოლო ისეთ საქმეებზე, სადაც უკვე არსებობს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული, არსებობს 12-თვიანი ვადა, რის შემდეგაც საქმე მიდის სასამართლოში, ახალი კანონპროექტით, ეს ვადა მცირდება 60 დღემდე. პრაქტიკულად, ამით პროკურატურის დატვირთვა მნიშვნელოვნად იზრდება, სამაგიეროდ, ჩვენ ვაღწევთ იმ პრინციპს, რასაც ჰქვია სწრაფი მართლმსაჯულება.

ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ წინასწარი პატიმრობის ვადები, რომელიც შეიძლება მაქსიმუმ ოთხთვემდე გაგრძელდეს, ასევე 60 დღემდე მცირდება. ამასთან, მოსამართლესაც უკვე მხოლოდ ერთხელ შეუძლია გააგრძელოს წინასწარი პატიმრობის გონივრული ვადა.

მნიშვნელოვანია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედება. საპილოტოდ პირველ წელს შერჩეულია თბილისის საქალაქო სასამართლო, რათა ამ ინსტიტუტმა საქართველოში ტესტირება გაიაროს. ანუ გამოვცადოთ ყველა თვალსაზრისით, რათა როცა იგი მთელს ქვეყანაში ამოქმედდება, მინიმუმამდე იყოს დაყვანილი შესაძლო ხარვეზები.

საპროცესო კოდექსის პირვანდელმა ვარიანტმა გარკვეული ცვლილებები ნამდვილად განიცადა, მაგრამ ვერ დავეთანხმები ჩვენს ოპონენტებს იმაში, რომ ამ ცვლილებებმა გააუარესა დაცვის უფლება. ეს დადასტურდა კიდეც პარიზში, ევროსაბჭოს ეგიდით გამართულ კონფერენციაზე, რომელსაც საპროცესო კოდექსის პროექტზე მომუშავე ყველა მხარე ესწრებოდა. ამ შეხვედრიდან ორი კვირის შემდეგ პარიზიდან ჩამოგვივიდა დასკვნა, სადაც ხაზგასმით წერია, რომ ეს კანონპროექტი არის დემოკრატიისკენ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი. უფრო მეტიც, ევროპელმა ექსპერტებმა გარკვეულწილად ეჭვიც გამოთქვეს, რამდენად შეძლებს საქართველო შეჯიბრებით სამართალზე გადასვლას, რადგან განხორცილების ის გზები, რომელიც ჩადებულია ახალ კოდექსში, არის საკმაოდ ამბიციური, პირველ რიგში - პოლიციისთვის, პროკურატურისთვის, სასამართლოსთვის, რადგან ამ სტრუქტურების მუშაობა ძალიან რეგლამეტირებულია, - აცხადებს ირაკლი კოტეტიშვილი.

## ადვოკატის მოსაზრება

ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი აცხადებს, რომ საპროცესო კოდექსის პროექტის ის ვარიანტი, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო, გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ამჟამინდელი, რომელშიც, პირველი მოსმენის შემდეგ ცვლილებები შევიდა. თუმცა, ადვოკატი კოდექსის კანონპროექტს ზოგადად, მაინც დადებითად აფასებს.

პროექტში არის ორი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც უდავოდ მისაღებია. პირველი ის, რომ უქმდება წინასწარი გამოძიება და ბრალდების და დაცვის მხარეები თანაბარ პირობებში იქნებიან. ანუ დაცვასაც შეუძლია აწარმოოს საკუთარი გამოძიება, აღარ იქნება წინასწარ ნორმად მიღებული დაკითხვები, რომელსაც დღესაც არაჯანსაღად იყენებს პროკურატურა. ახალი კოდექსით იქნება მხოლოდ გამოკითხვა, რომელიც მტკიცების ძალას მხოლოდ მას შემდეგ შეიძენს, როცა მას დაესწრება მოსამართლე.

და მეორე. დადებითი სიახლეა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი - დამნაშავეა თუ არა პირი ვერდიქტს გამოიტანს ნაფიცი მსაჯულთა ჟიური.

მაგრამ კანონპროექტში არის არა ერთი უარყოფითი ნიუანსი, რომელმაც შეიძლება გადაფაროს ეს ორი მნიშვნელოვანი, პროგრესული ნორმა. მაგალითად, კანონპროექტით, მართალია, ადვოკატს აქვს გამოძიების უფლება, მაგრამ ეს ნორმა არ არის უზრუნველყოფილი რაიმე მექანიზმით. კერძოდ, გამოძიებას თუ შეუძლია სახელმწიფო ან კერძო სტუქტურიდან გამოითხოვოს ესა თუ ის მტკიცებულება და ამის შესრულება სავალდებულოა, ადვოკატის შემთხვევაში, ამ სტრუქტურებს არანაირი ვალდებულება არ ეკისრებათ. იგივე ეხება ამოცნობას - პროკურორს ნებისმიერ დროს შეუძლია ციხეში ამოსაცნობად შეიყვანოს რამდენიმე პირი, დაცვის მხარეს კი ეს უფლება არ აქვს. ანუ, ახალი კანონპროექტში მხარეთა თანაფარდობა დაცულია დეკლარირების დონეზე, მაგრამ როდესაც თითოეულ მუხლს ჩაუღრმავდები, ხვდები, რომ დაცვის მხარეს ბერკეტები და მექანიზმები არ აქვს, - ასეთია ადვოკატის პოზიცია.

## ˝ეს არ უნდა იყოს ფიქცია˝

სახალხო დამცველი მოადგილე გიორგი ჩხეიძე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტზე თავადაც მუშაობდა, მაშინ, როცა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე იყო. მან საკუთარი მოსაზრებები პროექტთან დაკავშირებით პარლამენტს არა ერთხელ გაუგზავნა.

ამ კანონპროექტთან დაკავშირებით, 2007 წლის სექტემბერში დეპუტატებს გავუგზავნე წერილი, სადაც ვამბობდი, რომ პროექტი ამ ხნის განმავლობაში ისე შეიცვალა, რომ იგი არსებითად მიაყენებს ზიანს დაზარალებულებს. სხვათა შორის, პარიზში ევროსაბჭოს ეგიდით გამართულ შეხვედრაზეც, ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა საქართველოს მთავრობას ძალიან კარგი რეკომენდაციები მისცეს, სადაც გაიზიარეს ის პრეტენზიები, რომლებიც ჩვენ გაგვაჩნია.

თუმცა, ახალი საპროცესო კოდექსის მიღება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ არსებული კანონმდებლობა იმდენად არის დამახინჯებული, რომ უკვე აღრეულია საპროცესო შეთანხმება და ინკვიზიციური სისტემა. ანუ, არსებული კოდექსი ხელს უწყობს იმას, რომ უსამართლო სამართალი იყოს ქვეყანაში.

მთავარია, ახალი კოდექსის მიღებით რეალური რეფორმა ჩავატაროთ და არა ფორმალური. ძალია მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულის და მოწმის უფლება იყოს დაცული, რაც საპროცესო კოდექსის დღევანდელ ვარიანტში იგნორირებულია. მოწმის თემასთან დაკავშირებით, პარლამენტში ხშირად არის დავა, საკანონმდებლო ორგანის წარმომადგენლების გარკვეული ნაწილი ამტკიცებს, რომ მოწმეს არ ჭირდება ადვოკატი, ჩვენ აზრით კი, პირიქით, რადგან ქვეყანაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანთა დიდ ნაწილს გამოძიება იბარებს მოწმის სახით და საბოლოოდ, მას ბრალდებულის სტატუსით აპატიმრებს.

ჩვენი სამართლებრივი და საპროცესო სისტემის ტკივილია დაზარალებულიც. ახალი კოდექსით, პროკურატურას უფლება ექნება თავად გადაწყვიტოს, წაიღოს თუ არა საქმე სასამართლოში, დაზარალებულს კი აქვს უფლება ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო წესით მიიღოს. არავინ კითხულობს, არის თუ არა დაზარალებულისთვის სამოქალაქო დავა საკმარისი. იმ კანონპროექტში, რომელიც პირველი მოსმენით მიიღო პარლამენტმა, ჩადებული იყო, რომ დაზარალებულს შეეძლო შეკრებილი მტკიცებულებები წარედგინა სასამართლოსთვის და მოსამართლეს მიელო გადაწყვეტილება - პირის ბრალის დადასტურება-უარყოფაზე, მაგრამ ეს ნაწილი დროთა განმავლობაში პროექტიდან გაქრა. არადა, სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიაში ეს პრინციპი დღემდეა ჩადებული.

კოდექსში არის მნიშვნელოვანი დადებითი მომენტებიც, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ფიქცია, - აცხადებს გიორგი ჩხეიძე.

# ერაყის ბედი ერაყელების ხელში

მარიკა იაშვილი

**"ერაყის მომავალი ბედის კონტროლი და ქვეყნის შიდა პრობლემების მოგვარება ერაყელების საქმეა და ეს მათ დამოუკიდებლად უნდა გააკეთონ,"** - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სამშაბათს ბაღდადში მოკლე, გაუხმაურებელი ვიზიტისას. **"დროა, ამერიკულმა ჯარებმა თავი დაანებონ ერაყში სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობას,"** - კიდევ ერთხელ აღნიშნა მან.

ვაშინგტონი აქტიურად უჭერს მხარს სხვადასხვა პოლიტიკურ ფრაქციებს შორის ურთიერთობის მოსაგვარებლად გადადგმულ ყოველ ნაბიჯს და სუნიტური უმცირესობის ხელისუფლებაში და უსაფრთხოების სამსახურებში ჩართვის მომხრეა, - აღნიშნა ობამამ. ეს საკითხები ამერიკელმა ლიდერმა ერაყის პრემიერ-მინისტრ ნური ალ-მალიქთან შეხვედრისას განიხილა.

ობამა ირწმუნება, რომ ვაშინგტონი ბაღდადის დახმარებას მომავალშიც განაგრძობს, თუმცა აუცილებელია, ადგილობრივმა პოლიტიკოსებმა არსებული წინააღმდეგობების აღმოფხვრასა და პრობლემების მოგვარებაზე თავადვე იზრუნონ. **"ჩვენ ამას მათ ნაცვლად ვერ გავაკეთებთ,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა.

ერაყში ყოფნის ოთხი საათის განმავლობაში ობამა უმსხვილეს ამერიკულ ბაზა "კემპ - ვიქტორიზე" ჯარისკაცებსა და მეთაურებს შეხვდა. მისი განცხადებით, ის, რომ ერაყი **"დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოდ" იქცა, ამერიკელ სამხედროთა "უდიდესი დამსახურებაა."**



AFP ' 2009

*ბარაკ ობამა მოულოდნელი ვიზიტით ერაყში*

ერაყის ომის განმავლობაში, რომელიც 2003 წელს დაიწყო, 4 265 ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა. ერაყელთა დანაკარგი ბევრად უფრო დიდი იყო. ოფიცრებმა სცადეს, პრეზიდენტი დაერწმუნებინათ, რომ ბოლო პერიოდში უსაფრთხოების თვალსაზრისით ვითარება ბევრად გაუმჯობესდა, ხოლო პრემიერმა ალ-მალიქიმ პირობა დადო, რომ პროგრესი მომავალშიც გაგრძელდება. მიუხედავად ამისა, ტერაქტები არ წყდება: ამერიკის ლიდერის ჩასვლამდე სულ რამდენიმე საათით ადრე ბაღდადში აფეთქებას შვიდი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

აღსანიშნავია, რომ ჯარისკაცთა წინაშე გამოსვლისას ბარაკ ობამას ერთი სიტყვითაც არ უხსენებია კონფლიქტი ავღანეთში, რომელსაც საერთოდ დიდ ყურადღებას უთმობს - ცოტა ხნის წინათ მან იქ დამატებით 21 ათასი ჯარისკაცის გაგზავნა გადაწყვიტა.

თებერვალში აშშ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ერაყიდან ჯარების გაყვანას 2010 წლის აგვისტოსთვის გეგმავს. ამის შემდეგ ქვეყანაში შესაძლოა 50 ათასი ჯარისკაცი დარჩეს, რომლებიც ადგილობრივ ძალებს ტერორიზმთან ბრძოლაში დაეხმარებიან. ერაყიდან ამერიკული ძალების გაყვანის საკითხზე ობამა ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის დროს აქტიურად აპელირებდა, თუმცა ახლახანს განაცხადა, რომ ძალადობის აფეთქების თავიდან ასაცილებლად აჩქარება არ ღირს.

პარალელურად ობამამ განაცხადა, რომ გეგმავს, კიდევ უფრო აქტიურად ებრძოლოს "თალიბანსა" და "ალ-ქაიდას" ავღანეთში და გააძლიეროს ზეწოლა მეზობელ პაკისტანზე, რათა გაანადგუროს ტერორისტთა ბაზები, რომლებიც სასაზღვრო ტერიტორიებზეა განლაგებული.

აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში-უმცროსი პოსტზე ყოფნისას ერაყში რამდენჯერმე იყო ჩასული. ბოლო, დეკემბრის ვიზიტისას მას ერაყელი ჟურნალისტის მიერ ნასროლი ფეხსაცმელებისგან მოუხდა თავდაცვა. საინტერესოა, რომ სწორედ სამშაბათს, როდესაც ობამა ბაღდადში ჩავიდა, ერაყის უზენაესმა სასამართლომ "ფეხსაცმლის მტყორცნელს" - მუნთაზარ აზ-ზაიდის სასჯელი შეუმცირა და ახლა ის ციხეში, სამის ნაცვლად, ერთ წელს გაატარებს.

# რადას დადგენილება საკონსტიტუციო სასამართლოში

## დავა ვადამდელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე

ხათუნა გაბიევი

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის ფონზე პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო ვითარებაში გარკვევას საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით ცდილობს. უკრაინის უმაღლესმა რადამ 1 აპრილს მიიღო დადგენილება საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს დანიშვნის შესახებ, რითიც იუშჩენკოს, ფაქტობრივად, უმცირდება საპრეზიდენტო ვადა. გადაწყვეტილებას 450-დან 401 დეპუტატმა დაუჭირა მხარი. არჩევნების თარიღის განსაზღვრა, ცხადია, საკანონმდებლო ორგანოს კონსტიტუციური მოვალეობაა, მაგრამ უკრაინის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ან 2010 წლის 17 იანვარს უნდა დაინიშნოს, ან 2009 წლის 25 ოქტომბერს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებთან ერთად უნდა ჩატარდეს.

პრეზიდენტის სამდივნოს ხელმძღვანელის მოადგილე მარინა სტავნიიჩუკის განცხადებით, ვიქტორ იუშჩენკო არ აპირებს თავისი პირობების შეცვლას, კერძოდ, ცნობილია, რომ პრეზიდენტი ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას მხოლოდ საპარლამენტო არჩევნების პარალელურად ეთანხმება. სხვა შემთხვევაში საჭირო გახდება ცვლილებების შეტანა საარჩევნო კანონმდებლობაში, თანაც სადეპუტატო ხელშეუხებლობის შეზღუდვის პირობებში. სტავნიიჩუკის თქმით, პრეზიდენტსა და დეპუტატებს სჭირდებათ საერთო ენის გამონახვა ერთდროულად საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შესახებ, საამისოდ კი საჭიროა მოლაპარაკებების მაგიდასთან დასხდომა და ხელისუფლების "გადატვირთვის" ვარიანტების ძიება.

სტავნიიჩუკის თქმით, კონსტიტუციაში მკაფიოდაა განსაზღვრული ყველა სამართლებრივი მიზეზი ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისთვის. ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად ერთ-ერთი მიზეზია პოლიტიკური ნება. როგორც პრეზიდენტის სამდივნოში აცხადებენ, ამჟამად უმაღლეს რადაში საპარლამენტო კრიზისის ყველა ნიშანია სახეზე, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 15 ანტიკრიზისული კანონპროექტიდან რადამ მხოლოდ ორი მიიღო.

**"როგორც არ უნდა შეხედო, უმაღლეს რადაში შექმნილი ამჟამინდელი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი ვადამდელი არჩევნებია,"** - განაცხადა პრეზიდენტის სამდივნოს ხელმძღვანელმა ვიქტორ ბალოგამ.

მისი თქმით, მინისტრთა კაბინეტსა და უმაღლეს რადას ჯერ არ გაუციათ მკაფიოდ ფორმულირებული პასუხი პრეზიდენტის წინადადებაზე პარალელური არჩევნების ჩატარების შესახებ. ბალოგას აზრით, ცალკეულ დეპუტატთა ან მთავრობის ზოგიერთი წევრის მიერ გამოთქმული შეხედულებები ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება ოფიციალურ პოზიციად. ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება პრეზიდენტის ინიციატივის მიმართ პრემიერ იულია ტიმოშენკოსა და სპიკერ ვლადიმირ ლიტვინის დამოკიდებულებაც.

საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ერთდროულად ჩატარებაზე იუშჩენკოს მიერ მზადყოფნის გამოთქმიდან უკვე ექვსი დღე გავიდა და მინისტრთა კაბინეტსა და უმაღლეს რადას ამ ვადაში უნდა მოესწრო ოპერატიული რეაგირება, თუნდაც შიდაპოლიტიკური სახელისუფლებო კრიზისიდან გამომდინარე.

ბალოგას განცხადებით, პრეზიდენტმა მთავრობა და პარლამენტი, ყველა ფრაქციის ჩათვლით, უკვე მიიწვია დიალოგზე, რასაც მთელი საზოგადოებაც ელის.

**"იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს პრემიერ-მინისტრიც და უმაღლესი რადას სპიკერიც ყველანაირად ცდილობენ, რომ ამ თემას გვერდი აუარონ,"** - აღნიშნა სამდივნოს ხელმძღვანელმა.

უმაღლესი რადას დადგენილება, რომელსაც კენჭი 1 აპრილს უყარეს, ოფიციალურად 7 აპრილს გამოქვეყნდა. ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის განხილვისას დეპუტატები საკანონმდებლო ორგანოში ორ ბანაკად გაიყვნენ. ერთი მხრივ, ქვეყნის მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად, საპრეზიდენტო არჩევნები მოქმედი ხელმძღვანელის უფლებამოსილების მეხუთე წლის ბოლო კვირას უნდა გაიმართოს. გამომდინარე აქედან, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ვიქტორ იუშჩენკო უფლება-მოვალეობების შესრულებას 2005 წელს შეუდგა, არჩევნების თარიღი 2010 წლის 17 იანვარს ემთხვევა. თუმცა, მეორე მხრივ, იუშჩენკოს გაპრეზიდენტებისას ძველი კონსტიტუცია მოქმედებდა, რომელიც არჩევნების დანიშვნას ოქტომბრის ბოლო კვირას ითვალისწინებდა. ამ ბოლო ვარიანტის მომხრეთა რიცხვი კი საკანონმდებლო ორგანოში ბევრად მეტი აღმოჩნდა. სახელმწიფოს მეთაურმა უმაღლესი რადას გადაწყვეტილება იმავე დღეს გამოაცხადა უკანონოდ და პოლიტიკური ინტრიგების სარჩულის მქონედ. ვიქტორ იუშჩენკომ არ დაახანა და განაცხადა, რომ პარლამენტის დადგენილებას საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებდა.

# პენტაგონის ბიუჯეტი

ხათუნა გაბიევი

პენტაგონის ხელმძღვანელმა რობერტ გეითსმა ჟურნალისტების წინაშე ახალი საფინანსო წელიწადზე გათვლილი უმთავრესი საბიუჯეტო მოთხოვნები და რეკომენდაციები წარადგინა. 2010 საფინანსო წლისთვის უწყების ბიუჯეტის მოცულობა 534 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს.

წელს ტრადიცია პირველად ირღვევა - პენტაგონის საფინანსო დოკუმენტი შეერთებული შტატების კონგრესში წარდგენამდე გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი. გეითსის თქმით, ეს გამოწვეულია სავარაუდო ცვლილებების "მასშტაბებითა და მნიშვნელობით", რაც, თავის მხრივ, საზოგადოებისა და პრესის დროულ ინფორმირებულობას მოითხოვს.

თავდაცვის მინისტრის თქმით, რეკომენდაციების მომზადებისას მან სამი ძირითადი მოსაზრებით იხელმძღვანელა. პირველ რიგში, ეს არის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მოხალისეთა კონტინგენტის სრულად შენარჩუნება, რასაც გეითსი ამერიკის "მთავარ სტრატეგიულ აქტივად" მიიჩნევს. მეორე - ქვეყანა მიმდინარე ომებში ქმედობაუნარიანი, ხოლო ახალი პოტენციური საფრთხეების თავიდან ასაცილებლად მზად უნდა იყოს. და მესამე - მინისტრის აზრით, საამისოდ აუცილებელია სამხედრო შესყიდვის მთელი სისტემის "ფუნდამენტური გადახედვა".

აღნიშნული მიმართულებებიდან ოპერატიულობის თვალსაზრისით მთავარია მეორე, რომელსაც გეითსი შემდეგ ძირითად ამოცანებს უკავშირებს:

- დაზვერვის გასაძლიერებლად საბაზო ბიუჯეტში დამატებით, დაახლოებით, 2 მლრდ აშშ დოლარის ჩადება, მათ შორის, "Predator" და "Reaper"-ის ტიპის უპილოტო საფრენი აპარატების ფართოდ გამოყენების ხარჯზე;

- ვერტმფრენების გამოყენების მნიშვნელოვნად გაფართოებისთვის დამატებით ნახევარი მილიარდი აშშ დოლარის დახარჯვა, რაც "ავღანეთში უკიდურეს საჭიროებას წარმოადგენს". ამ კონტექსტში ამერიკა, ტექნიკაზე მეტად, უფრო ეკიპაჟის დეფიციტს განიცდის. შესაბამისად, სახელმწიფოს სამხედრო პილოტების დაქირავებისა და მომზადებისკენ მეტი ძალისხმევის მიმართვა მოუწევს;

- საზღვარგარეთელ კოლეგებთან პარტნიორული ურთიერთობების გაძლიერება, რისთვისაც საჭიროა დამატებით ნახევარი მილიარდი აშშ დოლარი. "ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციების ჩასატარებლად და ვითარების სტაბილიზაციის ხელშესაწყობად საჭიროა უცხოელი სამხედროების მომზადება და აღჭურვა."

- შეერთებული შტატების სპეცდანიშნულების რაზმების შესაძლებლობების გაძლიერება. პირადი შემადგენლობის გაზრდა 5 პროცენტით, რაც კონტინგენტისთვის 2800 კაცის დამატებას გულისხმობს. საჭიროა დამატებით სატრანსპორტო საშუალებებისა და საწვავით მომმარაგებელი თვითმფრინავების შესყიდვა;

- სანაპირო ზონაში მოქმედებისთვის ხომალდების შესყიდვის გაზრდა. 2010 წელს დაგეგმილია, ორის ნაცვლად, სამი ასეთი ხომალდის შეძენა, რათა მათი რიცხვი, საბოლოო ჯამში, 55 გახდეს;

- შეიარაღებული ძალებისა და იარაღის ტრანსპორტირების შესაძლებლობის გაუმჯობესება, დასაწყისში იჯარის ხარჯზე, ხოლო 2011 წლიდან საკუთარი წარმოების სპეციალიზებული ჩქაროსნული ტრანსპორტის მეშვეობით;

- არმიის ბრიგადების ბაზაზე საბრძოლო ჯგუფების რაოდენობის გაზრდის შეწყვეტა. ამავდროულად, არ გახდება საჭირო დაგეგმილი პირადი შემადგენლობის რიცხოვნობის (547 ათასი პირი) შემცირება. სამაგიეროდ, უნდა გაძლიერდეს ჯგუფების საბრძოლო მზადყოფნა.

ამის შემდეგ მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე რობერტ გეითსი "ჩვეულებრივი და სტრატეგიული მოდერნიზაციის" საკითხზე გადავიდა. მისი განცხადებით, **"შეერთებული შტატების საჰაერო უპირატესობის ინტერესების შენარჩუნებას მეხუთე თაობის ტაქტიკური საბრძოლო თვითმფრინავების"** დიდი რაოდენობით გამოყენება სჭირდება. სწორედ ამიტომ, მინისტრი საჭიროდ მიიჩნევს "F-35" ტიპის მოიერიშეების მეტი რაოდენობით შესყიდვას. გეითსის რეკომენდაციით, შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებს 2010 წლისთვის შეძენილი უნდა ჰქონდეს "FA-18" ტიპის 31 თვითმფრინავი. თუმცა, ამავდროულად პენტაგონის ხელმძღვანელი საჭიროდ მიიჩნევს "F-22" ტიპის მოიერიშეების წარმოების შეწყვეტასა და შეერთებული შტატების პრეზიდენტისთვის ახალი ვერტმფრენების წარმოების პროგრამაზე უარის თქმას.

ამასთან, პენტაგონში არც ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემაზე საუბარს აუარეს გვერდი. გეითსმა მხარი დაუჭირა დამატებით 700 მლნ აშშ დოლარის გამოყოფას "უფრო მეტად ბრძოლისუნარიანი" სისტემის შესაქმნელად, "THAAD" და "SM-3" ტიპის კომპლექსების ჩათვლით, ისევე როგორც 200 მლნ აშშ დოლარის გამოყოფას "იჯისის" სისტემის მქონე ექვსი დამატებითი ხომალდის ხელახლა აღჭურვისთვის.

საჯაროდ გაცხადებულ გეგმებს შორის არის ასევე ერთი წლის განმავლობაში კიბერნეტიკულ სივრცეში სპეციალისტების მომზადების მასშტაბების გაფართოება 80-დან 250 კაცამდე, სამხედრო-საჰაერო ძალებში საწვავით მომმარაგებლების ძველი ფლოტის განახლება, დიდი საზღვაო ხომალდების, მათ შორის ახალი თაობის კრეისერების მშენებლობის შენელება.

დაბოლოს, პრიორიტეტების საერთო სიაში რიგით მერვე ნომრად შეტანილია შეერთებული შტატების ბირთვული და სტრატეგიული ძალების პროგრამა. გეითსის თქმით, ახალ საფინანსო წელიწადში დაიწყება "ოჰაიოს" კლასის წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტების შეცვლა. გარდა ამისა, თავდაცვის მდივნის განცხადებით, პენტაგონმა გადაწყვიტა, აღარ იმუშაოს სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის ახალი მოიერიშეების შექმნაზე.

**"შეერთებული შტატები კვლავ იმუშავებს თავისი "სტრატეგიული მოთხოვნების" შეფასებაზე, კერძოდ, თავდასხმითი შეიარაღების ხელშეკრულების შეცვლის მიზნით გაიმართება მოლაპარაკებები შეიარაღებაზე კონტროლის შესახებ,"** - აღნიშნა თავდაცვის მდივანმა რობერტ გეითსმა.

ცნობისათვის - ამგვარი მოლაპარაკებების დაწყების შესახებ გადაწყვეტილება შეერთებული შტატებისა და რუსეთის პრეზიდენტებმა ცოტა ხნის წინ ლონდონში გამართულ პირისპირ შეხვედრაზე მიიღეს.

# შედარებითი სიმშვიდე მოლდოვაში

ივა შილაკაძე

7 აპრილის შეტაკებების შემდეგ, მოლდოვას დედაქალაქ კიშინიოვში გუშინ შედარებით სიმშვიდე იყო. უკვე 7 აგვისტოს ღამით საპროტესტო აქციის მონაწილეებმა პარლამენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობა დატოვეს. ორივე შენობა ღამითვე დაიკავეს სამართალდამცველი ორგანოების სპეცნაწილებმა. გაძლიერებული დაცვა დგას სტრატეგიულად მნიშვნელოვან სხვა შენობებშიც. პოლიციამ დააპატიმრა არეულობებში მონაწილე 200-მდე მოქალაქე. ღამით პოლიციამ სროლით, ოღონდ ფუჭი ტყვიებით, დაშალა ქალაქის ცენტრში დარჩენილი მაროდიორთა მცირე ჯგუფები. არეულობების შედეგად დაშავებულია 300-მდე ადამიანი - 170 პოლიციელი და, დაახლოებით, 100 მოქალაქე. ეტყობა, აქ შედარებით მძიმედ დაჭრილები იგულისხმებიან, ვინც სტაციონარში რჩება, რადგან სამედიცინო დაწესებულებს დახმარებისათვის 400-ზე მეტმა მხოლოდ პოლიციელმა მიმართა. გუშინწინ გავრცელებული ინფორმაცია ერთი ადამიანის დაღუპვის შესახებ გუშინ არ დაუდასტურებიათ.

7 აპრილსვე, გვიან ღამით ტელევიზიით გამოვიდა პრეზიდენტი ვლადიმირ ვორონინი. მან მოვლენები სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად შეაფასა და საპროტესტო აქციების მონაწილეებს გაბოროტებულ ფაშისტთა ჯგუფი უწოდა. იგი დაიმუქრა, რომ არეულობების გამეორების შემთხვევაში წესრიგის აღსადგენად ძალას გამოიყენებს. მან იქვე სთხოვა დასავლეთის ქვეყნებს დახმარება წესრიგის აღდგენაში. გუშინ ვორონინი შეხვდა საზოგადოების წარმომადგენლებს. მან მიანიშნა, რომ ეს ხალხი რუმინეთიდან იმართებოდა და ძირითადმა ორგანიზატორებმა უკვე დატოვეს ქვეყანა. მოლდოვას პრეზიდენტმა რუმინეთთან სავიზო რეჟიმის შემოღება გამოაცხადა, საკუთარი ელჩი რუმინეთიდან კონსულტაციებისთვის გაიწვია და რუმინეთის ელჩი მოლდოვაში პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა. მან არეულობებზე პასუხისმგებლობა ოპოზიციური პარტიების ლიდერებსაც დააკისრა.

გუშინვე რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო ყოველგვარი კავშირი კიშინიოვის მოვლენებთან. მათ განაცხადეს, რომ **"ეს ბრალდება პროვოკაციულია, არ შეიძლება, რომ კომუნისტურმა ხელისუფლებამ მოლდოვას რესპუბლიკის საშინაო პრობლემებზე პასუხისმგებლობა რუმინეთს დააკისროს".** ამას გარდა, სამინისტრომ განაცხადა, რომ არ აპირებს მოლდოვას მოქალაქეების რუმინეთში შესვლაზე შეზღუდვების დაწესებას.



*გუშინ კიშინიოვის ცენტრში დემონსტრანტები ისევ შეიკრიბნენ*

AFP ' 2009

შენობების დარბევის მონაწილეებთან კავშირი უარყვეს ოპოზიციური პარტიების ლიდერებმაც. მათ განაცხადეს, რომ ეს მათი მეთოდები არ არის. იქვე ივარაუდეს, რომ ასეთი ბრალდება ხელისუფლების მხრიდან ალბათ პოლიტიკური რეპრესიების დაწყებას მოასწავებს. დააკავეს ერთ-ერთი, არა წამყვანი ოპოზიციური პარტიის ლიდერი სერგეი მოკანუ და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. მისი შვილების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, მაგრამ ისინი სასამართლოს დარბაზიდან გაიქცნენ და თავი რუმინეთის საელჩოს შეაფარეს (მათ რუმინეთის მოქალაქეობაც აქვთ). სერგეი მოკანუ ოპოზიციაში გადასვლამდე ვორონინის მრჩეველი იყო და არჩევნების წინ პრეზიდენტს მისი შავი საქმეების გამომზეურებით დაემუქრა. გუშინ მოლდოვას ხელისუფლებამ კატეგორიული უარი თქვა როგორც ახალი არჩევნების დანიშვნაზე, ასევე ხმების გადათვლაზე, რაზეც 7 აპრილს თითქოს შეთანხმდნენ.

ძალადობა დაგმეს ევროპულმა სტრუქტურებმა, მაგალითად შეიძლება ბენიტა ფერერო ვალდნერის განცხადების მოყვანა, რომლის სიტყვებითაც, საარჩევნო პროცესის დარღვევების შესახებ პროტესტი კანონით განსაზღვრული, მშვიდობიანი ფორმით უნდა გამოითქვას. პროტესტი გამოითქვა რუსეთის ხელისუფლებისგანაც, თუმცა ამ პროტესტის სტრიქონებს შორის მაინც აშკარად იკითხება ვორონინის მხარდაჭერა (ტყუილად ხომ არ მიულოცა "კომუნისტებს" გამარჯვება დმიტრი მედვედევმა უკვე 6 აპრილს).

გუშინ კიშინიოვის ცენტრში ისევ შეიკრიბნენ დემონსტრანტები, იგივე ანტიკომუნისტური ლოზუნგებით, მაგრამ მათი რაოდენობა უკვე წინა დღეებთან შედარებით აშკარად შემცირებული იყო. დემონსტრანტებმა მოითხოვეს ტელევიზიის პირდაპირი ეთერი, აგრეთვე წინა დღეს დაკავებული "თანამებრძოლების" გათავისუფლება. ისმოდა მთავრობის შენობის აღების მუქარაც, თუმცა ეს აღარ განხორციელებულა. მათ ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბებაც სცადეს, თუმცა რაიმე შეხვედრა ამ ახალგაზრდულ ჯგუფებთან გუშინ არ გამართულა. გუშინვე მოლდოველმა სამშვიდობოებმა აღკვეთეს ექსტრემისტულად განწყობილი ახალგაზრდების ჯგუფის შესვლის მცდელობა დნესტრისპირეთის საზღვართან უსაფრთხოების ზონაში, სადაც ეს უკანასკნელნი პროვოკაციული დარბევის მოწყობას აპირებდნენ. გუშინვე ამ მოვლენების გამო დნესტრისპირეთმა მოითხოვა უსაფრთხოების ზონაში რუსი სამშვიდობოების რიცხვის შევსება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, მაქსიმალურ 2700 კაცამდე და იქ შვეულმფრენთა ესკადრილიის დაბრუნება. 7 აპრილსაც და 8 აპრილსაც შეზღუდული იყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მიმდინარე მოვლენების გაშუქება, ინტერნეტიც გათიშეს. გუშინ ქვეყანაში უცხოელი ჟურნალისტების შესვლაც ვერ მოხერხდა, მათ შორის არც ქართული ტელეარხები შეუშვეს.

ისე, არჩევნებში "კომუნისტების" უპირობო გამარჯვება - იგულისხმება 61 მანდატი, სამი მეხუთედი, რაც პრეზიდენტის არჩევის უფლებას იძლევა - სკურპულოზური დათვლის პირობებში საეჭვო ხდება. თვით საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით, "კომპარტიას}, წესით, უნდა ერგოს 59 მანდატი, 41 ულაპარაკოდ ოპოზიციისაა, რჩება ერთი, ასმეერთე მანდატი, რომლის ზუსტი კუთვნილების დადგენა ძნელია. თუ ისიც მმართველმა პარტიამ წაიღო, მაინც გამოსდის 60 და არა საჭირო 61. თუ ეს შეფარდება დარჩა, მაშინ "კომუნისტებს" რომელიმე ოპოზიციონერის გადაბირება მოუწევთ, თუ ეს ივნისამდე ვერ მოახერხეს, ახალი არჩევნები კანონის თანახმად ინიშნება. სხვა საქმეა, რა გავლენას მოახდენს გუშინწინდელი მოვლენები ამომრჩეველთა განწყობაზე, საერთოდ როგორ გაგრძელდება მოვლენები და რა მოხდება შემდეგ არჩევნებზე.

გუშინვე გამოჩნდა პირველი შეფასებები უცხოურ პრესაში. მთავარი კითხვა, რაც პოლიტიკოსებსა და პოლიტოლოგებს აწუხებდათ, ასეთი იყო - ჰგავდა თუ არა მოლდოვაში განვითარებული მოვლენები "ფერადი რევოლუციების" სცენარს. რუსეთის განსაკუთრებით რეაქციონერი პოლიტიკოსები (ზიუგანოვი, ჟირინოვსკი), ცხადია, პირდაპირ ალაპარაკდნენ დასავლურ კვალზე. ეს პოზიცია იმავე რუსულ მედიაში ცალსახად გაზიარებული არ ყოფილა. უფრო სერიოზული და საინტერესო იყო "ბი-ბი-სი"-ს მიმოხილვა. გავლენიან დასავლურ სააგენტოს შეფასებებში აშკარად იყო გამოკვეთილი განსხვავებები საქართველოში, უკრაინაში და მანამდე იუგოსლავიაში მომხდარ "ფერად რევოლუციებსა" და მოლდოვას მოვლენებს შორის. მოლდოვაში არ შეინიშნებოდა არც საპროტესტო ტალღის თანდათანობითი ზრდა, არც წინასწარი მომზადება ("კმარა", "პორა", "ოტპორი"), არც ორგანიზებულობა და პროცესების მართვა წამყვანი ოპოზიციური პარტიების მიერ. ყველაფერი უფრო ახალგაზრდულ-სტიქიური პროტესტის შთაბეჭდილებას ტოვებს (ეს ნაწილობრივ რუსულ წყაროებშიც დასტურდება). "ბი-ბი-სი"-ს აზრით, დამაფიქრებელი უფრო სხვა ტენდენციაა. პოსტსაბჭოთა სივრცეში, ბალტიის ქვენების გარდა, ხელისუფლება მხოლოდ ერთხელ შეიცვალა არჩევნების გზით - 2001 წელს მოლდოვაში. ყველა სხვა შემთხვევაში, მანამდეც და შემდეგაც, კავკასიაშიც, ცენტრალურ აზიაშიც და ყოფილი სსრკ-ს ევროპულ ნაწილშიც "არჩევნები" (ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით) ან არსებული მმართველობის ლეგიტიმაციას ემსახურებოდა და გამარჯვებულად ისევ ყოფილი ხელისუფლება ცხადდებოდა ხოლმე, ან ხელისუფლება იცვლებოდა არჩევნების შემდგომი პროტესტის შედეგად (სისხლით ან უსისხლოდ). აქედან გამომდინარე, პოსტსაბჭოთა სივრცეში ხალხს არ ეძლევა გააზრებული, ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალება თანასწორუფლებიან მეტოქეებს შორის.

# მზადება სტრატეგიული იარაღის შემცირებისთვის

მარიკა იაშვილი

ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე როუზ გეტემიულერი ვაშინგტონისა და მოსკოვის მხრიდან სტრატეგიული თავდასხმითი იარაღის რაოდენობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის პერსპექტივებს ოპტიმისტურად აფასებს და აცხადებს, რომ ეს, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ბოლოსთვის მოხდება.

მისი სიტყვებით, რუსეთსა და ამერიკას მოლაპარაკებათა რთული პროცესი ელოდება, თუმცა მიიჩნევს, რომ მხარეები საერთო ენას 5 დეკემბრამდე გამონახავენ ანუ იმ დრომდე, სანამ ამჟამინდელი შეთანხების ვადა ამოიწურება. **"ამ სფეროში კომპრომისის მიღწევა რთულია, მაგრამ არა - შეუძლებელი,"** - აცხადებს გეტემიულერი.

ვაშინგტონში, კარნეგის ცენტრში გამართულ კონფერენციაში, ამერიკელ მაღალჩინოსანთან ერთად, რუსეთის ელჩი აშშ-ში სერგეი კისლიაკიც მონაწილეობდა.

**"პროგრამა მაქსიმუმია შეთანხების 5 დეკემბრამდე გაფორმება და ჩვენ გვინდა, რომ ასეც მოხდეს,"** - განაცხადა მან.

გასულ კვირას აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა და რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი სტრატეგიული თავდასხმითი იარაღის რაოდენობის შემცირების შესახებ მოლაპარაკებების გამართვაზე შეთანხმდნენ.

ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს ამ საკითხზე პირველი მოლაპარაკებები იქნება. ობამამ და მედვედევმა გადაწყვიტეს, რომ პროცესის მიმდინარეობის შესახებ პირველი მოხსენებები ივლისში უნდა გაკეთდეს.

სტრატეგიული თავდასხმითი შეიარაღების შესახებ შეთანხმებას საბჭოთა კავშირმა და აშშ-მ 1991 წელს მოწერეს ხელი, ძალაში კი დოკუმენტი 1994 წელს, თხუთმეტწლიანი ვადით შევიდა.

**"ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც ამ სფეროში შეთანხმების მისაღწევად არის საჭირო, თუ აუცილებელი იქნება, მოლაპარაკებები ხანგრძლივად გაგრძელდება, ჩვენ ასეთ შესაძლებლობასაც განვიხილავთ,"** - განაცხადა გეტემიულერმა.

მისი თქმით, ამ საკითხზე თავის რუს კოლეგებს ორშაბათს უკვე ესაუბრა.

სახელმწიფო მდივნის თანაშემწე აცხადებს, რომ ობამა არ აპირებს არსებული შეთანხმების ვადის გაგრძელებას.

სახელმწიფო დეპარტამენტში გეტემიულერი გასულ კვირას დაინიშნა და ის იარაღზე კონტროლის შეთანხმებების შემოწმებითა და დაცვით არის დაკავებული.

როუზ გეტემიულერი რუსეთის, ატომური ენერგეტიკის, ბირთვული უსაფრთხოების, მსოფლიო მიზნებისთვის ატომური იარაღის გამოყენების და ატომური იარაღის გავრცელების აკრძალვის საკითხებში ცნობილი სპეციალისტია. 2005 წლის იანვრიდან 2008 წლის დეკემბრამდე იგი მოსკოვის კარნეგის ცენტრს ხელმძღვანელობდა.

# რევიუ




AFP ' 2009

*მართალია "ბარბის" თოჯინა უკვე 50 წლისაა, ის მაინც მოხდენილად და ახალგაზრდულად გამოიყურება. "ბარბის" იუბილესთან დაკავშირებით ღონისძიებები მსოფლიოს უდიდეს ქალაქებში მიმდინარეობს, ამჯერად კი პარიზში გამართული გამოფენის ამსახველ ფოტოს გთავაზობთ. აქ წარმოდგენილ თოჯინებს კრისტიან ლაკრუას, ჟერარ დარელის, სონია რაკელის, კარლ ლაგერფელდისა და სხვა ცნობილი დიზაინერების მიერ შექმნილი კაბები აცვიათ.*

## დიდ ბრიტანეთში სიახლეებია

ბრიტანეთის კენტის საგრაფოში განთავსებული Tom Thumb Theatre აუქციონზე 130 ათას ფუნტ სტერლინგად (191 ათას დოლარად) გაიყიდა. ამ თეატრის შენობა მსოფლიოში ყველაზე პატარაა: ის მხოლოდ სამოც ადამიანს იტევს, მისი სცენის ზომები კი - 3/2,1 მეტრია, იუწყება the Telegraph-ი.

Tom Thumb Theatre-ში უკანასკნელად 2005 წელს ითამაშეს. ბოლოს იქ ოსკარ უაილდის კომედია "რამდენად მნიშვნელოვანია იყო სერიოზული" დაიდგა. თეატრის ახალი მფლობელია მსახიობი ფრენკი ჯორდანი, რომელიც მონაწილეობს სერიალებში: Cars, Grange Hill, Hearbeat, The Bill. მეგობრებისა და ახლობლების თანადგომით, ის გეგმავს შენობას თეატრის ფუნქცია შეუნარჩუნოს, ამასთან, მოაწყოს კონცერტები და ლექციები.

აღსანიშნავია, რომ Tom Thumb Theatre ქალაქ მარგეიტის ზღვისპირა კურორტზე მდებარეობს. თავდაპირველად იქ ეტლების სადგომი იყო, რომელიც 1890 წელს ააშენეს, მოგვიანებით - ავტოსადგომად გადაკეთდა, 1980 წელს კი იქ მსოფლიოში ყველაზე პატარა თეატრი აშენდა.

ბრიტანეტში სხვა სიახლეებიცაა.

სექტემბერში ბრიტანეთის მუზეუმში გაიხსნება გამოფენა, რომელიც აცტეკების იმპერიის უკანასკნელ მმართველს - მონტესუმა მეორეს ეძღვნება, ნათქვამია მუზეუმის პრეს-რელიზში.

მუზეუმის დირექტორის, ნილ მაკგრეგორის განცხადებით, მოსალოდნელი გამოფენა დამთვალიერებელს აცტეკების იმპერატორს გააცნობს, როგორც ძლიერ მმართველს და არა როგორც ესპანელი კონკისტადორების მსხვერპლს.



ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება მექსიკის კულტურის მრავალრიცხოვანი ობიექტი. ასევე, მონაპოვარი ევროპიდან. მათ შორის გამოფენენ იმ ნივთებს, რომლებიც უშუალოდ იმპერატორს ეკუთვნოდა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მონტესუმას ქვის სამეფო ტახტს, რომელიც აცტეკური პირამიდის სახისაა. ორგანიზატორთა ჩანაფიქრის თანახმად, გამოფენა დამთვალიერებელს საშუალებას მისცემს ინდოელი მმართველის ცხოვრების განვითარებას მიადევნოს თვალი.

აღსანიშნავია, რომ აცტეკების იმპერიამ, რომელიც სამ ქალაქს აერთიანებდა და თანამედროვე მექსიკის ტერიტორიაზე მდებარეობდა, 1428 წლიდან 1520 წლამდე იარსება. მონტესუმა მეორე ხელისუფლებაში XVI საუკუნის დასაწყისში მოვიდა. ის ესპანელ კონკისტადორებთან შეტაკებისას დაიღუპა.

## დათო ტურაშვილის ხუთშაბათი



# დღეს ცხრა აპრილია

თუმცა ისეთი შეგრძნება მაქვს (თანაც კარგა ხანია), რომ ჩვენს ქვეყანაში სულ ცხრა აპრილია ან ცხრა აპრილის მოლოდინი. ყოველ შემთხვევაში ამ ქვეყანაში ყველაზე ხშირად სწორედ ამაზე ლაპარაკობენ და ხალხის შეკითხვების უმრავლესობაც, სწორედ მოსალოდნელ მიტინგს უკავშირდება. მაგრამ უცნაურია რომ პირადად, პასუხები უფრო მეტი მაქვს, ვიდრე შეკითხვები და მაგალითად, ზუსტად ვიცი თუ რატომ უნდა წავიდნენ მიტინგზე პირველ რიგში ისინი, ვისაც სურს რომ სააკაშვილი არ ჩამოაგდონ. მეტიც, ჩემის ღრმა რწმენით სააკაშვილის ხელისუფლების მომხრეები, უკლებლივ ყველანი ქუჩაში უნდა გამოვიდნენ, რადგან ეს არის ამ ხელისუფლებაზე ზემოქმედების ერთადერთი გზა და საშუალება რომ ხელისუფლებამ შეცვალოს ის, რაც მას გადაარჩენს. როცა ხელისუფლება არაფერს ცვლის, მაშინ თვითონ ამ ხელისუფლებას ცვლიან ხოლმე და თუ სააკაშვილი ამას მიხვდება, იმასაც მიხვდება რომ ამ ქალაქში ყველაფერი დასწრებაზეა და საბჭოთა საქართველოს შეცვლასაც სხვებს დაასწრებს.

საბჭოთა საქართველოში ცხოვრება კი, მართლა აღარ მინდა, რადგან ზუსტად ვიცი რომ ევროპული საქართველო ჩემი ამოჩემებული ოცნება კი არა, ერთადერთი გამოსავალია, რომლისკენაც რამდენიმე ნაბიჯი უკვე გადადგმული გვქონდა, რომ არა ის 7 ნოემბერი.

იმ შვიდი ნოემბრის დარბევებმა კი ევროპელები ჯერ კიდევ აგვისტოს შეცდომებამდე შეაშინეს, მიუხედავად იმისა რომ ევროპელებს იმდენად დარბევები არ გაკვირვებიათ, რამდენადაც მშვიდობიანი მოშიმშილეების წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობა. ამიტომაც მაშინ ტელევიზიით, გაოცებულ ევროპელებს, ძირითადად უჩვენებდნენ სამ ქართულ უცნაურობას: როგორ გამოჰყავდათ ქართველ პოლიციელებს ადამიანი აფთიაქიდან, რომელსაც იქვე სცემდნენ, როგორ არბევდნენ მომიტინგეებს ჯინსებიანი "უცნობები" ნიღბებით და როგორ ამტვრევდნენ ფორმიანი პოლიციელები თბილისის ქუჩებში ავტომანქანებს.

მაშინ ესპანური სტიპენდიის გამო მადრიდში ვიყავი და ტელევიზიით (ყველა არხზე) სწორედ ამ კადრებს აჩვენებდნენ და მე და იქ მყოფ ნებისმიერ ქართველსაც, სწორედ ამ უცნაური კადრების კომენტირებას გვთხოვდნენ გაკვირვებული ესპანელები. სწორედ იმ პერიოდში (რამდენიმე კვირით ადრე), საფრანგეთში რამდენიმე ათასი მანქანა დაწვეს მომიტინგეებმა და შეიძლება ესპანელები მართლა იმ განსხვავებებმა შეაშფოთეს, რომელიც თბილისსა და პარიზს შორის აღმოაჩინეს. არადა რამდენიმე გაბედული ნაბიჯი ევროპისკენ, მართლა გადადგმული გვქონდა, რომ არა ის 7 ნოემბერი, რომელსაც მერე სხვა, უფრო დიდი და თანაც სტრატეგიული შეცდომა მოჰყვა აგვისტოში. თუმცა ჩვენი სუბიექტური აზრით აგვისტოს ომი, ნოემბრის შედეგი იყო და საქართველოს ხელისუფლებას შეიძლება მართლა სურდა აგვისტოში ნოემბრის გამოსწორება, მაგრამ სამწუხაროდ ვერ შეძლო და ჩვენ ყველანი დავმარცხდით. სამწუხარო ის კი არ არის მხოლოდ რომ რუსებთან დავმარცხდით, არამედ ის რომ საკუთარ თავთან წავაგეთ ომი და ჩვენი მთავარი ოცნება დავკარგეთ. მაინც ოპტიმისტი კი ვარ და მაინც მჯერა რომ ყველაფრის გამოსწორება შეგვიძლია, მაგრამ სამწუხარო ფაქტია რომ ჩემი ნანატრი და ევროპული ოცნების ახდენამ ისევ გადაიწია და თანაც გაურკვეველი ვადით.

p.s. როცა აგვისტოში მეკითხებოდნენ, ომი ვინ დაიწყოო, ყველას (მათ შორის ჟურნალისტებსაც) ვპასუხობდი რომ ომი რუსებმა დაიწყეს და თანაც ჯერ კიდევ 1801 წელს ქართული სამეფოს გაუქმებით და შეგიძლიათ თქვენც ასე უპასუხოთ ნებისმიერს და არც თავის მოტყუება გამოგივათ და არც იმ ნებისმიერის...

p.s. p.s. რადგან მაინც (ყველაფრის მიუხედავად) ოპტიმისტი ვარ, ახლაც ოპტიმისტურად დავამთავრებ და ბიძინა კვერნაძის ერთ-ერთ შედევრს გავიხსენებ.

ადგა თურმე ერთ დილას (აგვისტოს ომის მერე) ბატონი ბიძინა, ჩაიცვა და სახლიდან გასვლის წინ, მეუღლემ ჰკითხა სად მიდიხარო. კასპში მივდივარ საქმეზეო. კასპში რა საქმე გაქვსო.

- პუტინს დედა უნდა მოვუტყნაო!..

# თეატრი და ტელევიზია

## უმნიშვნელოვანესი პრობლემა ტრაგი-კომიკური მოტივებით

ლაშა ჩხარტიშვილი

იყო დრო, როცა ხელოვნების ეს ორი დარგი მჭიდრო, მეგობრულ და პროფესიულ ურთიერთობაში გახლდათ ერთმანეთთან. ტელევიზიამ ბევრი ისესხა თეატრიდან: არა მხოლოდ თეატრალური ფორმა, არამედ შემოქმედებითი და ადამიანური რესურსი... როცა ქართული ტელევიზია არსებობას იწყებდა, იგი მთლიანად თეატრალური სფეროს მოღვაწეებს დაეყრდნო. დიქტორები, ჟურნალისტები თუ სხვა შემოქმედებითი მუშაკები მსახიობები და თეატრალური ინსტიტუტის სხვადასხვა სპეციალობის კურსადმთავრებულები იყვნენ.

საბჭოთა პერიოდის ქართული ტელევიზიის ეთერის დიდი ნაწილი თეატრსა და ზოგადად კულტურას ეთმობოდა. ამ სფეროს გაშუქება და მხარდაჭერა ქართული ეროვნული ტელევიზიის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას შეადგენდა. ყოველივე ეს განპირობებული იყო, არა მხოლოდ პოლიტიკური მოტივით, არამედ საზოგადოების მოთხოვნით და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, რადგანაც თეატრი იყო ერთადერთი ადგილი, სადაც შეფარვით, მხატვრულად თუ პირდაპირ ქართულად ისმოდა ქართული ინტერესების დამცველი სიტყვა. გარდა ამისა, საზოგადოებას, ამ შემთხვევაში მაყურებელს, სხვა ინტერესთა სფერო გააჩნდა. დღევანდელისგან განსხვავებით, სამეცნიერო-პოპულარულ გადაცემებზე მეტი მოთხოვნა იყო, ვიდრე არაფრისმთქმელსა და უგემოვნო გასართობ გადაცემებზე. ამიტომ ინფორმაცია, რომელსაც ქართული ტელევიზია ავრცელებდა იყო უხვი და სასარგებლო.

დღეს კი ტელევიზიები, უმეტესად, ყოვლად გამოუყენებელ ინფორმაციას ავრცელებენ. სახელმწიფოს ყველა რგოლში დილეტანტიზმმა იმძლავრა, მით უმეტეს, ტელევიზიებში, სადაც არაპროფესიონალიზმი გამეფდა. შესაბამისად, საინფორმაციო თუ სხვა ტიპის გადაცემათა რედაქციები შემთხვევითი კადრებით დაკომპლექტდა. როგორც იტყვიან, მათ "ჟურნალისტიკასთან და საერთოდ ხელოვნებასთან ახლოსაც არ ჩაუვლიათ". სამწუხაროდ, ამ ტენდენციის შეფერხებას არც ტელევიზია ფიქრობს და არც თეატრი, რადგან ამ სფეროებს მხოლოდ კომერციული გათვლა აქვთ. თანამედროვე ქართული თეატრი და ტელევიზია მაყურებლის გემოვნების და მსოფლმხედველობის ზრდაზე კი არ ზრუნავს, არამედ პირიქით, თვით ერგება მასების მოთხოვნებს. ამიტომაც, უგემოვნებამ და

მდარე მხატვრულმა ხარისხმა ხელოვნების ეს ორი სფერო წალეკა.

პროფესიით ბიოლოგი და ეკონომისტი "ტელეჟურნალისტები" თეატრებს პრემიერების გასაშუქებლად ხშირად სტუმრობენ. მათი გადაღებაზე გასვლა, თითქმის ყოველთვის, კურიოზით სრულდება. პრინციპში ის, რაც დღევანდელ, ახალი თაობის ჟურნალისტებიდან უმეტესობას მოსდის ჩვენი ქვეყნის საზოგადოების ტრაგედიაა და შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ დღეს როგორი გაუნათლებელი, არაინფორმირებული, ვიწროდ მოაზროვნე და სრულიად დილეტანტი მედია გვყავს.

აქვე მოვიყვან რამდენიმე ფაქტობრივ "მარგალიტს", რომელიც სწრაფად გავრცელდა ხელოვანთა წრეებში.



1. "ცისფერ გალერეაში" ელენე ახვლედიანის პერსონალურ გამოფენაზე მისული კორესპოდენტი ეძებდა ელენე ახვლედიანს, უკიდურეს შემთხვევაში მხატვრის მობილურის ნომერს და თანახმა იყო სადაც დაიბარებდა იქ ჩაეწერა ე. წ. "სინქრონი".

2. ბათუმის თეატრის გასტროლებისას რუსთაველის თეატრში მისული "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტი სთავაზობდა რეჟისორ გიორგი თავაძეს მის ინტერვიუსთან ერთად "ორი ბატონის მსახურის" ავტორთან, კარლო გოლდონთან გასაუბრებას. როგორც ჩანს, XVIII საუკუნის იტალიელი კომედიოგრაფი ქართველ ჟურნალისტს სვანი ეგონა, გვარი გოლდონი მიამგვანა ფილფანს, ნატანს..

3. პირველი არხის ეთერში გავიდა სიუჟეტი მსახიობ მარინა თბილელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით და ყველას კარგად ახსოვს ტექსტი მარინა თბილელზე ელენე ყიფშიძის კადრების თანხლებით. არავინ აღმოჩნდა რედაქციაში, რომელიც თავიდან ააცილებდა საინფორმაციო სამსახურს ამ უხერხულობას და გაუგებრობას.

4. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლის "ქაქუცა ჩოლაყაშვილის" გასტროლებზე ბათუმში აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტმა დასვა კითხვა, ვის როლს ასრულებდა ლევან წულაძე აღნიშნულ სპექტაკლში. ჟურნალისტს, რომელიც გასტროლებს აშუქებდა ჭოლა ცნობილი მსახიობი ეგონა.

5. ბათუმის საოპერო თეატრის სპექტაკლის "ლელა"-ს პრემიერაზე კომპოზიტორ რევაზ ლაღიძეს გარდაცვალების შემდეგ მიენიჭა რუსთაველის პრემია, რომელიც ოჯახს გადაეცა. ერთ-ერთი წარმატებული ტელეკომპანიის ჟურნალისტი ინტერვიუს ჩასაწერად თავად რევაზ ლაღიძეს ეძებდა. დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, იგი კომპოზიტორის შვილიშვილს, 10-12 წლის რევაზ ლაღიძეს შეახვედრეს.

6. ისიც ყველას ახსოვს ტელეკომპანია "იმედის" ცნობილი ჟურნალისტი თამაზ ჭილაძესთან ინტერვიუს ჩაწერისას მასთან სახლში სტუმრად მისულ ოთარ ჭილაძეს რომ გაოცებულმა ჰკითხა, - თქვენც ხომ არ წერთ ლექსებს და მოთხრობებსო?

7. ამას წინათ, ერთ-ერთმა ცნობილმა ტელეჟურნალისტმა რეჟისორი რობერტ სტურუა თეატრმცოდნედ მოიხსენია, ხოლო დრამატურგი ირაკლი სამსონაძე მსახიობად, უფრო მეტიც, ჟურნალისტმა იცრუა და თქვა: "მთავარ როლში ვიხილეთ ირაკლი სამსონაძე..."

8. პეტრე ოცხელის გამოფენის გახსნაზე მარჯანიშვილის თეატრიდან ერთ-ერთმა ჟურნალისტმა პირდაპირი ჩართვა მოვლენის ადგილიდან განახორციელა. ის მთელი ჩართვის განმავლობაში ვინმე კოტე ოცხლეზე საუბრობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ჟურნალისტს პრესრელიზს ახვედრებენ, სადაც დაწვრილებით არის განმარტებული ყველას როლი და ფუნქცია, ასეთი კომიკური სიტუაცია თეატრებში, თითქმის, ყოველ გადაღებაზე ხდება.

ჩვენს ჟურნალისტებს მეორე უკიდურესობაც სჭირთ: პრემიერაზე თეატრებში მისული გადამღები ჯგუფი, რომელსაც ვრცელი სიუჟეტის მომზადება აქვს დავალებული, სპექტაკლის დაწყებიდან ათ წუთში უკვე გასულია დარბაზიდან. ჩვეულებრივ ამბად იქცა ინტერვიუების სპექტაკლის დაწყებამდე ჩაწერა. მახსოვს, როგორი შეურაცხყოფა მიაყენა გიგა ლორთქიფანიძემ ერთ-ერთ ჟურნალისტს, როცა მას აზრის გამოთქმა ჯერ უნახავ წარმოდგენაზე სპექტაკლის დასრულებამდე სთხოვეს. ტელეჟურნალისტების მხრიდან საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება არასერიოზულია და სრული არაპროფესიონალიზმის შედეგია.

ამიტომაც არის, რომ დღეს თეატრებში ყველა ნორმალური რეჟისორი და მსახიობი გაურბის ტელეკამერებს. მით უმეტეს, თუ ჟურნალისტი მათთვის უცნობია. ტელეჟურნალისტებმა ხელოვანებში ნდობა დაკარგეს, რადგან მათ არანაირი გარანტია არა აქვთ, თუ როგორი კონტექსტით გავა ეთერში მათი მონათხრობი. თუმცა, არსებობენ ისეთი ხელოვანები, რომელთათვისაც სულერთია რა გავა ეთერში, მთავარია ტელეეკრანებზე ხშირად ჩანდნენ.

"ვეფხისტყაოსანთან" დაკავშირებით, რობერტ სტურუას გარშემო ატეხილი სკანდალის მიზეზი არაპროფესიონალი ჟურნალისტი გახდა. მან ეთერში ინტერვიუს მხოლოდ ის ეპიზოდი გაუშვა, სადაც რეჟისორი პოემის სიუჟეტის ზღაპრულობასა და პერსონაჟებზე საუბრობდა, ხოლო ამ მოსაზრების განმარტება ჟურნალისტს აღარ აინტერესებდა. ამით, რბილად რომ ვთქვათ, დაზარალდა რესპოდენტი და შეილახა მისი უფლებები.

ჩვენი ტელევიზიების ხელმძღვანელებს, პროდიუსერებს და გადაცემათა ავტორებს უნდა ახსოვდეთ, რომ სათეატრო ხელოვნების მხარდაჭერა ზოგადად ხელოვნების მხარდაჭერას ნიშნავს, იგი ხომ სინთეზური ხელოვნებაა და თავის მხრივ აერთიანებს ლიტერატურას, მსახიობისა და რეჟისორის ხელოვნებას, მხატვრობას, არქიტექტურას, მუსიკას, ქორეოგრაფიას... თანამედროვე ტელევიზიამ, ინფორმაციის გავრცელებისა და გართობის გარდა, ადამიანის შემეცნებაზე, მის ესთეტიკურ აღზრდაზეც უნდა იზრუნოს და არა მისი გემოვნების დეგრადაციაზე. ტელევიზიას დღეს არსებული კომუნიკაციის საშუალებებიდან ყველაზე უკეთ ძალუძს ამ ფუნქციის და მეტად საპატიო მისიის შესრულება! მთავარია სურვილი...

გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით ჩვენს თანამედროვეობაშიც იდგმებოდა. თუმცა, ეს ცდები ფრაგმენტული და არათანმიმდევრული იყო.

რაკი სიტყვა მცდელობებზე ჩამოვარდა, აღსანიშნავია ტელეკომპანია "მზე", რომლის საეთერო ბადეში უახლოეს წარსულში შესანიშნავი ყოველკვირეული, მეტად საჭირო საინფორმაციო გამოშვება " მზერა კულტურა" არსებობდა ". მას თეატრმცოდნე გიორგი ჩართოლანი ხელმძღვანელობდა. გადაცემა თანამედროვე კულტურაში მიმდინარე პროცესების გაშუქებაზე იყო ორიენტირებული, მას არც მაყურებელი აკლდა და არც რეიტინგი. საინტერესო სიუჟეტები მზადდებოდა კულტურის ბლოკში ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ზე თამუნა ღვინიანიძის, ნატა ამაღლობელის, ნინო ქაჯაიას, ეკა ქადაგიშვილის მიერ.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ერთადერთი ტელევიზია, რომელიც დღეს თეატრს ჯეროვან ყურადღებას უთმობს, აჭარის ტელევიზიაა. ის არა მხოლოდ აჭარის რეგიონის თეატრებს ემსახურება, არამედ - მთელ ქართულ თეატრს. აჭარის ტელევიზიაში თეატრის მხარდაჭერის და გაშუქების პროგრამა სამი მიმართულებით ხორციელდება. პირველი: ეს არის საინფორმაციო გადაცემა "დღეს", სადაც ერთ-ერთი მთავარი თემა ხშირად კულტურული მოვლენაა; მეორე: დილის შემეცნებით-გასართობი პროგრამა "დილის ტალღა". გადაცემის ხშირი სტუმრები არიან ქართველი თეატრის მოღვაწეები, მზადდება საინტერესო სიუჟეტები თეატრალურ მოვლენებზე, ეთერს მიღმა არ დარჩენილა არც ერთი გასტროლიორის სტუმრობა ბათუმში და მესამე: საკუთრივ შემეცნებით გასართობი გადაცემა "სცენა" (ავტორი - ინგა ხალვაში), სცენაზე გაცოცხლებული ძველი და ახალი სახეებით, კულისებს მიღმა დამალული რეალობით, თეატრის ისტორიით და თანამედროვეობით. ტელევიზიის ხელმძღვანელის თეა ცეცხლაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ტელევიზიაში მოსვლის შემდეგ არათუ გააუქმა გადაცემა "სცენა" (როგორც ეს სხვა ხელმძღვანელებს სჩვევიათ სამწუხაროდ), არამედ გაზარდა მისი ფორმატი და პერიოდულობა (გადაცემა ყოველკვირეულია და თვეში საეთერო ბადის, დაახლოებით, 100 წუთი უჭირავს). უფრო მეტიც, იგი გახდა მთელი ქართული თეატრის, მაშასადამე, ზოგადად თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზატორი და მხარდამჭერი, რადაგან "სცენის" გადამღები ჯგუფი ხშირად ჩამოდის დედაქალაქში, ამ გადაცემაში შეხვდებით ცნობილ და თითქმის მივიწყებულ ქართული თეატრის მოღვაწეებს, რაც ზრდის გადაცემის მაყურებელთა აუდიტორიას და ტელევიზიის რეიტინგს. გადაცემა "სცენა" დიდი პოპულარობით სარგებლობს თეატრალებში, მას ინტერესით ელოდებიან და უყვართ, რადგან მან შეძლო დრამატურგების, მსახიობების, რეჟისორების, თეატრის მხატვრებისა და კომპოზიტორების, თეატრმცოდნეების, "სცენის უჩინარი მონაწილეების" სტიმულირება და პოპულარიზაცია. აჭარის ტელევიზიის ეთერში ხშირად გვინახავს რუსთაველის, მარჯანიშვილის, თეატრალური სარდაფის, გორის, ბათუმის დრამატული თეატრების სპექტაკლების რეტროსპექტივა.

ბოლო პერიოდში, მთავრობის მაღალჩინოსნებმა კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრები მოუხშირეს. ამ შეკრებებზე ითქვა, რომ ტელეკომპანიები კულტურის სიახლეებს თითქმის არ აშუქებენ თუ მათ ორგანიზებაში სახელმწიფო მოხელეები არ მონაწილეობენ. შეხვედრების შემდეგ, კერძო თუ სახელმწიფო ტელევიზიებს საინფორმაციო გადაცემებში კულტურული პროგრამების მომზადება და ამ სფეროსთვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობა დაევალათ. ამ რეალობაზე დაყრდნობით გამოდის, რომ აჭარის ტელევიზია მანამადე იყო კულტურის ეროვნული პოლიტიკის გამტარებელი, ვიდრე ეს ჩვენს ტელევიზიებს ოფიციალურად მოეთხოვებოდა, ანუ დაევალებოდა.

სასურველია, რომ მსგავსი გადაცემები სხვა ტელეკომპანიებმაც მოამზადონ, იმისათვის რომ გაჩნდეს კონკურენტუნარიანი სივრცე, სადაც მხოლოდ პროფესიონალები იმუშავებენ. - შემეცნებით-გასართობ გადაცემათა ციკლში "სცენა".

აქცენტი

# წაიკითხე, გადააფურთხე და გაიარე!

## კულტურული შედეგი, რომელსაც აქციების მერე ვღებულობთ



სოფო კილასონია

რამდენიმე თვის წინ თბილისის საკრებულომ მის მიერვე დაარსებული ლიტერატურული პრემიით ქართველი ლიტერატორები დააჯილდოვა. ამ დაჯილდოვებამ, ისე როგორც პრემიამ ზოგადად, უფერული კვალი დატოვა ჩვენს მეხსიერებაში, იმდენად უმნიშვნელო, რომ დღეს კოლეგების საკმაოდ ფართო წრიდან ერთს ძლივს მოვაგონე ეს მოვლენა. მისი მახსოვრობის იმედიც მხოლოდ მაშინ მომეცა, როცა ლაშა ბუღაძე ვუხსენე და გაიღიმა, მოაგონდა ბუღაძის თამამი ტექსტი ზაზა ბეგაშვილის მისამართით. "თამამი" ჩვენი სოციუმისთვი და არა პირდაპირი და ჯანსაღი გაგებით. ლიტერატურული პრემიის დაჯილდოების ცერომონიის წამყვანი მწერალი ლაშა ბუღაძე გახლდათ. მას იმ დღეს, მუსიკისა და დრამის თეატრის სცენაზე უეცრად ბეგაშვილი, საქართველოს ამჟამინდელი ელჩი ჩინეთში მოაგონდა და სრულიად გამიზნულად და ყოველგვარი ირიბი ტექსტის გარეშე მის უწიგნურობაზე მიგვითითა, უფრო სწორად, შეგვახსენა, ცოტაც თავისებურად გაიქილიკა: - ამ უწიგნურობისთვის დააწინაურესო - დაახლოებით ასე. მახსოვს მაშინ, თბილისში ალაპარაკდნენ. საზოგადოების ის ნაწილი, რომლისთვისაც ხელისუფლების წარმომადგენელთა უწიგნურობა სამწუხარო რეალობას წარმოადგენდა - იცინოდა, მეორე და დიდი ნაწილი კი ზოგადად მსგავსი საქციელების მიუღებლობაზე ალაპარაკდა. ბუღაძემ ისევ ითავხედაო.

ეს ამბავი მოვლენა ნამდვილად არ გამხდარა, ზაზა ბეგაშვილისადმი წყენის მიზეზი ლიტერატურის არსიყვარული არ ყოფილა, ქართულ საზოგადოებას მისდამი ანტიპატიის სხვა ბევრი მიზეზი ჰქონდა და აქვს. მით უფრო ლიტერატურის არსიყვარული და ზოგადი უკულტურობა ის არაა, რასაც ჩვენი საზოგადოება ადამიანებს არ პატიობს, როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ადამიანის სტატუსი და პასუხისმგებლობა, მაგრამ ეს ამბავი ნიშანი იყო იმისა, თუ რამდენად უცხო და დამაბნეველი აღმოჩნდა ჩვენთვის სიმართლე, ერთი პატარა მართალი რეპლიკა პოლიტიკოსზე, მოქალაქის მიერ გამოხატული (და არა პოლიტიკური ოპონენტის) უკმაყოფილება და მწვავე კრიტიკა პირდაპირ ეთერში, კონკრეტულად კრიტიკა უკულტურობის გამო. დააკვირდებით თუ არა დამეთანხმებით, რომ ამა თუ იმ პოლიტიკოსის ლუსტრაცია მისი განათლებულობის, კულტურულობის ნიშნით არ ხდება. ეს მხარეები ჩვენ არ გვაინტერესებს. ეს ფაქტია. მაგრამ ის, თუ რატომ არ გვაინტერესებს, სულ სხვა საკითხია. პასუხი შეიძლება მრავალგვარი იყოს, მაგრამ მათგან ერთი აუცილებლად იქნება ასეთი - ჩვენ წარმოვადგენთ საზოგადოებას, რომელიც კულტურის დეფიციტს განიცდის და რომლისთვისაც განათლება და ინტელექტი უცხო ხილია, რომლის გასინჯვის სურვილი არ უჩნდება. თუ ეს სიმართლეა, მაშინ რამდენჯერადაც არ უნდა მოვახდინოთ რევოლუცია, ის მხოლოდ ჩვენს ფიზიკურ ძალებს განავითარებს, ხმის იოგებს გაავარჯიშებს, სხვას არაფერს შეცვლის. მაგრამ ჩავთვალოთ, რომ ასე არაა.

ამ ბოლო დღეებში ქართველები ისევ ალაპარაკდნენ ქართველების პარადოქსულ ხასიათზე. მაგალითად იმაზე, რომ შეურაცხყოფას ქართველი არ აიტანს, რომ მხოლოდ შელახული პატივმოყვარეობის გამო გამოვა გარეთ... რომ 10, 20 და 30 წელი იქნება ჩუმად, ოღონდაც ენას, მამულს და სარწმუნოებას ნუ შეულახავენ. ვინც ამ თეორიებს ავითარებს, ალბათ თავი ცამდე მართალი ჰგონია. მაგრამ საინტერესოა, რატომ დუმს და მალავს ეს საზოგადეება 5 და 30 წლის განმავლობაში საკუთარ სნეულებას - ანუ უწიგნურსა და უკულტურო ჩოინოვნიკებს და რატომ დროულად და პერმანენტულად არ მივანიშნებთ იმაზე, რაც სინამდვილეში არ მოგვწონს, რატომ ვაგროვებთ ბოღმას? საოცარია, მაგრამ საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ამ ტიპის დათმენა ერის დადებით თვისებაზე მიუთითებს, მაგრამ თურმე "ყველაფერს აქვს საზღვარი" და როცა ამ საზღვარზე ვდგებით, ჩვენში სულ სულ სხვა ქართველობა იღვიძებს. ის, რომელიც ყველაფერს ბოლოს მოუღებს და ისევ ნულიდან დაიწყებს. მერე რა, რომ წლები გავიდა, რომ დრო დავკარგეთ, რომ სულ ვაგვიანებთ. ჩვენი იმედები გააცრუეს. იმედებს გვიცრუებდნენ 2003 წლიდან ყოველ მეორე დღეს. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ გვიკამათია იმისთვის, რომ ამ მუდმივი იმედგაცრუების მიზეზები აღმოგვეჩინა ჩვენში. ჩვენში კი იმიტომ, რომ მთავრობაც და ეს მრავალფეროვანი წარმოშობა-წარმომავლობის ოპოზიციური ძალებიც ჩვენში აღმოცენდა და არა სხვაგან, არა სხვა კუნძულზე.

ძიებებს ჩვენში გარკვეული ლუსტრაციის პროცესი უნდა მოჰყვეს. ამ პროცესის აუცილებლობაზე თურმე ყველა შეთანხმებულები ვართ და მიუხედავად ამისა, ორივე მხარეს (რა სამწუხაროა, რომ ისევ მხარეები გვაქვს და არა ოპონენტები) დგანან ადამიანები, რომლებიც ლუსტრაციის შესახებ კანონს ცხადად თუ შეფარვით ეწინააღმდეგებიან. თუნდაც, საკანში, რომელშიც გიორგი გაჩეჩილაძესთან ერთად ვცხოვრობთ ამ ბოლო დროს, რამდენჯერმე ითქვა, რომ კანონი ლუსტრაციის შესახებ აუცილებელია, მაგრამ ზუსტად იქვე, იგივე ადამიანი მოგვიწოდებს, რომ ამ ოპოზიციურ ძალთა გაერთიანებებში მყოფი პიროვნებების გუშინდელი დღეც კი არ უნდა გავიხსენოთ. პაროდოქსია, მაგრამ ამ პარადოქსს ასე პასუხობენ: ახლა ამის დრო არ არის, ამას მერე ვიზამთო. არადა, რაც თავი მახსოვს, ეს "მერე" არის "დღეს" და ამ დღეს ისევ აქციაზე, მიტინგზე, ხმაჩახლეჩილ მამაკაცებთან ერთად ვდგავართ, რომელთა უმრავლესობის მიერ გაკეთებული საქმე მიტინგიდან მიტინგამდე არ შეგვიმჩნევია.

ის, რაც ხდება ჩვენს თავს, არ არის მხოლოდ პოლიტიკური პროცესები. მოვლენები, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკურ ვექტორებს განსაზღვრავს. არც "ერის ბედის" გადაწყვეტის და "თავისუფლების მოპოვების" მცდელობებია - ნუ ვიქნებით ასე პათეტიკურნი, დროა ჩვენც გავიზარდოთ. ამ მოვლენებით ჩვენი, როგორც მოქალაქეების, მოაზროვნე, კულტურული, თანმიმდევრული საზოგადოების ბიოგრაფიასაც ვწერთ და ის, რაც მოხდა, ხდება და მოხდება არა ერთი მხრის, თუნდაც ხელისუფლების პასუხისმგებლობაა (პლაკატური ფრაზა - ყველაფერზე პასუხისმგებელი ხელისუფლებაა!), არამედ ყოველი ჩვენთაგანის. ჩვენი პასუხისმგებლობა კი ყოველ დღეს და ყოველ ნაბიჯზე უნდა იგრძნობოდეს და არა 5 და 10 წელიწადში ერთხელ, ისიც აქციაზე, სადაც ყველა ყოველთვის ბრძენია.

ჩვენ ვერ ავამუშავეთ ინსტიტუტები, ვერ გავხდით კრიტიკულები, ისევ მოვირგეთ პასუხისმგებლობანი, ისევ დავიწყეთ ფიქრი გამორჩენაზე, ვერ გავხდით პროფესიონალები, ვერ მოვუსმინეთ ერთმანეთს, ვერ დავალაგეთ სადარბაზოები, ვერ გამოვიხედეთ პირადი ავტომობილების დაბურული შუშებიდან, ვერ გამოვფხიზლდით, სანამ პრობლემები ფიზიკურად არ შეგვეხო, არ შევწუხდით, სანამ ჩვენი პირადი ჯიბეები არ დაცარიელდა, ვერ გავხდით თანმიმდევრულები ვერაფერში და ამიტომაც რა აღარ გავუბედეთ ერთმანეთს... და ახლა ისე გავბრზადით ამ ყველაფერზე, საკუთარ თავზე, ჩვენზე, რომ გვინდა ახლავე ყველაფერი დავამთავროთ და კიდევ ერთხელ დავიწყოთ თეთრი ფურცლიდან. კიდევ ერთხელ ვსინჯოთ თავიდან.

როცა ზურაბ წერეთელმა თავისუფლების მოედანს ძვირფასი საჩუქარი უსახსოვრა, მაშინ ქართველმა ხელოვანებმა ცოტა იხმაურეს, მაგრამ საბოლოოდ გემოვნებაზე დავით დაიღალნენ. თუმცა ალბათ ყველამ იცოდა რომ საქმე გემოვნებას არ ეხებოდა, საქმე მენტალიტეტში იყო. მაშინ 2 ადამიანს გაუჩნდა აზრი, რომ გარკვეული აქციის სახით თბილისის მერიისთვის მართლაც საინტერესო მხატვრული ნამუშევრები ესახსოვრათ, იქნებ ამით მაინც გადაერჩინათ მერი და ქალაქი ლუჟკოვის მიერ დაწესებული ახალი პოსტსაბჭოთა გემოვნებისგან. მაგრამ იმ ორმა ადამიანმა ქართველი მხატვრები და სკულპტორები ვერ აიყოლიეს. მათ ნამუშევრები დაენანათ. ადგნენ და იყიდონო - უპასუხეს. არ მინდა ვიფიქრო, რომ ამ აქციის არსს ვერ ჩაწვდნენ, ვერ მიხვდნენ, რომ თითოეული ჩვენთაგანის მოქალაქეობრივი განცდა, თითოეული ჩვენთაგანის საქმიანი კრიტიკა გამოიყვანდა ჩვენს საზოგადოებას უამრავი ჩიხიდან... დაე, მათი პასუხი ზოგად მხატვრულ დეპრესიას მივაწეროთ. მე ამ არშემდგარი აქციის შესახებ არ მინდა აქცენტის გაკეთება, ასეთი დროული რეაქციების კიდევ ბევრი ჩაიშალა. მინდა მხოლოდ სულ ცოტა მაინც გავხდე თვითკრიტიკული და დავსვა თუნდაც ღია და უპასუხო შეკითხვა - რა გავაკეთეთ იმისთვის, რომ 2009 წლის 9 აპრილი არ გამოგვეგონა? რატომ ვერ გავხდით ამ ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები, რომლებიც საკუთარი კულტურით (რომელიც ვითომ გვაქვს და რომლის გამომზეურებაშიც ხელს გვიშლიან) და შეგნებულობით, შეძლებდა რეალურად ყოფილიყო კრიტიკული, რატომ მიგვაჩნია სასიხარულო მოვლენად და მიღწევად ის ფაქტი, რომ დღეს ქუჩაში ათიათასობით ქართველი გამოვა პროტესტის ნიშნად. ცხადია, გვაქვს უამრავი მიზეზი, რის გამოც ქუჩაში გავდივართ, მაგრამ ფაქტია, რომ მრავალწლიანი უმოქმედობის შემდეგ ჯანყი ერთადერთი ნიჭიერებაა, რომელსაც ამ ბოლო დროს ვამჟღავნებთ.

ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ პრობლემები სწორედ ჩვენშია, შესაბამისად არ გვინდა პრობლემების გადაჭრა. ვებრძვით სიმპტომებს და გვჯერა, რომ დაავადებას გავექცევით. სულ რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი "ცნობადი სახე" იმაზე წუწუნებდა, რომ საქართველო წიგნიერი ერების ჩამონათვალში ბოლოდან მერვე ადგილზეა. ამასაც "სხვას" საყვედურობდა. ეს არაფერია. ადამიანებს ბევრად გაუაზრებელი მიზეზები გვიბიძგებს იმისთვის, რომ ქუჩაში გავიდეთ, მაგალითად ერთ-ერთ "ვარსკვლავს", ცისანა სეფიაშვილს, თურმე ენატრება დღეები, როცა მღეროდა "მე ის პატარა ნაკადული ვარ" და სავარაუდოდ სჯერა, რომ ახალი რევოლუციის შემდეგ ისევ დადგება სცენაზე, კიდევ იმისიც სჯერა რომ "ერთი შემოქმედი ყველაფერს შეცვლის". დავაზუსტებ, რომ საუბარი ღმერთზე არ ყოფილა. კიდევ არიან სხვებიც, რომლებსაც მაგალითისთვის განათლების სისტემა არ მოსწონთ და შვილების სახელმძღვანელოები, რომლებშიც "შემთხვევით" იხედებიან. ისინი ცამდე მართლები არიან, თუ ძველი სკოლების ახალი დირექტორების მმართველობის მექანიზმებს ჩავუღრმავდებით, მივხვდებით, რომ საშუალო განათლების სისტემა იმაზე ცუდი გვაქვს, ვიდრე წარმოდგენა შეგვიძლია, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი ნაწილი ფიქრობს, რომ ახალი რევოლუცია შეცვლის ყველაფერს. ახალი თავები გამოასწორებენ ყველაფერს, ჩვენ კი სადმე სიგარა მომარჯვებულები ვისხდებით და დავტკბებით იმით, რაც გარეთ დგომით და ძახილით მოიპოვეს. განა ასე არ მოხდა ვარდების რევოლუციის შემდეგ?

ზოგადად შემდეგ, მომავალში რა იქნება, არც მე ვიცი და დაუგეგმავი მომავალი ყველაზე დიდი კრახის მომასწავლებელი მგონია ყოველთვის, მით უფრო საქართველოში. თუმცა, ძალიან კარგად ვიცი, რა იყო უკვე გუშინ. ჩემი კურსელები ისევ ქუჩებში დარბოდნენ. ისინი, რომლებსაც ვარდების რევოლუციის შემდეგ თანამდებობები არ შეხვდათ. დარბოდნენ არა პროტესტით, არა განსხვავებული პრინციპებით გონებაში, არამედ ზიზღით. ისინი, რომლებსაც ერთი მხრივ შევარდნაძის რაზმი, მეორე მხრივ კი ნაციონალები ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს "ბარნოვზე" და "ფალიაშვილზე" ოფისებს უხსნიდნენ, ჰალსტუხებს არგებდნენ. დღეს ეს ადამიანები ახალი და მოსალოდნელი რევოლუციის ძალებმა აიფარეს ფარად. რაც არ უნდა მეძახონ, წარსულს ნუ გახედავო, დღეს ამის დრო არ არისო, ჩემთვის ყველა ლუსტრირებულია, ისინიც და ისინიც, ვინც მათ იყენებდა და იყენებს.

გუშინ სხვა რამეც იყო ნაცნობი. ის, რამაც ყველაზე მეტად ჩამიკლა იმედები. გაგიმხელთ. დაე კრიტიკა მივიღო შედეგად, გაგეცინებათ და ეს გრაფიტები იყო. "შეცვალე", "წადი", "თავი დაგვანებე". ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ ამ წარწერების შინაარსმა შემზარა, არა. ასეთ მინაწერებზე, რა პოზიციაზეც არ უნდა იყოს დღეს ადამიანი საქართველოში, ყველა აცრილია. უბრალოდ, ის ფასადები დამენანა და თუნდაც ოპერის თეატრის წინ დაგებული ძლივს ხარისხიანი ფილაქანი. დასუფთავებული და აღდგენილი ფასადები რუსთაველზე და ოპერისა და ბალეტის თეატრი ზუსტად ისეა ჩემი, როგორც სხვა ნებისმიერი ახლანდელი თუ მომავალი ჩინოვნიკისა. სამწუხარო ისაა, რომ ნებისმიერი ძალა, რომელიც ამ ქვეყნის სათავეში მოდის და ის ხალხი, რომელიც ამ ძალებს ზურგს ვუმაგრებთ, სიბინძურით მოვდივართ. როცა იქნება დავასრულებთ ამ აქციებს და როგორიც არ უნდა იყოს ილუზია სიახლისა და შედეგების შესახებ, სინამდვილეში ფურთხით ავსებული და მახინჯი გრაფიტებით შემკული ქალაქი შეგრჩება. სხვას არაფერს დაგვიტოვებს ზიზღი და ვნება, რომელსაც ერთმანეთისთვის ვიმეტებთ. და მერე, ისევ თავიდან 5 ან 10 წელი ჩვენი თავიცა და სხვა ყველაფერიც ამ ფურთხისგან უნდა ვრეცხოთ.

# გეთის მუზეუმი იტალიას რომაულ ფრესკას უბრუნებს

2009 წლის მაისში, კალიფორნიის გეთის მუზეუმი იტალიის კულტურის სამინისტროს რომაულ ფრესკას გადასცემს. მუზეუმის კოლექციაში დაცული ფრესკა ძვ.წ.აღ-ის I საუკუნეს განეკუთვნება.

გეთის მუზეუმის დირექტორის, მაიკლ ბრანდის განმარტებით, დირექციამ ექსპონატის დაბრუნების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, როდესაც პრესაში სხვა ფრესკის გამოსახულება აღმოჩნდა - იტალიას ის კერძო კოლექციონერმა აჩუქა. როგორ მოგვიანებით გაირკვა, ორივე გამოსახულება ერთი მთლიანი ფრესკის ნაწილია, ნათქვამია მუზეუმის პრესრელიზში.



რამენიმე წლის წინათ გეთის მუზეუმისა და იტალიის კულტურის სამინისტროს ურთიერთობა ჩიხში შევიდა. ამის მიზეზი აღმოჩნდა მუზეუმის ანტიკური სიძველეების განყოფილების კურატორი, რომელიც იტალიიდან უკანონოდ გატანილი ექსპონატების შესყიდვით აღმოჩნდა გატაცებული. სიძველეთა სამშობლოში დაბრუნების მცდელობით, იტალიის ხელისუფლება მუზეუმს "კულტურული ემბარგოთი" დაემუქრა. ორწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ კი გეთის დირექციამ რომს, დაახლოებით, 40 ექსპონატი გადასცა. სამაგიეროდ, იტალიური მუზეუმები მზად არიან მათი ექსპონატები კალიფორნიაში აჩვენონ. მალე ფლორენციის არქეოლოგიური მუზეუმი იქ ბრინჯაოს ეტრუსკულ "ქიმერას" გამოფენს.



# აფიშა

## 9 აპრილი

### თეატრი

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**
თეატრი სხვენში
"ფერხული"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 20.00

**თავისუფალი თეატრი**
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 20.00

### კინო

**"რუსთაველი"**
"გასეირნება ყარაბახში 2:კონფლიქტის ზონა"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00
"მადაგასკარი 2"
დასაწყისი: 12.14; 14.00; 15.45; 17.30
"დასპეროს თავგადასავალი"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00; 19.00; 21.00
"მილიონერი გარეუბნიდან"
დასაწყისი: 13.15; 15.30; 17.45; 20.00; 22.15
"ვიკი, კრისტინა, ბარსელონა"
დასაწყისი : 19.30; 21.30

**"ამირანი"**
"გასეირნება ყარაბახში 2: კონფლიქტის ზონა"
დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30; 18.30; 20.30; 22.15
"ნიკა და ნორა"
დასაწყისი: 12.00; 16.00; 20.00
"სხვა სამყარო"
დასაწყისი: 14.00; 18.00; 22.15

### გამოფენა

**TBC ბანკის გალერეა**
ზაალ სულაკაურის სტუდიის მოსწავლეთა გამოფენა

**"ქარვასლა"**
იტალიის საელჩოს მიერ ორგანიზებული გამოფენა "იტალიური სტილი"

**"ბაია"**
ქეთი ნიკოლაიშვილის პერსონალური გამოფენა

**"შარდენი"**
ტიხრული მინანქრის გამოფენა

**გოეთეს ინსტიტუტი**
ბეჭდვითი კომუნიკაციების დიზაინი შექმნილი გერმანიაში

**"აკადემია +"**
სამხატვრო აკადემიის კინოს მხატვრობის მიმართულების სტუდენტების გამოფენა
წარმოდგენილია მაკეტები და ესკიზები

## ვაზარის დერეფანი 2013 წელს გაიხსნება

კერძო ინვესტორთა ჯგუფმა ვაზარის დერეფნის რემონტსა და რესტავრაციას ხუთი მილიონი ევრო შეალია. 750 მეტრიანი გადახურული გასასვლელი ფლორენციის ისტორიულ ცენტრში მდებარეობს და ერთმანეთთან პალაცო ვეკიოსა და პალაცო პიტის სასახლეებს აკავშირებს. დამთვალიერებლისთვის ის 2013 წელს გაიხსნება. ამის შესახებ ANSA.it. იტყობინება. დერეფანში, დაახლოებით, 700 ნახატია გამოფენილი, მათ შორის: ტიციანის "ვენერა ურბინელი", ასევე, ჯოტოს, პაოლო უჩელიოს, პიერო დელა ფრანჩესკას, ლეონარდო და ვინჩის ნამუშევრები. 2001 წლიდან იქ მნახველს მცირე ჯგუფებად უშვებდნენ და ისიც წინასწარი ჩაწერით. იქვე, დერეფანში, ექსპონირებულია XVI-XX საუკუნეების მხატვართა ავტოპორტრეტების მდიდარი კოლექცია, მათ შორის რუბენსის, დელაკრუას, ენგრის და სხვათა.

ეს დერეფანი 1565 წელს მხატვარმა, არქიტექტორმა და მწერალმა ჯორჯო ვაზარიმ ჰერცოგ ფრანჩესკო I მედიჩის დაკვეთით ააშენა. მისი საშუალებით ჰერცოგი ფლორენციის ისტორიული ცენტრისა და მდინარე არნოს გადაკვეთას ქუჩაში გაუსვლელად ახერხებდა.

# თამაში ფილმად იქცევა

### Shadow of the Colossus და Bioshock დიდ ეკრანზე

ია ვეკუა

ცნობილი ვიდეოთამაშების მიხედვით ფილმების გადაღება უკვე ერთგვარ მოდად იქცა. ჰოლივუდი ამ გზითაც ცდილობს საინტერესო სიუჟეტების სიმწირით გამოწვეული პრობლემების აღმოფხვრას და სულ უფრო აქტიურად გადააქვს დიდ ეკრანზე უკვე არსებული თავგადასავლები. ამჯერად ცნობილი გახდა, რომ კომპანია "სონიმ" 2005 წელს გამოშვებული, პრაქტიკულად შედევრი თამაშის Shadow of the Colossus-ის ეკრანიზაცია გადაწყვიტა.



მომავალი ფილმისთვის სცენარის დაწერა უკვე დაევალა ჯასტინ მარკს, რომელიც პარალელურად ჟიულ ვერნის რომანის, "20 ათასი ლიე წყალქვეშ" სცენარზეც მუშაობს. ჯასტინ მარკს წინ საკმაოდ რთული საქმე ელის, რადგან არა მხოლოდ საინტერესო სიუჟეტი უნდა შექმნას, არამედ უნდა შეინარჩუნოს ამ ბრწყინვალე თამაშის ხასიათი, სულიერება და ზღაპრული განწყობა. ეს ყველაფერი კი Shadow of the Colossus-ს ნამდვილად არ აკლია. ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია მისი თამაშის საშუალება, ალბათ დამეთანხმება, რომ თამაშს ნამდვილად შეუძლია პირველივე სცენებიდან წარმოუდგენელ სამყაროში გადაგისროლოს და სრულიად განსხვავებული თავგადასავლის გმირად გაქციოს.

ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად როგორი სიუჟეტი ექნება ფილმს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მისი დიდი ნაწილი თამაშზე იქნება დაფუძნებული. შეგახსენებთ, რომ Shadow of the Colossus-ს "სონის" PlayStation 2-ისთვის 2005 წელს გამოვიდა და რამდენიმე წლით ადრე ასევე საოცარი თამაშის, ICO-ს ერთგვარ გაგრძელებად მიიჩნეოდა, თუმცა სინამდვილეში მისი პრიკველი უფროა. თამაშის გმირია ბიჭუნა სახელად უანდერი. იგი დაკარგული ქალაქის უძველეს ტაძარში გარდაცვლილ გოგონას მიიყვანს და ტაძრის უჩინარ ბინადარ დორმინს მის გაცოცხლებას სთხოვს. დორმინი კი უანდერს გოგონას სიცოცხლის სანაცვლოდ 16 ქვის კოლოსის მოკვლას უბრძანებს. უანდერს ჯადოსნური ხმალი აქვს, რომელიც მას კოლოსების ადგილმდებარეობას უჩვენებს - ბიჭუნა კი ხმლიდან გამოსულ სხივს თავის ერთგულ ცხენ არგოზე ამხედრებული მიჰყვება, რათა ზღაპრულ არსებებს შეებრძოლოს. თუმცა მათთან ბრძოლა არც ისე ადვილი საქმეა - კოლოსები უზარმაზარი ზომის არიან და მხოლოდ ერთი სუსტი ადგილი აქვთ, უანდერმაც სწორედ აქ უნდა მოახერხოს ხმლის ჩარჭობა.

ცალკე საკითხია თამაშის ვიზუალური მხარე, რომელიც მხოლოდ უკვე ნახსენებ ICO-ში გვხვდება. სხვა შემთხვევაში მას ანალოგი არ გააჩნია და პრაქტიკულად ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს - "სონის" დეველოპერებმა მისთვის სრულიად განსხვავებული გრაფიკული დიზაინი შექმნეს. გარდა ამისა ორივე თამაშისთვის შეიქმნა განსაკუთრებული სამყარო და სასაუბრო ენაც.

თამაშის მიხედვით დაგეგმილი კიდევ ერთი პროექტის შესახებ ადრეც ვიუწყებოდით - "კარიბის ზღვის მეკობრეების" რეჟისორმა, გორ ვერბინსკიმ საბოლოოდ განაცხადა უარი ტრილოგიის მეოთხე ნაწილის გადაღებაზე და ოფიციალურად დაადასტურა, რომ უახლოეს მომავალში "ბიოშოკზე" დაიწყებს მუშაობას. "მეკობრეებზე" მუშაობისას არაჩვეულებრივი დრო გავატარე და ექშენის ჟანრის ფილმის გადაღების დიდი გამოცდილებაც მივიღე. ახლა კი ვგრძნობ, რომ დროა ახალ ეტაპზე გადავინაცვლო და გარემო გამოვიცვალო", - განაცხადა ვერბინსკიმ პრესასთან საუბრისას.

"ბიოშოკისთვის" სცენარს ძალიან გამოცდილი სცენარისტი ჯონ ლოგანი წერს. სწორედ მისი დაწერილია სცენარები რიდლი სკოტის "გლადიატორისთვის", ედვარდ ზვიკის "უკანასკნელი სამურაისთვის", მარტინ სკორსეზეს "ავიატორისთვის", ტიმ ბარტონის "სუინი ტოდისა", და სტივენ სპილბერგის ჯერ კიდევ დაუსრულებელი "ლინკოლნისთვის". სწორედ ამ წარმატებული ფილმების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ "ბიოშოკის" სცენარი კარგი გამოვა, დანარჩენი კი უკვე გორ ვერბინსკის ოსტატობაზეა დამოკიდებული.

# ევროპული თეატრალური პრემია კრისტიან ლიუპას გადაეცა

მერვე ევროპული თეატრის ლაურეატი პოლონელი რეჟისორი კრისტიან ლიუპა გახდა. დაჯილდოების ცერემონია ვროცლავში გაიმართა. 2007 წელს ლიუპამ პეტერბურგის თეატრში ჩეხოვის "თოლია" დადგა, რომელიც ახლა წარდგენილია "ოქროს ნიღაბის" მთავარ ნომინაციაზე - "დრამა/დიდი ფორმის სპექტაკლი".

ლიუპამ აღიარება 1980-იან წლებში, კრაკოვის ძველ თეატრში განხორციელბული დადგმებით მოიპოვა. მან ახალი სასცენო ენის ძიების პროცესში "განფენილობათა თეატრის" პრინციპები გამოიმუშავა. რეჟისორი არაერთი პოლონური თუ სხვა ქვეყნის ჯილდოს ლაურეატია.



გასული წლების განმავლობაში, ევროპული თეატრალური პრემიის ლაურეატები გახდნენ: პინა ბაუში, პიტერ ბრუკი, ჰაროლდ პინტერი, ანატოლი ვასილევი და ა.შ.

ვროცლავში, 2009 წლის აპრილში, "ახალი თეატრალური რეალობის" პრემიაც გაიცა. ის ხუთ რეჟისორს მიაკუთვნეს, ესენი არიან: ესპანელი როდრიგო გარსია, იტალიელი პიპო დელბონო, ბელგიელი გი კასე, ფრანგი ფრანსუა ტანგი, უნგრელი არპად შილინგი.

# მაესტრო აბადო "ლა სკალაში" ბრუნდება

კლაუდიო აბადო მსოფლიო მასშტაბის დირიჟორია. ის მილანის "ლა სკალას" თეატრში 24 წლიანი პაუზის შემდეგ ბრუნდება. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო ANSA.it. ავრცელებს.

დირიჟორი ამ თეატრის მუსიკალური დირექტორი 1968-1986 წლებში იყო. 2007 წელს, ავადმყოფობის მიზეზით, მან სცენაზე გამოსვლა ლამის საერთოდ შეწყვიტა. ამჯერად ის "ლა სკალაში" მალერის მერვე სიმფონიას უდირიჟორებს. კონცერტი 2010 წლის 4 ივნისს გაიმართება.



კლაუდიო აბადო 1970-90-იან წლებში მსოფლიოში სახელგანთქმულ ორკესტრებთან თანამშრომლობდა, 2000 წლიდან მისი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა: მას მუცლის სიმსივნე აღმოუჩინეს. 2002 წელს მან უარი თქვა ბერლინის ფილარმონიის ორკესტრის დირიჟორის თანამდებობაზე, რომელიც ჰერბერტ ფონ კარაიანის გარდაცვალების შემდეგ, 1989 წელს დაიკავა. 2007 წელს მაესტრომ, ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზით, კონცერტებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, მაგრამ ორი თვის შემდეგ სამუშაოს მაინც დაუბრუნდა და ბოლონიური Orchestra Mozart-ის ხელმძღვანელობა განაგრძო. ის ამავე დროს სათავეში უდგას ლიუცერნის საფესტივალო ორკესტრს.

# სპორტი

## საქართველო 109

ფიფას მიერ გუშინ გამოქვეყნებულ რეიტინგში საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები, გასულ თვესთან შედარებით, ორი საფეხურითაა დაწინაურებული. ამჟამად ჩვენი ნაკრები 109-ე საფეხურზეა.

ფიფას ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, რეიტინგის სათავეში მდგომარეობა არ შეცვლილა - პირველი ადგილი ესპანეთს, მეორე გერმანიას, მესამე კი ჰოლანდიას უკავია.

ცალკე საუბრის თემაა ესპანეთი. იბერიელები მატჩს მატჩზე იგებენ და, უკვე 31 მატჩია, არ დამარცხებულან. ასეთი სტატისტიკა კი ერთგვარი რეკორდია. ამბობენ, პირველი შემთხვევაა, როდესაც მოწინავე გუნდს უახლოეს მდევართან 350- ქულიანი უპირატესობა აქვსო. ფიფა/კოკა-კოლას რეიტინგი კი 1993 წლიდან იღებს სათავეს.

რეიტინგში ერთი საფეხურით დაწინაურდნენ ბრაზილიელები. მსოფლიო ჩემპიონი იტალია კი ერთი საფეხურით ჩამოქვეითდა. ლა პასში ბოლივიასთან სამარცხვინო ანგარიშით წაგებისა და განიავებული ქულების მიუხედავად, რეიტინგში უწინდელი ადგილი (6) შეინარჩუნეს არგენტინელებმა. ორი ნაბიჯით დაწინაურდნენ ინგლისელებიც. მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო საფრანგეთის ნაკრებს, რომელიც პორტუგალიელთა ხარჯზე მოწინავე ათეულს დაუბრუნდა.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

**ფიფას რეიტინგი:**

1 (1). ესპანეთი ....................1729
2 (2).გერმანია .................... 1362
3 (3).ჰოლანდია ..................1360
4 (5).ბრაზილია .................. 1275
5 (4).იტალია...................... 1271
6 (6).არგენტინა .................1201
7 (9).ინგლისი .................... 1173
8 (7).ხორვატია .................. 1151
9 (8).რუსეთი ...................... 1117
10 (12).საფრანგეთი............1074
11 (10).პორტუგალია ..........1013
12 (13).ჩეხეთი...................... 968
13 (19).საბერძნეთი ..............927
14 (11).თურქეთი ................. 925
15 (17).აშშ ............................ 919
16 (21).ურუგვაი .................. 909
17 (15).პარაგვაი .................. 896
18 (22).შვეიცარია ............... 883
19 (16).კამერუნი ................. 871
20 (27).ბულგარეთი .............840
34 (26).ირლანდია ................ 761
74 (84).კვიპროსი ................. 460
**109 (111).საქართველო........322**
117 (112).მონტენეგრო .........284

***შენიშვნა:** რეიტინგის შედგენისას გათვალისწინებულია A კლასის 109 მატჩი (მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის 77 და 32 ამხანაგური შეხვედრა).*

## ჭაბუკები და ახალგაზრდები ევროპულ ლეიბს მიადგნენ

თავისუფლებისა და ბერძენ-რომაელების ნაკვალევს გაუყვნენ საქართველოს ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა ნაკრებები. ორივე ასაკობრივი ნაკრების მიზანი შიაულაიში (ლიტვა, 8-11 აპრილი) ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობაა.

ჭაბუკთა შორის საქართველოს ღირსებას ცხრა სპორტსმენი დაიცავს. ამდენივე წარმომადგენელია ახალგაზრდებშიც. ორივე ასაკობრივ ჯგუფში მხოლოდ თითო წონითი კატეგორიაა ისეთი, რომელშიც საქართველოს ნაკრებს მონაწილე არ ეყოლება. საუბარია ჭაბუკთა 65 და ახალგაზრდების 74 კილოგრამ წონით კატეგორიებზე.

ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ორი ჩემპიონია - გიორგი გეჯაძე და ნოდარ კუნდუხაშვილი. გუნდის შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

**ჭაბუკები:** გივი ნადირაშვილი (48 კგ.), გენადი ჩირგაძე (52 კგ.), თორნიკე თათარაშვილი (56 კგ.), გიორგი ვარძელაშვილი (60 კგ.), ზვიად კაპანაძე (70 კგ.), ვარლამ ნიჟარაძე (75 კგ.), იაგო მესტვირიშვილი (81 კგ.), არჩილ შინჯიკაშვილი (87 კგ.), მიხეილ ნარიმანიძე (+87 კგ.).

**ახალგაზრდები:** გიორგი გეჯაძე (48 კგ.), ვაჟა ლატარია (52 კგ.), ბექა ბუცხრიკიძე (57 კგ.), ზვიად ოდოშაშვილი (62 კგ.), ლევან ნახუცრიშვილი (68 კგ.), ნოდარ კუნდუხაშვილი (82 კგ.), გიორგი გურული (90 კგ.), გიორგი ბოლოთაშვილი (100 კგ.), დავით ბოჭორიშვილი (+100 კგ.).

## ხელბურთელები პორტუგალიაში მოსაგებად მიდიან

საქართველოს 21 წლამდელ ხელბურთელთა ნაკრები პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩებში მიიღებს მონაწილეობას. ქართველ ახალგაზრდებს თურქეთის, პორტუგალიის და ბელგიის ნაკრები გუნდები დაუპირისპირდებიან.

გუნდი პორტუგალიაში დღეს გაემგზავრება, ხვალ კი პირველ მატჩს გამართავს თურქეთის ნაკრებთან. 11 აპრილს ჩვენი ბიჭები პორტუგალიის ნაკრებს ეთამაშებიან, შესარჩევ ციკლს კი ბელგიელ თანატოლებთან მატჩით დაასრულებენ.

ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა ბექა ორჯონიკიძემ განაცხადა, რომ გუნდი შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად მოემზადა.

"სამი შეკრება ჩავატარეთ - ფიზიკური, ტექნიკური და ფიზიკურ-ტაქტიკური. მესამე შეკრებისას შემოგვიერთდა სერბულ "მეტალოპლასტიკაში" მოთამაშე ირაკლი ჩიქოვანი. ირაკლი გამოცდილია და გუნდისთვის დიდი ძალაა. დავიმატეთ თემურ ლეჟავა, რომელიც იაპონიაში ცხოვრობს. სამწუხაროდ, გიორგი ჩიქოვანი ტრავმირებულია - აქილევსის მყესი აქვს გაწყვეტილი. მართალია, ვარჯიში დაიწყო, მაგრამ დიდი დატვირთვის გარეშე. ის ნაკრებთან ერთად მოდის პორტუგალიაში, მაგრამ შესაძლოა ვერ ითამაშოს. რაც შეეხება ჩვენს მეტოქეებს, მათზე მწირი ინფორმაცია გვაქვს. ყველა სტაბილური და კარგი გუნდია, თუმცა, ჩვენ მოსაგებად ვიბრძოლებთ."

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში 18 ხელბურთელია გამოძახებული: გიგა ტორონჯაძე (სტუ), დავით შიშინაშვილი (ქუთაისი), ზურაბ მელქოშვილი (სტუ), გიორგი ნიკოლაიშვილი (სამტრედია), ირაკლი თევზაძე (სამტრედია), თენგო მუმლაძე (ქარიშხალა), გიორგი ჯოხარიძე (სტუ), დავით სულიკაშვილი (თბილისი), გოგიტა ნიკურაძე (სამტრედია), ვანო ქარდავა (თბილისი), ნიკა ჯორბენაძე (სტუ), ლუკა ჩიხლაძე (თბილისი), გიორგი ჩიქოვანი (სტუ), გიორგი ფერაძე (სტუ), გიორგი ქანთარია (თბილისი), ირაკლი კვერნაძე (ქუთაისი), დავით სეთურიძე (ქარიშხალა), რევაზ გველესიანი (მამული).

**მთავარი მწვრთნელი:** ჯემალ ბარამიძე

**მწვრთნელები:** ირაკლი კეკელიძე, ბექა ორჯონიკიძე

**გუნდის ექიმი:** გიორგი გოცირიძე

### ქართულ-თურქული თანამშრომლობა

7 აპრილს თბილისის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში საქართველოსა და თურქეთის საჭადრაკო ფედერაციებს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიზანია ორ ფედერაციას შორის თანამშრომლობის განვითარება.

მემორანდუმის გაფორმებისას მხარეებს წარმოადგენდნენ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე და თურქეთის საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები კუვალი სანლი და ახმეტ დიუსაკი.

ორი ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციებს შორის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მიზნით, საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია და თურქეთის ჭადრაკის ფედერაცია თანხმდება შემდეგზე:

1. ორივე ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდებისა და წამყვან მოჭადრაკე (ქალთა და მამაკაცთა) ერთობლივი წვრთნების ორგანიზება.
2. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვთა გაცვლითი პროგრამის განხორციელება.
3. წამყვან მოჭადრაკეთა გაცვლითი პროგრამები (ტურნირები და მწვრთნელთა შეკრებები).
4. ქვეყნის ფარგლებში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირებში ფედერაციის პერსონალური ნომინანტების (1-3 მოჭადრაკე) მიღება.
5. მწვრთნელთა სემინარები, კონსულტაციები, გამოცდილების გაზიარება პრეზიდენტისა და სხვა მაღალჩინოსანი თანამშრომლების საქმიანი ვიზიტები.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ სანლიმ და დიუსაკმა ხაზი გაუსვეს ქართული ჭადრაკის მდიდარ ტრადიციებს.

### კაკა არ იყიდება

იტალიის "მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ უარყო ესპანურ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ "როსონერის" ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველი კაკა მადრიდის "რეალში" გააგრძელებს კარიერას.

"მე და პერესს ფეხბურთს მიღმაც გვაქვს ურთიერთობა. არ ვაპირებ ჭორების გავრცელებას და საკმაოდ მშვიდად ვარ. ჯერჯერობით პერესი კლუბის პრეზიდენტად არ აურჩევიათ და ამიტომ არავითარი გარანტიის მოცემა არ შეუძლია. მას რომ კაკას შეძენა უნდოდეს, დარწმუნებული ვარ, პირდაპირ ჩემთან მოვიდოდა და ჭორებს არ გაავრცელებდა. ბრაზილიელი არ იყიდება და ფლორენტინო ამას უნდა შეეგუოს", - განაცხადა გალიანიმ.

მილანელთა ვიცე-პრეზიდენტმა ასეთი განცხადება მას შემდეგ, გააკეთა, რაც ორშაბათს ესპანურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ, "რეალის" პრეზიდენტად გახდომის შემთხვევაში, პერესი "მილანიდან" 60 მილიონ ევროდ კაკას შეიძენს და ეს საკითხი იტალიური კლუბის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული აქვს.

### ბელგიელებმა მწვრთნელი დაითხოვეს

ბელგიის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი რენე ვან დერ ეიკენი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

ამის მიზეზი 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბელგიელთა არადამაჯერებელი ასპარეზობა გახდა.

ექვსი მატჩის შემდეგ ბელგიის ნაკრებს მხოლოდ 7 ქულა აქვს და მეხუთე შესარჩევ ჯგუფში მე-4 ადგილზეა.

### რომარიო კომპენსაციას გადაიხდის

ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილ თავდამსხმელ რომარიოს "ფლუმინენსეს" ერთ-ერთი გულშემატკივრისთვის, რომელსაც ექვსი წლის წინ ხელი გაარტყა, კომპენსაციის სახით 17 000 დოლარის გადახდა მოუწევს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება დიდი ხნის წინ მიიღო, მაგრამ ფეხბურთელმა ის სააპელაციოში გაასაჩივრა, რომელმაც, თავის მხრივ, განაჩენი ძალაში დატოვა.

"ფლუმინენსეს" გულშემატკივარი, რომელიც გუნდის თამაშით უკმაყოფილო იყო, ვარჯიშზე მივიდა და საწვრთნელ მოედანზე ექვსი ქათამი გაუშვა, რამაც რომარიო ძალიან გაანაწყენა. ის ქომაგს გამოეკიდა, ტრიბუნებზე დაეწია და რამდენჯერმე წაუთაქა. ამის გამო ბრაზილიური კლუბის ფანმა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონს სასამართლოში უჩივლა და საქმე მოიგო.

## ვიერიმ ამერიკისკენ აიღო გეზი

ვეტერანი იტალიელი ფორვარდი კრისტიან ვიერი კალიფორნიაში გაემგზავრა, სადაც სინჯებს ამერიკის შეერთებული შტატების საფეხბურთო MLS ლიგის კლუბ "ლოს ანჯელეს გელექსიში" გაივლის.

გასულ კვირაში ვიერიმ "ატალანტასთან" კონტრაქტი გაწყვიტა.

## რონალდუ "მანჩესტერს" არ დატოვებს

კრიშტიანუ რონალდუ "მანჩესტერ იუნაიტედიდან" წასვლას არ აპირებს. ამის შესახებ პორტუგალიელმა ვარსკვლავმა და "მანჩესტერის" მთავარმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადეს. "მერამდენედ უნდა დამისვათ ეს შეკითხვა?" - გაღიზიანებული ტონით უთხრა ალექს ფერგიუსონმა კორესპონდენტს, რომელმაც მას რონალდუს "მანჩესტერიდან" მადრიდის "რეალში" შესაძლო გადასვლის შესახებ ჰკითხა. ამ შეკითხვას უფრო გარკვეული პასუხი გასცა თავად ნახევარმცველმა.

"მანჩესტერში" ყველაფრით კმაყოფილი ვარ და ამ კლუბს იდეალურად ვეწყობი", - ამბობს კრიშტიანუ.

## "ზალცბურგი" ადრიაანსეს კონტრაქტს აღარ უგრძელებს

ავსტრიის ჩემპიონატის ლიდერის "ზალცბურგის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ მთავარ მწვრთნელ კო ადრიაანსესთან, რომელიც გუნდს 2008 წლის მარტში ჩაუდგა სათავეში, კონტრაქტს აღარ გააგრძელებს.

ამის შესახებ სააგენტო AFP იუწყება.

ამჟამად ადრიაანსეს მიერ გაწვრთნილ "ზალცბურგს" ავსტრიის ჩემპიონატში 62 ქულით პირველი ადგილი უკავია და მეორე ადგილზე მყოფ ვენის "რაპიდს" 5 ქულით უსწრებს.

სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში ჰოლანდიელი სპეციალისტი, "ზალცბურგის" გარდა, ამსტერდამის "აიაქსში", "ზვოლეში", "დენ ჰააგში", "ვილემში", "ალკმაარში", პორტუგალიის "პორტუში", უკრაინის "მეტალურგში" და ყატარის "ალ-საადში" მუშაობდა.

რაც შეეხება ადრიაანსეს მიღწევებს, მან 2006 წელს "პორტუს" პორტუგალიის ჩემპიონატი და თასი მოაგებინა. იმავე წელს ის ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.

## ბოჟინოვი "სიტიში" დარჩენას ლამობს

ბულგარელი ფორვარდი მანჩესტერულ კლუბში 2007 წლის აგვისტოში 5,75 მილიონ ფუნტად იტალიის "ფიორენტინადან" გადავიდა, მაგრამ სერიოზული ტრავმების გამო განვლილ პერიოდში ინგლისის ჩემპიონატში მხოლოდ 7 მატჩი ჩაატარა, რომლებშიც გოლი არ გაუტანია. ამის გამო გავრცელდა ჭორი 23 წლის ფეხბურთელის გუნდიდან სავარაუდო წასვლის შესახებ, რომელიც თავად ბოჟინოვმა უარყო.

"ჩემი გული მხოლოდ "მანჩესტერ სიტის" ეკუთვნის. მე აქ მსურს თამაში და სხვაგან არსად," - თქვა ფორვარდმა.

## "ინტერი" კვალიარელას უმიზნებს

მიმდინარე წლის ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში მილანის "ინტერი" იტალიის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდისა და "უდინეზეს" ფორვარდის ფაბიო კვალიარელას შეძენას აპირებს.

"ინტერი" კვალიარელას სანაცვლოდ 12 მილიონი ფუნტის გადახდას აპირებს და უდინელი ფორვარდით ბრაზილიელი ადრიანოს შეცვლა სურს, რომელიც, დიდი შანსია, სეზონის დასრულების შემდეგ გუნდიდან გაუშვან. არ არის გამორიცხული, თანხასთან ერთად მილანელებმა "უდინეზეს" კოლუმბიელი მცველი ნელსონ რივას შესთავაზონ.

კვალიარელას უდინელებთან კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს. სეზონის განმავლობაში მისი ანაზღაურება დაახლოებით მილიონი ფუნტია.

## სილვა "ვალენსიას" ერთგულია

ესპანური "ვალენსიას" ნახევარმცველი დავიდ სილვა, რომლისადმი ინტერესს ტურინის "იუვენტუსი" იჩენდა, კლუბის დატოვებას არ აპირებს.

ესპანელ ფეხბურთელს ვალენსიელებთან კონტრაქტი 2013 წელს ეწურება და ის ხელშეკრულების ამოწურვას დაელოდება.

"ვალენსიასთან" ხანგრძლივი კონტრაქტი მაკავშირებს, რომლის დარღვევას არ ვაპირებ. გუნდში არსებული მდგომარეობით კმაყოფილი ვარ, სხვა დანარჩენი კი ჭორებია", - აღნიშნა სილვამ.

დავიდის ამ განცხადების შემდეგ, სავარაუდოა, რომ "იუვენტუსი" მზერას მიაპყრობს ბრემენის "ვერდერისკენ", საიდანაც კარგა ხანია უნდა ბრაზილიელი დიეგოს გადაბირება.

# "ქორებმა" სამი მარცხის შემდეგ გაიმარჯვეს

NBA-ს რეგულარული სეზონი დასასრულს მიუახლოვდა. ზედიზედ განცდილი სამი მარცხის შემდეგ ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსი" ტორონტოს სტუმრობდა და ადგილობრივი "რეფტორზი" 118:110 დაამარცხა.

ფაჩულიას მაიკ ვუდსონმა სათამაშოდ მხოლოდ 16 წუთი მისცა. ქართველმა ცენტრმა კარგი სტატისტიკა აჩვენა: 11 ქულა, 1 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა. ზაზას მთავარმა კონკურენტმა ალ ჰარფორდმა მატჩი ორმაგი დუბლით დაასრულა (15 ქულა, 12 მოხსნა). ჰარფორდმა მოედანზე 32 წუთი დაჰყო.



ფაჩულია ამაოდ ცდილობს მეტოქის შეჩერებას

უკრაინის საკალათბურთო პირველობის 28-ე ტურში მანუჩარ მარკოიშვილის "ბკ კიევი" ერთ-ერთ აუტსაიდერს - "პულსარს" ესტუმრა და უჩვეულოდ მცირექულიან მატჩში 55:45 სძლია. სტუმართა მონაგარის მესამედი ქართველი მოთამაშის აქტივშია.

ცხადია, მარკოიშვილმა კიეველთა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და თითქმის შეუცვლელად - 38 წუთსა და 17 წამს იყო მოედანზე.

მან 13-დან 8 ორქულიანი და 2 საჯარიმო ჩააგდო, 3 სამქულიანი კი გააცუდა. მოგროვებულ 18 ქულას ქართველმა კალათბურთელმა 2 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა დაამატა და მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

"ბკ კიევს" 23 მოგება და 5 მარცხი დაუგროვდა და რეგულარული პირველობის ლიდერ "აზოვმაშს" ერთი მოგებით ჩამორჩა.

ხორვატიის საკალათბურთო ჩემპიონატში ვლადიმერ ბოისას "ზადარმა" გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტს ზაგრების "ციბონას" უმასპინძლა და, ქართველის კარგი თამაშის წყალობით, 97:88 სძლია.

ბოისამ ზადარელთა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 24 წუთში მასპინძლებს 16 ქულა, 8 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება შეაშველა. მის წინააღმდეგ კი მეტოქეები 5-ჯერ დაჯარიმდნენ.

გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის "ტარტუ როკი" ესტონეთის საკალათბურთო ჩემპიონატის მორიგ ტურში მარადიულ მეტოქეს - ტალინის "კალევს" ესტუმრა და 61:88 დამარცხდა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა სანიკიძე, რომელსაც ტარტუელთა სასტარტო ხუთეულში არ უთამაშია, თუმცა 30 წუთში 19 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

ვიქტორმა 7-დან 4 ორქულიანი, 5-დან 2 სამქულიანი და 8-დან 5 საჯარიმო გამოიყენა.

24 წუთში 5 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა ცინცაძემ, რომელმაც "როკის" სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო ასპარეზობა.

მარცხის მიუხედავად, ტარტუელთა ჰეგემონიას საფრთხე არ ემუქრება. ქართველთა გუნდს 24 მატჩში 22 მოგება აქვს და "კალევს" 5 გამარჯვებით უსწრებს.

"როკი" მომდევნო მატჩს 10 აპრილს "ვალგას" წინააღმდეგ ჩაატარებს.

# ჯორდანს სადარბაზო დიდება ეწვია

გიგა გურასაშვილი

*კალათბურთის ეროვნულმა ასოციაციამ გამოაცხადა იმ სპორტსმენთა ვინაობა, რომლებიც წლეულს დიდების დარბაზში დაიდებენ ბინას. მათ შორისაა ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი კალათბურთელი "მისი უჰაეროსნობა" მაიკლ ჯორდანი.*



კალათბურთიდან წასულ ჭორდანს დიდების დარბაზი ეწვია

სექტემბერში სპრინგფილდში დაგეგმილ საზეიმო ცერემონიალზე "მის უჰაეროსნობას" კომპანიას გაუწევენ ცენტრი დევიდ "ადმირალ" რობინსონი, გამთამაშებელი ჯონ სტოკტონი, "იუტა ჯაზის" დამრიგებელი ჯერი სლოუნი და ქალთა კალათბურთის ცნობილი მწვრთნელი ვივიან სტრინგერი.

"არ მომწონს, რომ ახლავე სურთ დიდების დარბაზში ჩემი მოთავსება. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ჩემს საკალათბურთო კარიერას წერტილი დაესვა, - ახალ ლაურეატთა გამოცხადებასთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე გულდაწყვეტილი ჩანდა ჯორდანი, - იმედი მქონდა, რომ ეს დღე დადგებოდა 20 წლის ან ჩემი სიკვდილის შემდეგ. დიახ, ეს ჩემთვის დიდი მიღწევა და უდიდესი პატივია, მაგრამ მინდა ყველა თქვენგანმა იცოდეს, რომ კალათბურთში დაბრუნება ნებისმიერ დროს შემიძლია (ჯორდანი 2003 წლის გაზაფხულზე წავიდა კალათბურთიდან. რედ.).

მაიკლ ჯორდანმა "ჩიკაგო ბულსი" ექვსჯერ (1991, 1992, 1993, 1996, 1997, 1998 წლებში) მიიყვანა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონობამდე. ის ხუთჯერ (1988, 1991, 1992, 1996, 1998 წლებში) აღიარეს რეგულარული სეზონის ყველაზე სასარგებლო (MVP) მოთამაშედ. წლის შედეგებით ათჯერ მოხვდა პირველ ხუთეულში, 14-ჯერ მიიღო მონაწილეობა "ყველა ვარსკვლავის" მატჩში და აშშ-ის ნაკრებთან ერთად ორჯერ გახდა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი - ლოს ანჯელესსა (1984 წ.) და ბარსელონაში (1992 წ.).

NBA-ში გატარებული 15 წლის განმავლობაში დაგროვილი აქვს 32 292 ქულა, რაც ლიგის ისტორიის მესამე საუკეთესო შედეგია. ამ მხრივ მასზე წინ არიან მხოლოდ კარიმ აბდულ-ჯაბარი და კარლ მელოუნი. თითოეულ მატჩში ჯორდანის საშუალო შედეგიანობა 30,12 ქულა იყო. ამ მაჩვენებლით ლიგის ისტორიაში ჯორდანს ბადალი არ ჰყავს.

# ბრიტანულ-პირენეული დაპირისპირების ბედს განმეორებითი მატჩები გადაწყვეტს



მარკოს სენას დარტყმას ალმუნიამ ვერაფერი მოუხერხა

მართალია, სამშაბათს გამართულმა ჩემპიონთა ლიგის მატჩებმა გულშემატკივარს ლამაზი სანახაობა აჩუქა, მაგრამ წყვილებში არავითარი სიცხადე არ შეუტანია. ცხადია, ყველაფერს განმეორებითი მატჩები გადაწყვეტს. რაიმე უპირატესობაზე საუბარი ალბათ ზედმეტია. ერთი შეხედვით "არსენალს" ადებაიორის ულამაზესმა გოლმა გარკვეული უპირატესობა მისცა განმეორებითი მატჩის წინ, მაგრამ "არსენალს" კარგი დრო არ უდგას და გასაკვირი არ იქნება, თუ "მყვინთავები" "ემირეიტსზე" მიაღწევენ წარმატებას. "მანჩესტერმა" ისევ წაიფორხილა "პორტუსთან", პორტუგალიური გრანდი მანკუნიანელთათვის გადაულახავ ბარიერად იქცა და ახლა ფერგიუსონის გუნდს იმის გაკეთება მართებს, რაც ბრიტანელებს არასდროს გაუკეთებიათ. კერძოდ, "პორტუ" საკუთარ მინდორზე არც ერთ ბრიტანულ გუნდთან არ დამარცხებულა.

გაგაცნობთ მატჩების შემდეგ მწვრთნელების მიერ გაკეთებულ კომენტარებს.

სერ ალექს ფერგიუსონი: "ახლა ძალიან მძიმე გამოცდა გველის. ბრიტანელებიდან ხომ არავის დაუმარცხებია სტუმრად "პორტუ". ბოლო გოლი იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომლის გაშვება გუნდს არ ეპატიება. ეს იყო საშინელი ეპიზოდი. ვალდებული ვიყავით ყველაფერი გადაგვეწყვიტა, როდესაც ანგარიში 2:1 იყო ჩვენს სასარგებლოდ. ახლა კი მხოლოდ თავი უნდა დავიდანაშაულოთ. როდესაც მშრალი სერიის გაგრძელებას და რეკორდის დამხობას ვფიქრობდით, ვახერხებდით კიდეც დაცვაში ზუსტ თამაშს და კარის მშრალად შენახვას, მაგრამ "ბლექბერნთან" მატჩის შემდეგ რაღაც მოხდა და არაერთი უაზრო გოლი გავუშვით. "პორტუს" არ გავუკვირვებივარ. ეს გუნდი სტუმრად ყოველთვის ასე თამაშობს. "ატლეტიკოსთანაც" ზუსტად ასე ითამაშა. თუმცა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ვიცი, განმეორებითი მატჩის მოგება ძნელია, მაგრამ კარგი შემადგენლობა გვყავს და ამას შევძლებთ".

ჟეზუალდუ ფერეირა: "მინდა მივულოცო ჩემს ფეხბურთელებს. ჩვენ წამითაც არ დაგვვიწყებია, რომ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს ვხვდებოდით. ამავე დროს ვცდილობდით მეტოქისთვის მაქსიმალურად ბევრი პრობლემა შეგვექმნა. ვფიქრობ, ეს შევძელით. შედეგი ნამდვილად დადებითია. განმეორებითი მატჩი ხომ ჩვენთან, "დრაგაუზე" გაიმართება. თუმცა გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. პირველ გოლში ჩვენი მცველის დანაშაული აშკარაა, მაგრამ ცალკეულ ფეხბურთელებს არასდროს არ ვდებთ ბრალს ამა თუ იმ წარუმატებლობაში. პირველ ტაიმში ჩვენ უფრო მწვავედ ვუტევდით, ვიდრე "მანჩესტერი", მეორე ტაიმში კი როლები შეიცვალა. კარგად მესმის, რამდენად ძლიერ გუნდს ვუპირისპირდებით. ვიცი, განმეორებით მატჩში ყველაფერი შესაძლებელია, თუმცა, რაც არ უნდა მოხდეს, ჩემი გუნდი საქებარ სიტყვებს უკვე იმსახურებს.

მანუელ პელეგრინი: "მშვენიერი მატჩი იყო. პირველ ტაიმში იდეალურად ვთამაშობდით, მეორე ტაიმი კი თანაბარი გამოვიდა. თუ მთელი 90 წუთის დინამიკას გავითვალისწინებთ, ვფიქრობ, საბოლოო შედეგი მთლად სამართლიანი არ არის. მარტო პირველ ტაიმში გვქონდა ოთხი აშკარა საგოლე მომენტი. "არსენალმა" კი მხოლოდ ერთი მომენტი შექმნა და გაიტანა კიდეც. ნახევარფინალში გასვლის შანსები თანაბარია, თუმცა თეორიულად უპირატესობას უკვე "არსენალი" ფლობს - განმეორებით მატჩს ხომ ლონდონი უმასპინძლებს.

არსენ ვენგერი: "ორივე გუნდმა კარგად ითამაშა. შეხვედრა "ვილიარეალმა" უკეთ დაიწყო. თუმცა მეორე ტაიმში უპირატესობას ჩვენ ვფლობდით. ნახევარფინალში გასვლის ყველა შანსი გვაქვს. მინდა ადებაიორის გოლზეც ვთქვა. ეს იყო ფანტასტიკური დარტყმა და ბრწყინვალე გოლი.

# ფლორენტინო პერესის ახალი გალაქტიკური გეგმა


პერესი გალაქტიკური კლუბის შექმნას მოურინიოთი იწყებს

სეზონის დასრულებისთანავე მადრიდის "რეალში" დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. "სამეფო კლუბმა" წლევანდელი სეზონი აშკარად ჩააგდო. მართალია, "რეალს" ესპანეთის ჩემპიონობის შანსი შერჩა, მაგრამ ეს შანსი სიმბოლური და არარეალურია. ზაფხულში "რეალში" დაგეგმილია საპრეზიდენტო არჩევნები. მასში მონაწილეობას მიიღებს კლუბის ყოფილი პრეზიდენტი ფლორენტინო პერესიც, რომელსაც ახალი გალაქტიკური გეგმა აქვს.

თავის დროზე, როდესაც პერესი "რეალის" პრეზიდენტად დაინიშნა, მან ეგრეთ წოდებული "გალაქტიკოსის" ჩამოყალიბება დაიწყო და ამ ამოცანას წარმატებითაც გაართვა თავი. ახლა პერესი "რეალის" ფანებს ჰპირდება, რომ გალაქტიკურ დროს დააბრუნებს.

ამბობდნენ, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში პერესი კაკას ან კრიშტიანუ რონალდუს გადაიბირებს, თუმცა, როგორც ჩანს, ამ ტრანსფერებს განხორციელება არ უწერიათ. ორივე ფეხბურთელმა დაუფარავად განაცხადა, რომ "რეალში" გადასვლა არ სურთ. ეს კი პერესის გეგმებს ცვლის.

თავის დროზე პერესმა ვარსკვლავი ფეხბურთელებით და მოკრძალებული მწვრთნელით შექმნა გალაქტიკური გუნდი. ფლორენტინომ "ბუნჩულა" დელ ბოსკეს ზიდანი, ფიგუ, რონალდო და ბექჰემი მიუყვანა და შედეგმაც არ დაახანა. ახლა, როცა ვარსკვლავი ფეხბურთელების შეძენა ძალიან ძნელია, პერესმა სტრატეგია შეცვალა - გუნდში ვარსკვლავი მწვრთნელის მიყვანას აპირებს. ამბობენ, რომ, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, პერესი "რეალის" მთავარი მწვრთნელის პოსტს ჟოზე მოურინიოს შესთავაზებს. მართალია, კონტრაქტით პორტუგალიელი კიდევ სამი წლით არის დაკავშირებული "ინტერთან", მაგრამ მოურინიოს არაერთხელ უთქვამს, რომ ესპანეთში მუშაობა სურს.

### შევჩენკოს "მილანში" დარჩენა სურს

უკრაინელმა თავდამსხმელმა ანდრეი შევჩენკომ, რომელიც "მილანში" ლონდონის "ჩელსიდანაა" განათხოვრებული, მომავალ სეზონშიც იტალიურ კლუბში დარჩენის სურვილი გამოთქვა.

ინგლისელებმა შევჩენკო იჯარის წესით გასულ ზაფხულს გაუშვეს, თუმცა ანდრეიმ მილანელთა ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ შეძლო.

გასულ კვირას შევჩენკომ უკრაინის ნაკრების მაისურით "უემბლიზე" ინგლისს გაუტანა გოლი, იტალიური სერია A-ს დასკვნით ტურში კი "ლეჩესთან" მოგებულ (2:0) მატჩში საგოლე გადაცემა განახორციელა, რამაც მის ქომაგებს იმედი გაუღვივა.

"მილანში" დარჩენა ნამდვილად მინდა, მაგრამ ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია. ბოლო მატჩებში თამაში გამომივიდა. ვფიქრობ, კარგ ფორმაში ვარ. იმედი მაქვს, კიდევ მოვუმატებ და მილანელ ფანებს გავახარებ", - განაცხადა შევჩენკომ.

### სალიჰამიჯიჩი საოპერაციოა

ტურინის "იუვენტუსის" ბოსნიელმა ნახევარმცველმა ჰასან სალიჰამიჯიჩმა იტალიის ჩემპიონატის 30-ე ტურში "კიევოსთან" 3:3 დასრულებულ მატჩში მუხლი იტკინა. არ არის გამორიცხული, რომ ბოსნიელ ფეხბურთელს ოპერაცია დასჭირდეს, რის გამოც, შესაძლოა, მომავალი სეზონის დაწყებამდე ვერ დაბრუნდეს მოედანზე. მიმდინარე სეზონში სალიჰამიჯიჩმა სერია A-ში 10 მატჩი გამართა და ერთი გოლი გაიტანა. 32 წლის ბოსნიელი "იუვენტუსში" 2007 წელს მიუნხენის "ბაიერნიდან" გადავიდა და იტალიის ჩემპიონატში ჩატარებულ 33 შეხვედრაში ხუთჯერ აილო მეტოქის კარი.

### ფრიდრიხი ექვს კვირას დაისვენებს

ბერლინის "ჰერტას" კაპიტანმა არნე ფრიდრიხმა გასულ შაბათს დორტმუნდის "ბორუსიასთან" 1:3 წაგებულ საშინაო მატჩში მარცხენა მუხლის შიგნითა მენისკი დაიზიანა და გუნდს, სულ მცირე, ექვსი კვირით გამოაკლდა. 29 წლის ამაგდარ მცველს ოთხშაბათს პოტსდამში ოპერაციას გაუკეთებენ. თუ სარეაბილიტაციო კურსი წარმატებით ჩაივლის, მან შესაძლოა მიმდინარე სეზონის ბოლო ორ მატჩში მაინც ითამაშოს. ხოლო თუ აღდგენითი პროცესი სასურველი ტემპით არ წარიმართა, ის, ამ ორ შეხვედრასთან ერთად, გერმანიის ნაკრების 26 მაისიდან 3 ივნისამდე აზიაში გასამართ ტურნესაც გამოტოვებს.

ბარძაყის ტრავმის გამო ფრიდრიხმა ახლახან ლიხტენშტაინისა და უელსის ნაკრებების წინააღმდეგ მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩები გამოტოვა. ორკვირიანი პაუზის შემდეგ ის მოედანს სწორედ "დორტმუნდის" წინააღმდეგ დაუბრუნდა.

### ფოგელი "ბლექბერნიდან" წავიდა

შვეიცარიელმა ნახევარმცველმა იოჰან ფოგელმა, რომელსაც ინგლისის "ბლექბერნთან" კონტრაქტი ამოეწურა, კლუბი დატოვა. მიმდინარე სეზონში შვეიცარიელი "ბლექბერნის" რიგებში მოედანზე მხოლოდ ორჯერ გამოვიდა - ერთხელ პრემიერლიგის მატჩში და ერთხელაც - ინგლისის თასზე.

### გატუზომ "ინტერი" გააჩემპიონა

"მილანის" ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ, რომელიც გუნდს ტრავმის გამო ვერ ეხმარება, იტალიურ სერია A-ში ჩემპიონობისთვის ბრძოლა დასრულებულად გამოაცხადა. გათამაშების დასრულებამდე 8 ტურით ადრე "მილანი" ლიდერ "ინტერს" 14 ქულით ჩამორჩება, "იუვენტუსი" კი, რომელიც ჟოზე მოურინიოს გუნდის უმთავრესი მდევარია, - 9-ით.

"შეგვიძლია ჩემპიონატი დასრულებულად ჩავთვალოთ - "ინტერს" სკუდეტოს ვეღარავინ წაართმევს", - განაცხადა გატუზომ, - "მილანს" მთელი სეზონის განმავლობაში ტრავმიანობა აწუხებდა, ჩვენი არასტაბილური თამაშიც ამით იყო განპირობებული.

მიუხედავად ამისა, ბოლო ტურში "ლეჩესთან" თამაშით კმაყოფილი დავრჩი. განსაკუთრებით მომეწონა შვეიცარიელი ფილიპ სენდეროსის ასპარეზობა, რომელიც ტრავის შემდეგ ნელ-ნელა ფორმაში დგება".

### უეფამ სპონსორები შეინარჩუნა

პლასტიკური ბარათების მწარმოებელი კომპანია Mastercard-ი, სულ მცირე, მომავალი სამი წლის განმავლობაში დარჩება უეფას მიერ ორგანიზებულ ჩემპიონთა ლიგის გენერალურ სპონსორად. ჩემპიონთა ლიგის თითოეულ გათამაშებას სარგებლის სახით საშუალოდ 1.1 მილიარდი დოლარი მოაქვს. Mastercard-ის გარდა, უეფამ 2009-2012 წლებისთვის სპონსორებად Heineken-ი და Sony-იც დაიბევა, ლიგის ახალი პარტნიორი კი იტალიური საბანკო ჯგუფი UniCredit-ი იქნება. უეფას ჯერაც წინ აქვს მოლაპარაკებები საავტომობილო და ტექნოლოგიური სექტორის წარმომადგენლებთან. Ford-თან, PlayStation-თან და Vodafone-თან კონტრაქტებს მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება ვადა.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მონაწილე 32 გუნდზე ყოველწლიურად დაახლოებით 780 მილიონი დოლარი ნაწილდება.

# "მასტერს" ყვანჯი მოუღერეს




AFP' 2009

აუგუსტა მასტერსის ტურნირის, იგივე "მასტერსის" (საჩოგბურთო "დიდი სლემის" ტურნირების ეკვივალენტი) სამასპინძლოდ მზადაა. უმთვარესი შეჯიბრების გახურებამდე ყვანჯნოსნები სავარჯიშო წრეს გადიან.

ამგვარი ასპარეზობა ყოველწლიურად ტარდება აუგუსტას (ჯორჯიის შტატი, აშშ) გოლფის ეროვნული კლუბის (კერძო კლუბია) მინდორზე. მონაწილეთა შორის თუ კი ვინმე მწვანე პიჯაკში გამოწყობილი გამოჩნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ამ რანგის ასპარეზობაზე უმარჯვია. და საერთოდ, მწვანე პიჯაკის გამარჯვებულისთვის გადაცემის ტრადიცია სათავეს იღებს 1949 წლიდან. ასეთი პიჯაკი კი ნებისმიერი მეგოლფესთვის მეტად ღირებულია. ყოველ შემთხვევაში, გოლფში ერთ-ერთ უძვირფასესადაა მიჩნეული.

ყველაზე მეტჯერ თუ კი ვინმეს მოუგია "მასტერსი" ჯეკ ნიკლაუსი გახლვათ. სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულმა გოლფის დიდოსტატმა ამგვარ წარმატებას ექვსჯერ (1963 და 1986 წლებში) მიაღწია. მრავალგზის გამარჯვებულთა შორისაა არნოლდ პალმერი და ტაიგერ ვუდსიც (თითოეულს ოთხ-ოთხჯერ მოუგია "მასტერსი"). სხვათა შორის, ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებულიც ტაიგერ ვუდსია. ამერიკელმა ვუნდერკინდმა ამგვარ წარმატებას 1997 წელს მიაღწია. ვუდსი მაშინ 21 წლის და 104 დღის ყოფილა.

სტატისტიკის მოშველიებით იმასაც ვიტყობთ, რომ პირველი არა ამერიკელი ვისაც "მასტერსი" მოუგია (1961 წ.) სამხრეთაფრიკელი გარი პლეიერია. ისე, მოქმედი ჩემპიონიც სამხრეთაფრიკელი ტრევორ იმელმანია.

ჩრდილო ირლანდიელი რორი მაკელროიც (ფოტოზე) ოცნებობს "მასტერსი" მოგებას, მანამდე კი აუგუსტას მინდორში ვარჯიშით შეუქცევია თავი.

24 საათი

The New York Times
Articles selected for 24 საათი

Weekend

1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში “24 საათის” სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;

## განცხადება კონკურსის ჩატარების თაობაზე

**შპს "აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი"** აცხადებს კონკურსს კარდიოქირურგიული განყოფილების საოპერაციო ბლოკის კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემის სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაზე.

დაინტერესებულ პირებს მიღება შეეძლებათ ცენტრის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურში, ინჟინერი გერა ვოლობუევი ტელ. 899 588751

საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ;
3. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
4. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
5. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
6. ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მომსახურეობის შესახებ (ხელშეკრულების ასლი).

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტები და წინადადებები სისტემის დაპროექტების და მონტაჟის ხარჯთაღრიცხვის გათვალისწინებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 16 აპრილის 17 სთ-მდე.

კონკურსში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

დაინტერესებულ პირებს სხვა დამატებითი ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს "აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი"-ში შემდეგ მისამართზე: ლუბლიანას N4, I სართული ტექნიკური სამსახური, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე გერა ვოლობუევი ტელ. 899 588751.

### განცხადება

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 24 მარტის გაზეთი 24საათი" N64-ში (გვ. 14) გამოცხადებული აუქციონის განცხადებაში აუქციონის განცხადებაში შეტანილი იქნეს ცვლილება.

კერძოდ: ქონება იყიდება ერთ ლოტად, ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს 195074 ლარს, ბე" - 19500 ლარი, ბიჯი" - 5000 ლარი, მონაწილის ბილეთის ღირებულება 50 ლარი.

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

**შპს "საქართველოს ფოსტა" გაცნობებთ, რომ 06.04.09 წ. გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ განცხადებაში ღია აუქციონის ჩატარებასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება არსებული ტექსტი: "განცხადების მიღების ვადაა 2009 წ. 6 აპრილიდან 2009 წლის 20 აპრილის ჩათვლით", შეიცვალოს ტექსტით: "განცხადების მიღების ვადაა 2009 წლის 6 აპრილიდან 22 აპრილის ჩათვლით" და ტექსტი: "ღია აუქციონის ჩატარების დრო და ადგილი 2009 წლის 20 აპრილი" შეიცვლოს ტექსტით: "ჩატარების დრო და ადგილი 2009 წლის 22 აპრილი".**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ "საქართველოს ეროვნული ბანკი" აცხადებს ტენდერს თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის მომსახურების შესყიდვაზე.

**1. შესყიდვის ობიექტი:** საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის მომსახურება. დეტალური ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის შესახებ ასახულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**2. დაფინანსების წყარო:** საქართველოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტი.

**3. მომსახურების გაწევის ვადა**: ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წელი.

**4.** სატენდერო დოკუმენტაცია, ქართულ ენაზე, გაიცემა პრეტენდენტებზე 2009 წლის 28 აპრილის 15 საათამდე, მისამართზე: სსიპ საქართველოს ეროვნული ბანკი, ლეონიძის ქ. N3/5, საქართველოს ეროვნული ბანკის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის განყოფილება.

**5.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ დახურულ კონვერტებში ქართულ ენაზე 3 (სამ) ეგზემპლარად (ერთი დედანი და ორი ასლი), 2009 წლის 28 აპრილის 15 საათამდე, შემდეგი აღნიშვნით: პრეტენდენტის დასახელება, ტენდერის დასახელება ("საქართველოს ეროვნული ბანკის ტენდერი თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის მომსახურების შესყიდვაზე"), მისამართზე: სსიპ საქართველოს ეროვნული ბანკი, ლეონიძის ქ. N3/5, საქართველოს ეროვნული ბანკის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის განყოფილება.

**6.** დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.

**7.** წარმოდგენილი სატენდერო პაკეტები გაიხსნება სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, 2009 წლის 28 აპრილის 15.05 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. N3/5, სსიპ საქართველოს ეროვნული ბანკის სხდომათა დარბაზი, II სართული, ოთახი № 208.

**8.** ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია წარმოდგენილი ფასის 1% ოდენობით.

**9.** გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების საერთო ფასის 2% ოდენობით გაცემული საქართველოს რეზიდენტი ბანკის მიერ.

**10. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ:
ა) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ:
ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ, ᲘᲡᲔ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ:
ა) რეკვიზიტებს (ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რევიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი);
ბ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია წინადადების ფასის 1%-ს ოდენობით, გაცემული საქართველოს რეზიდენტი ბანკის მიერ.

*შენიშვნა:* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან, ქართულ ენაზე ნოტარულად დამოწმებული თარგმანის სახით.

**11.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**12.** სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან არანაკლებ 30 დღე. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში.

**13.** ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე, გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

**14.** დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ქ.თბილისი, ლეონიძის ქ. №3/5, ტელ: 442369, 442396. სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო პირები: ზურაბ ღონღაძე, დავით ჭელიძე, ტენდერის შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე: www.nbg.gov.ge.

**საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია**

## განცხადება ღია კონკურსის ჩატარების თაობაზე

1. ასოცოაცია პერინატოლოგია" აცხადებს ღია კონკურსს ასოციაციის საჭიროებისათვის ლაბორატორიული რეატივების და ტესტსისტემების შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** შესყიდვის ობიექტია - "ლაბორატორიული რეაქტივები და ტესტსისტემები", რომელთა მოწოდების ვადაა 8 (რვა) თვე.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი კონკურსში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და საკონკურსო წინადადება (დედანი და ასლი), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2009 წლის 20 აპრილის 15:00 საათისა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N18/20, მე-3 სართული, ოთახი N301.

**4.** პრეტედენტების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

ა. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
გ. ხარისხის და წარმოშობის დამადასტურებელი სერთიფიკატ(ებ)ი.

**5.** ტექნიკური დავალების გაცემა პრეტენდენტებზე განხორციელდება 2009 წლის 8 აპრილიდან 2009 წლის 17 აპრილის 17:00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N18/20, მე-3 სართული, ოთახი N301.

**6.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N18/20, მე-3 სართული, ოთახი N301, ტელ: 54 09 33.

**ასოციაცია პერინატოლოგია''**

# განცხადება
# საქონლის – ფქვილის შესყიდვის ტენდერის შესახებ

1. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობა (ქ. ახალქალაქი, ჩარენცის ქუჩა №11) აცხადებს ტენდერს ფქვილის შესყიდვის შესახებ და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2. შემკვეთის მოთხოვნა:**

**- პირველი სორტის ფქვილი პურის გამოაცხობისთვის (სასურველია ადგილობრივი წარმოება), 875 ტ., 17500 ტომარა.**

**- მიტანა ქ. ახალქალაქში და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ნებისმიერ სოფელში განტვირთავს დამკვეთის მიერ მიყვანილი სათავსში დაცლით,**

**- მიტანის ვადა 23 დღის განმავლობაში ხელშეკრულების შედგენის შემდეგ,**

**- ტომარის ჩაწყობა 50კგ.**

3. სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეიობის მიერ შექმნილ სატენდერო კომისიაში.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტით **2009 წლის 30 აპრილს 17 საათამდე** ორ ეგზემპლარად შემდეგ მისამართზე: ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული, ოთახი № 21, სატენდერო კომისიის აპარატი.

5. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება **2009 წლის 30 აპრილს 17 საათზე**, პრეტენდენტების თანდასწრებით, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. ცნობები:**

**6.1.1. იურიდიული პირისათვის:**

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე.

- ცნობა საჯარო რეესტრის ტერიტორიული ერთეულის სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა.

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის მიმართ არ გააჩნია დავალიანება.

**6.1.2. ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და ლიკვიდაციის საქმის წარმოება;

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის მიმართ არ გააჩნია დავალიანება.

- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

**6.1.3. როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- იურიდიული/ფიზიკური პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დღგ-ს გადამხდელად/ან არგადამხდელად რეგისტრაციის შესახებ

- ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პირი არაა შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში

* საკვალიფიკაციო მოთხოვნები ეხება აგრეთვე სუბ-კონტრაქტორებს, თუ ისინი ჩართულნი იქნებიან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ იქნება რეგისტრირებული გადამხდელად და არ წარმოადგენს ნოტარიული წესით დამოწმებულ გადამხდელის მოწმობის ასლს;

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრედენდენტის მიერ, ხელმოუწერელი წინადადება არ განიხილება.

ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|---|
| | | | |

7. მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

8. მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

9. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი არ წარმოადგენს მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) მსურველებს შეეძლებათ 2009 წლის **29 აპრილს 17 საათამდე** სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, **მოცემულ** მისამართზე: ქ. ახალქალაქი ჩარენცის ქ. №11, სატენდერო კომისის აპარატი.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

**მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა № 220101222, ხაზინის ერთიანი ანგარიში № 200122900, ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებლის, სახაზინო კოდი: 300603174**

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მოქმედ სატენდერო კომისიაში, მისამართზე: ქ. ახალქალაქი, ჩარენცის ქ. №11, ახალქალაქის მუნიციპალური გამგეობა. საკონტაქტო ტელეფონი: 895 566195, აშოტ ისპირიან.

სატენდერო საკომისიის თავჯდომარე ვ. ბატოიან

---

8 აპრილი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით
## სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია ვაჟა ახალკაცის, ლევან ზუბაშვილისა და იაკობ ნადირაძის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **8 558.61 ლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 24 აპრილი 11:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ვაჟა ახალკაცი, მცხ: ქ.თბილისი, თემქა მე-11 მ/რ., IIკვ. (არაშენდა); ალტ.მის:ხაშური, სოფელი ოსიაური, ლევან ზუბაშვილი, მცხ: ქ.თბილისი, მუხრანის დას. მე-4 მ/რ., კორპ. N8, ბინა N41; ალტ.მის: ახალციხე, თამარაშვილის ქ. 4/45 და იაკობ ნადირაძე მცხ: ქ.თბილისი, იოსებიძის ქ.N59, ბინაN68;

---

7 აპრილი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით
## სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია დავით ბიბილეიშვილის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **11 584.10ლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 21 აპრილს 13:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე დავით ბიბილეიშვილი, მცხ: ქ.თბილისი, ტაშკენტის ქ.N27, ბინაN34;

---

7 აპრილი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით
## სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია მანანა ჭირაქაძის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **51 512.67 აშშ დოლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 21 აპრილს 12:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე მანანა ჭირაქაძე, მცხ: ქ.თბილისი, კაკაბაძეების მე-12 შესახვევი: ალტ.მის: ქ.თბილისი, საბურთალოს ქ.N7, ბინაN73:

---

## ცვლილება აუქციონის
## ჩატარების შესახებ განცხადებაში

შპს ვარდნილჰესების კასკადის" მიერ 4 აპრილის გაზეთ 24 საათში" ფერადი ლითონის (სპილენძის) რეალიზების მიზნით გამოქვეყნებულ სააუქციონო განცხადებაში შეიტანეს შემდეგი სახის ცვლილება:

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგეძლებათ:
ტელ: 8 (215) 2 88 16, 5 22 94;
მობ/ტ 8 95 22 70 50; 877 43 44 93.

აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადების სხვა პირობები რჩება უცვლელი

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ – ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს დაზღვევის მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**შესყიდვის ობიექტი** – სატრანსპორტო საშუალებების და მესამე პირის მიმართ სატრანსპორტო საშუალებებზე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

| ლოტი | დასახელება | აღწერილობა | დაზღვევის პერიოდი |
|---|---|---|---|
| I | სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა | TOYOTA 4-RUNNER – 2 ერთ. TOYOTA RAV-4 – 4 ერთ. | ხელშეკრულების გაფორმებიდან - 31.12.2009 |
| II | სატრანსპორტო საშუალებებზე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა მესამე პირის მიმართ (6 მანქანა) | პასუხისმგებლობის დაზღვევა თითოეულ მანქანაზე 50 000 აშშ დოლარზე | ხელშეკრულების გაფორმებიდან - 31.12.2009 |

**დაფინანსების წყარო:** ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები

– სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა განცხადების გამოქვეყნების დღიდან – 2009 წლის 9 აპრილიდან 2009 წლის 29 აპრილის 17:00 საათამდე ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის (200 (ორასი) ლარის ოდენობის) დამადასტურებელი ქვითარის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მის: ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5. მე-2 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

სახელმწიფო ხაზინა ბ/კოდი – 220101222;
ანგ/ანგარიში – 200122900;
საინდენტიფიკაციო კოდი – 206160606;
საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი – 300773174.

საგადასახადო დავალების დამატებით ინფორმაციაში უნდა იყოს მითითებული: სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ორგანიზაციული კოდი 1533, ტენდერი №4.

– დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი – დედანი, ორი – ასლი), 2009 წლის 30 აპრილის 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5, ოთახი №237 სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სატენდერო კომისიის აპარატი.

– წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2009 წლის 30 აპრილის 15:00 საათზე, ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5-ში, მე-3 სართული, ოთახი №349.

– დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

– საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**
**ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)** (,,სახელმწიფო შესყიდების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება);
ბ) **ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან** (,,სახელმწიფო შესყიდების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება.
გ) **ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის (გაკოტრება რეაბილიტაციის) საქმე** (,,სახელმწიფო შესყიდების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება.
დ) **ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან)** (,,სახელმწიფო შესყიდების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება.
ე) ორგანიზაციის მოგების და ქონების წლიური დეკლარაციები (ბოლო 2 წლის).

**ფიზიკური პირისათვის:**
ა) საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციები (ბოლო 2 წლის);

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:**
ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;
ბ) **ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ** (,,სახელმწიფო შესყიდების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება.

– ყველა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:
ა) ხელმოწერილი ან ბეჭდით დამოწმებული სატენდერო წინადადება, (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში) რომელიც უნდა მოიცავდეს ლოტის ღირებულებას, სატენდერო წინანდების მოქმედების ვადასა და გადახდის სასურველ პირობებს.
ბ) სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ქართულ ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლიბით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

– სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან არანაკლებ **30 დღე**. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში.

– სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის 5%-იანი საბანკო გარანტია, რომელიც 30 დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების გაწევის ვადას.

– იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში, არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

– ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

– სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის №3/5, მე-2 სართული, საკონტაქტო პირები ოთახი №237 შალვა ჯულაყიძე (ტელ 877 50 74 54) და ოთახი №237 ვასილ გაგნიძე (ტელ 877 55 69 69).

*სატენდერო კომისია*

# განცხადება

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით აცხადებს აუქციონს, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით არსებულ შემდეგ ქონებაზე:

**ლოტი N1.** დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. ბაგიჭალაში მდებარე 560 გრ/მეტრის, 700 მმ დიამეტრის (კედლის სისქე 8 მმ) მქონე ფოლადის მეორადი მილი.
ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი - 28 000 (ოცდარვა ათასი) ლარი;
ბ) აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის "ბე"-ს სიდიდე - 2 800 (ორი ათას რვაასი) ლარი;
გ) ბიჯის სიდიდე - 1 400 (ერთი ათას ოთხასი) ლარი;
დ) მონაწილის ბილეთის ფასი - 50 (ორმოცდაათი) ლარი.

**ლოტი N2.** დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ბაგიჭალაში მდებარე 80 გრ/მეტრის, 600 მმ დიამეტრის (კედლის სისქე 8 მმ) მქონე ფოლადის მეორადი მილი.
ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი - 3 280 (სამი ათას ორას ოთხმოცი) ლარი;
ბ) აუქციონში მონაწილის წინასწარ შენატანის "ბე"-ს სიდიდე - 330 (სამას ოცდაათი) ლარი;
გ) ბიჯის სიდიდე - 165 (ას სამოცდახუთი) ლარი;
დ) მონაწილის ბილეთის ფასი - 50 (ორმოცდაათი) ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, 2009 წლის 9 აპრილიდან 7 მაისის ჩათვლით. 10.00 სთ/დან 18.00 სთ/მდე, 8 მაისს 10.00 სთ/დან 11.00 სთ/მდე. აუქციონი გაიმართება 8 მაისს 12.00 საათზე.

აუქციონში მონაწილეობისათვის ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიას განცხადებასთან ერთად უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

იურიდიული პირისათვის:
ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა (რწმუნება), თუ პირი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდების) დამოწმებული ასლი.
"ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი (დედანი ასლთან ერთად);
ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი ასლთან ერთად);
პირადობის მოწმობის ასლი.

ფიზიკური პირისათვის:
"ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი (დედანი ასლთან ერთად);
ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი ასლთან ერთად);
პირადობის მოწმობის ასლი.

"ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე:
მიმღები: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
საინდენტიფიკაციო კოდი: 229324451
ანგარიში: 33030001
მიმღების ბანკი: საქართველოს სახალხო ბანკის დუშეთის ფილიალი
ბანკის კოდი: 200101403
გადახდისას უნდა მიეთითოს დანიშნულება

აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე:
მიმღები: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
საინდენტიფიკაციო კოდი: 229324451
ანგარიში: 33030001
მიმღების ბანკი: საქართველოს სახალხო ბანკის დუშეთის ფილიალი
ბანკის კოდი: 200101403
გადახდისას უნდა მიეთითოს დანიშნულება

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას შემდეგ მისამართზე: ქ. დუშეთი, სტალინის ქ. N27, ტელ: 899 57 56 49; 8 (246)2 19 74

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო" (მის: ქ. თბილისი 0102, წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ.N2) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2. შესასყიდი მომსახურება:**
2.1. **დასაზღვევ თანამშრომელთა რაოდენობა:** არაუმეტეს 1100-ისა, მათ შორის არაუმეტეს 20-ი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;

**3. მომსახურების გაწევის ვადები** - 2009 წლის მაისიდან ერთი სრული კალენდარული წლის განმავლობაში.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში) ორ ეგზემპლარად (დედანი და ასლი), მოთავსებული ერთ დახურულ პაკეტში, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 28 აპრილის 16 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (დასახელება, ფაქტიური და იურიდიული მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი);
ბ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ;
გ) ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;
დ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი, ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ;
ე) ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან, ცნობა ორგანიზაციის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;
ვ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
ზ) ცნობა ბანკიდან სასურველია შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: 1. პრეტენდენტის საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ; 2. ბანკის მიმართ არსებული დავალიანების შესახებ; 3. ბოლო ერთი წლის განმავლობაში არსებული ბრუნვის შესახებ;
თ) ნოტარიალურად დამოწმებული სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ლიცენზია;
ი) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისთვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);
კ) ინფორმაცია უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში განხორციელებული, ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ, ორგანიზაციების, დაზღვეული პერსონალის რაოდენობისა, პერიოდის, მოზიდული პრემიისა და ანაზღაურების შესახებ.

**შენიშვნა**: ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი უნდა იყოს აღებული სატენდერო განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

6. სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს:
დეტალურ ინფორმაციას ჯანმრთელობის დაზღვევისა და სიცოცხლის დაზღვევის შემოთავაზებული პირობების შესახებ;
ინფორმაციას სააგენტოს თანამშრომელთა ოჯახის წევრთა დაზღვევის პირობების შესახებ;
ინფორმაციას სხვა დამატებითი მომსახურებებისა და შეღავათების შესახებ;
ინფორმაციას პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულების შესახებ, ზუსტი ადგილმდებარეობის მითითებით საქართველოს მასშტაბით;
ინფორმაციას პრეტენდენტის მიერ დაზღვეულისთვის ზარალის ანაზღაურების პირობებისა და ვადების შესახებ;
ინფორმაციას იმ სადაზღვევო შემთხვევების შესახებ, რომლებიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას;
ინფორმაციას ანგარიშსწორების პირობებისა და ვადების შესახებ;

**შენიშვნა:** მე-6 პუნქტით წარმოსადგენი ინფორმაცია სრულად არის განასაზღვრული სატენდერო დოკუმენტაციით.

მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

7. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი და ვადაგასული.

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ **2009 წლის 9 აპრილიდან** სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

**9. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხული უნდა იქნეს:**
**მიმღების დასახელება - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიში N200122900, მიმღები - სახელმწიფო ხაზინა, კოდი N220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N302004000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების სატენდერო მოსაკრებელი.**

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (სატენდერო წინადადების ღირებულების 1%), რომლის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (სატენდერო წინადადების ღირებულების 3%).

11. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

12. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

13. პაკეტები გაიხსნება **2009 წლის 28 აპრილს 16 საათზე**.

14. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სატენდერო დოკუმენტაციას გაეცნონ ადგილზე, ხოლო სატენდერო პროცედურასთან დაკავშირებული სხვა დამატებითი ინფორმაცია მიიღონ შემდეგი პირისაგან:
ქეთევან გელაშვილი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.
საკონტაქტო ტელეფონი: 91-05-17
ფაქსი: (995 32) 91-03-41
მისამართი: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახური (III სართული).

შერჩევის ეტაპზე შემდგომ დაზუსტებას არ ქვემდებარება განცხადების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მონაცემები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭირო ხდება საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1. ს.ს.ი.პ. - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ბათუმი, ე. ნინოშვილის ქ. N35) აცხადებს ტენდერს სატრანსპორტო საშუალებებისთვის საჭირო 10000 ლიტრი ბენზინის საწვავი, ბენზინი-რეგულარი** სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
**2**. საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2009 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.**
ტენდერში გამარჯვებული პრედენდენტის მიერ საქონლის მიწოდება მოხდება ეტაპობრივად შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული განაცხადის საფუძველზე.
ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს განაცხადში მითითებული საქონლის მიწოდება საწვავის ტალონების საფუძველზე.
**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 9 აპრილიდან 29 აპრილის ჩათვლით 10.00 საათიდან 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ე.ნინოშვილის ქ. N35 ოთახი N9.**
**4**. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
**4.1 იურიდიული პირისათვის:**
ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან);
ბ) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);
გ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);
დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
**4.2. ფიზიკური პირისათვის:**
ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან);
გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან).
**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
დ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).
**5.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
**6.** 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (მიმღები: ს.ს. ბაზის ბანკი ანგარიშის N133557, ბანკის კოდი - 220101956, საიდენტიფიკაციო კოდი - 245428158 დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 9 აპრილიდან 2009 წლის 9 აპრილის 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ე.ნინოშვილის ქ. N35 ოთახი N9.
**7.** დაგვიანებით შემოსულP საკვალიფიკაციო მონაცემებს და სატენდერო წინადადებას კომისია არ განიხილავს.
**8.** პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
**9.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - ირინა ბერიძე ტ. 7-17-98 893 17-80-04 მისამართზე: ქ. ბათუმი, ე. ნინოშვილის ქ. N35 ოთახი N11.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია (მის 4600, ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.№3) აცხადებს ტენდერს, **ქ. ქუთაისში საბავშვო ბაგა-ბაღების გათბობის სისტემის დამონტაჟებისა და კარ-ფანჯრების გამოცვლის (№-№ 2,3,4,7,9,10,11,12,13,15,18,19,21,23,25,27,28,29,30 და 32 ბაგა-ბაღები) კაპიტალური სამუშაოების** შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტია:**

**ლოტი I: საბავშვო ბაგა-ბაღების გათბობის სისტემის მოწესრიგება:**

- **ფართობი 22700 კვ.მ**
- **ევროპული წარმოების ქვაბები, დახურული წვის 31-კვტ-ანი**
- **პოლიპროპილენის არმირებული მილები 19000 მეტრი**
- **საშუალო წნევის საჰაერო გაზსადენი, დ=80მმ, ფოლადის მილი 535 მ.**
- **საშუალო წნევის საჰაერო გაზსადენი, დ=50მმ, ფოლადის მილი 2251 მ.**
- **დაბალი წნევის საჰაერო გაზსადენი დ=25 მმ, ფოლადის მილი 2012 მ.**
- **მიწისქვეშა საშუალო წნევის გაზსადენი დ=63 მმ, პოლიეთილენის მილი 861 მ.**

**ლოტი II: მეტალოპლასთმასის კარფანჯრები:**

- **კარებები 216 ცალი**
- **ვიტრაჟებისა და ფანჯრების რაოდენობა 1662 ცალი.**
- **მთლიანი ღიობების რაოდენობა 6493.03 კვ.მ**

**სატენდერო დოკუმენტაციათა პაკეტში მითითებული იქნება ტექნიკური პარამეტრები და განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობა (დეფექტური ქმანები).**

2. დაფინანსების წყარო: **ქუთაისის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი**

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა მოიცავს ხელშეკრულების გაფორმებიდან 110 დღეს. **მიწოდების ადგილია ქალაქი ქუთაისი.**

4. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (დედანი და ასლი), დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის **29 აპრილს** საათიდან 11-დან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: 4600, ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №1, ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური (მე-4სართული), სატენდერო კომისიის აპარატი, ოთახი №8. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

**5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**5.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

დ) ცნობა შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს მიერ);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

**5.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი.

**5.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა სრულად გასტუმრებული ვადიანი გადასახადების შესახებ სახელმწიფოს წინაშე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან)

დ) ინფორმაცია ანალოგიურ მიწოდებაზე გამოცდილების შესახებ, აღნიშნული პირის ანალოგიური შესყიდვის პროცედურების უკანასკნელი 3 წლის გამოცდილება შემდეგი მონაცემების წარმოდგენით:

| № | ანალოგიური მიწოდების ჩამონათვალი კონკრეტული ობიექტების მითითებით | შემსყიდველის დასახელება, რეკვიზიტები | ხელშეკრულების ღირებულება | მიწოდების წელი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

ე) ტენდერში მონაწილე პირის სპეციალისტთა კვალიფიკაცია და გამოცდილება

| № | თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | მხოლოდ ანალოგიურ მიწოდებაზე გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

ვ) ტენდერში მონაწილე პირს უნდა ჰქონდეს ბოლო სამი წლის მანძილზე მინიმუმ 4 000 000 ლარის ბრუნვა. შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენით.

ზ) აუდიტის დასკვნა ტენდერში მონაწილე პირის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

თ) წერილობითი დასტური სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, მასზედ რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირი არ არის შეყვანილი შესყიდვაში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

ი) ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორების აყვანის შემთხვევაში, ქვეკონტრაქტორების მიერ გასაწევი მომსახურეობის შესახებ

**შენიშვნა:**

ა) ინფორმაცია წარმოდგენილ იქნას შემდეგი ცხრილის სახით

| | გასაწევი მომსახურების სახე | ქვე-კონტრაქტორის დასახელება, რეკვიზიტები | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურეობის გაწევის გამოცდილება | შესრულების წელი და ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| | **და ა.შ** | | | |

**ბ)** ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურეობის გაწევის გამოცდილების გრაფაში მითითებულ უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური მომსახურეობა.

**გ) ამ განცხადების მე-5 მუხლის მოთხოვნები ეხება ქვე-კონტრაქტორებსაც**

6. საკვალიფიკაციო ცნობები და მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან მიღებული უნდა იქნას მხოლოდ სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან მისი მიღების დასრულების ვადის და პერიოდის გათვალისწინებით.

6'. აღნიშნულ შესყიდვაში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (სატენდერო წინადადების ფასის 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით), შესაბამისი საბანკო გარანტიების /ან სადაზღვევო გარანტიების წარმოდგენით

7. სატენდერო მოსაკრებლის **200(ორასი) ლარის** გადახდის შემდეგ **(სატენდერო მოსაკრებლის ანგარიშია: მიმღების დასახელება-ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ქუთაისი, ანგარიშის №200122900, მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა, მიმღების კოდი-220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-300183174. გადახდის დანიშნულება-სატენდერო მოსაკრებელი),** მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 10 აპრილიდან, შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №1, ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური (მე-4 სართული), სატენდერო კომისიის აპარატი, ოთახი №8.

8. შესყიდვაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

9. დაგვიანებით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

10. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას ტენდერში მონაწილის მიერ. ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება. ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.

12. განცხადების 5.1, 5.2 და 5.3 პუნქტების მოთხოვნები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

13. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების დიპლომატიური ორგანოებიდან, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

14. ტენდერი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, საკონტაქტო პირი ნოდარ მიქიაშვილი, მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №1 მე-4 სართ. ოთახი №8; ტელ 4-03-06; ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

## სატენდერო განცხადებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ 2009 წლის 26 მარტს გაზეთ "24 საათში" - "ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული სახლებისა და საყრდენი კედლების აღდგენა-გამაგრების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის" სახელმწიფო შესყიდვაზე გამოქვეყნებულ სატენდერო ობიექტების სიას დაემატოს ლოტი N25 - მ. კოსტავას ქ. N41-ში მდებარე შენობის მთავარი ფასადის რესტავრაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

N25 ლოტის მიწოდების საბოლოო ვადაა - 2009 წლის 05 ივნისი.

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის
გამგეობის სატენდერო კომისია

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მუნიციპალიტეტის სოფლების შიდა საავტომობილო გზების ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს "თი ბი"-მ და შპს "ავტობანი"-მ.

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

| ობიექტის № | ქალაქი, რაიონი, სოფელი ან დასახლებული პუნქტი | საბადო ან გამოვლინება | კატეგორია | ლიცენზიის მოქმედების ვადა | მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა | აუქციონის საწყისი ფასი (ლარი) | „ბე“ საწყისი ფასის 20% (ლარი) | სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ასპინძა, სოფ. იდუმალა | მდ. მტკვარზე „იდუმალას“ ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 203 700 მ$^3$ | 27 313 | 5 463 | 1 652,4 |
| 2 | ქ. ბორჯომი | მდ. მტკვარზე „ბორჯომის“ ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 20 000 მ$^3$ | 2 682 | 536 | 968,4 |
| 3 | ტყიბული, სოფ. ოხომირას მიმდებარე ტერიტორია | „საჭურიას ღელეს“ ტეშენიტი (მოსაპირკეთებელი) გამოვლინება | P | 20 წელი | 600 000 მ$^3$ | 10 000 | 2 000 | 1 487,4 |
| 4 | ყვარელი, სოფ. შილდა | „ჩელთის“ ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 11 100 მ$^3$ | 1 488 | 298 | 968,4 |
| 5 | ხაშური, სოფ. ახალსოფელი | მდ. მტკვარზე „გომი II“ ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | $C_1+C_2$ | 5 წელი | 297 300 მ$^3$ | 39 864 | 7 973 | 2 230,4 |
| 6 | საჩხერე, სოფ. იცქისი | „იტავაზა I“ კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშის გამოვლინება | $C_1+C_2$ | 20 წელი | 150 000 მ$^3$ | 9 389 | 1 878 | 1 432,4 |
| 7 | წალკა, სოფ. შიპიაკი | „შიპიაკის“ გრანიტოიდების (სალორღე) გამოვლინება | P | 5 წელი | 300 000 მ$^3$ | 10 000 | 2 000 | 1 090,2 |
| 8 | ზუგდიდი, სოფ. ზედა ეწერი | „ზედა ეწერის“ მერგელის გამოვლინება | P | 5 წელი | 2 800 მ$^3$ | 10 000 | 2 000 | 1 145,4 |
| 9 | ახალქალაქი, სოფ. ხოსპიო | „ხოსპიოს“ ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 3 წელი | 4 800 მ$^3$ | 731 | 146 | 1 145,4 |
| 10 | წალკა, სოფ. ედიკილისა | „ედიკილისას“ ანდეზიტო-ბაზალტის (ღორღი) გამოვლინება | P | 5 წელი | 200 000 მ$^3$ | 10 000 | 2 000 | 2 564.40 |
| 11 | მცხეთა, სოფ. ძეგვი | მდ. მტკვრის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 59 100 მ$^3$ | 7 924 | 1 585 | 976.20 |
| 12 | ოზურგეთი სოფ. გურიანთა | მდ. ნატანების ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 37 200 მ$^3$ | 4 988 | 998 | 1 259.40 |
| 13 | თელავი, სოფ. ფშაველი | მდ. სტორის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 59 400 მ$^3$ | 7 965 | 1 593 | 1 082.40 |
| 14 | ახალქალაქი, სოფ. ხორენია | ხორენიას დოლერიტის (სალორღე) გამოვლინება | P | 3 წელი | 200 000 მ$^3$ | 10 000 | 2 000 | 1 373.40 |
| 15 | ქ. მესტია | მდ. მესტიაჭალის ქვიშა, ხრეშის საბადო | $C_1$ | 5 წელი | 151 500 მ$^3$ | 20 314 | 4 063 | 1 951.40 |
| 16 | დუშეთი, სოფ. მუგუდა | მდ. არაგვის (ფასანაურის) ქვიშა, ხრეშის საბადო | $C_1+C_2$ | 5 წელი | 302 100 მ$^3$ | 40 507 | 8 101 | 2 238.20 |
| 17 | მცხეთა, სოფ. მუხრანი | მდ. ქსანზე „ციხისძირის“ ქვიშა, ხრეშის საბადო | $C_1$ | 5 წელი | 18 900 მ$^3$ | 2 534 | 507 | 1 098.20 |
| 18 | მცხეთა, სოფ. მუხრანი | მდ. ქსანზე „ქსნის“ ქვიშა, ხრეშის საბადო | A | 5 წელი | 27 000 მ$^3$ | 3 620 | 724 | 1 098.20 |
| 19 | კასპი, სოფ. გომი | მდ. მტკვრის მეტეხი II-ის ქვიშა, ხრეშის საბადო | $C_1$ | 5 წელი | 23 100 მ$^3$ | 3 097 | 619 | 1 098.20 |
| 20 | დმანისი, სოფ. იაილა | ჯუჯიანის ანდეზიტო-ბაზალტების გამოვლინება | P | 20 წელი | 250 000 მ$^3$ | 10 000 | 2 000 | 3 020.40 |
| 21 | წალკა, სოფ. ხადიკი | ხადიკის ანდეზიტო-ბაზალტის (ღორღი) გამოვლინება | P | 5 წელი | 500 000 მ$^3$ | 10 000 | 2 000 | 2 002.20 |
| 22 | ვანი, სოფ. გადიდი | „გადიდის“ ტუფობრექჩიების და ტუფოქვიშაქვების გამოვლინება | P | 10 წელი | 20 000 მ$^3$ | 10 000 | 2 000 | 1 145,40 |
| 23 | გორი, სოფ. სვენეთი | „სვენეთის“ ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 123 200 მ$^3$ | 16 519 | 3 304 | 976,2 |
| 24 | კასპი, სოფ. ქვემო რენე | „ქვემო რენეს“ ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 556 000 მ$^3$ | 74 552 | 14 910 | 1 432,2 |
| 25 | ზუგდიდი, სოფ. ცაიშის მიმდებარე ტერიტორია | დასავლეთ ცაიშის საბადოს თერმული წყალი (სათბურისათვის) | P | 25 წელი | 6000 მ$^3$/დღღ | 10 000 | 2 000 | 1 145,40 |
| 26 | ამბროლაური, სოფ. ნიკორწმინდის მიმდებარე ტერიტორია | „ხონჭიორის“ კირქვის (სალორღე) გამოვლინება-1 უბანი | P | 10 წელი | 11 200 მ$^3$ | 10 000 | 2 000 | 1 145,40 |
| 27 | მცხეთა, სოფ. ნატახტარის მიმდებარე ტერიტორია | №1 ჭაბურღილის დაბალმინერალიზებული წყალი (ჩამოსასხმელი) | A | 10 წელი | 15 მ$^3$/დღღ | 109 911 | 21 982 | 1 098,20 |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ჭანტურიას ქ.№12ტელ. 99 11 29, 99 10 91<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 9 აპრილიდან 6 მაისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 11 მაისს 12 საათიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შენობაში. |
| ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. | **სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 300773069 |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს შემოტანის ქვითარი | **„ბე“-ს გადახდის ანგარიში:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302005000 |
| აუქციონზე გამარჯვებული პირები ვალდებულნი არიან ლიცენზიის მიღებამდე გადაიხადონ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ მიერ გაწეული მომსახურების საფასური | **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“:** ს/ს „პროკრედიტ ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: 220101922, ანგარიშის № 360801011300180, საინ. კოდი: 204559691 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი.<br>ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები.<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე)„ბე“-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“ დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად.<br>მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები და სარგებლობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები | დაცული იქნეს წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „წიაღის შესახებ“ და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მოთხოვნები. |
| აუქციონზე „ბიჯის“ სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

# აუქციონი ავტომანქანების რეალიზების შესახებ

**კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს აუქციონს ავტომანქანების რეალიზების შესახებ**

**ლოტი N1:** სარეალიზაციო ქონება - **ერაზი 3218, გამოშვების წელი 1995.** სახელმწიფო ნომერი: LAD 854.

**საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს - 500 აშშ დოლარის შესაბამისი კურსი ლარებში დღგ-ს გარეშე.**

- **ბე" -** 100 აშშ დოლარი;
- **ბიჯი" -** 50 (ორმოცდაათი) აშშ დოლარი.

**ლოტი N2**: სარეალიზაციო ქონება - **გაზ - 3110, გამოშვების წელი 2000.** სახელმწიფო ნომერი: QOO 956.

**საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს - 1000 აშშ დოლარის შესაბამისი კურსი ლარებში დღგ-ს გარეშე.**

- **ბე" -** 100 აშშ დოლარი;
- **ბიჯი" -** 50 (ორმოცდაათი) აშშ დოლარი.

**ლოტი N3**: სარეალიზაციო ქონება - **გაზ - 3110, გამოშვების წელი 1997.** სახელმწიფო ნომერი: UVU 049.

**საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს - 1000 აშშ დოლარის შესაბამისი კურსი ლარებში დღგ-ს გარეშე.**

- **ბე" -** 100 აშშ დოლარი;
- **ბიჯი" -** 50 (ორმოცდაათი) აშშ დოლარი.

**ლოტი N4**: სარეალიზაციო ქონება - **ბმვ - 3161, გამოშვების წელი 1989.** სახელმწიფო ნომერი: YYY 750.

**საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს - 700 აშშ დოლარის შესაბამისი კურსი ლარებში დღგ-ს გარეშე.**

- **ბე" -** 100 აშშ დოლარი;
- **ბიჯი" -** 50 (ორმოცდაათი) აშშ დოლარი.

**ლოტი N5:** სარეალიზაციო ქონება - **ბმვ - 7301, გამოშვების წელი 1992.** სახელმწიფო ნომერი: QOO 082.

**საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს - 1000 აშშ დოლარის შესაბამისი კურსი ლარებში დღგ-ს გარეშე.**

- **ბე" -** 100 აშშ დოლარი;
- **ბიჯი" -** 50 (ორმოცდაათი) აშშ დოლარი.

**ლოტი N6:** სარეალიზაციო ქონება - **მაზ - 54322, გამოშვების წელი 1986.** სახელმწიფო ნომერი: LOF 248.

**საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს - 7000 აშშ დოლარის შესაბამისი კურსი ლარებში დღგ-ს გარეშე.**

- **ბე" -** 700 აშშ დოლარი;
- **ბიჯი" -** 100 (ასი) აშშ დოლარი.

**ლოტი N7:** სარეალიზაციო ქონება - **მაზ - 9397, გამოშვების წელი 1986.** სახელმწიფო ნომერი: LAD 053.

**საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს - 2000 აშშ დოლარის შესაბამისი კურსი ლარებში დღგ-ს გარეშე.**

- **ბე" -** 200 აშშ დოლარი;
- **ბიჯი" -** 100 (ასი) აშშ დოლარი.

**ლოტი N8:** სარეალიზაციო ქონება - **უაზ - 31512, გამოშვების წელი 1991.** სახელმწიფო ნომერი: LAD 450.

**საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს - 500 აშშ დოლარის შესაბამისი კურსი ლარებში დღგ-ს გარეშე.**

- **ბე" -** 100 აშშ დოლარი;
- **ბიჯი" -** 50 (ორმოცდაათი) აშშ დოლარი.

**ლოტი N9:** სარეალიზაციო ქონება - **გაზ - 5312, გამოშვების წელი 1988.** სახელმწიფო ნომერი: LAD 164.

**საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს - 3000 აშშ დოლარის შესაბამისი კურსი ლარებში დღგ-ს გარეშე.**

- **ბე" -** 300 აშშ დოლარი;
- **ბიჯი" -** 100 (ასი) აშშ დოლარი.

**ლოტი N10:** სარეალიზაციო ქონება - **ვაზ - 21093, გამოშვების წელი 1994.** სახელმწიფო ნომერი: LAB 004.

**საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს - 500 აშშ დოლარის შესაბამისი კურსი ლარებში დღგ-ს გარეშე.**

- **ბე" -** 100 აშშ დოლარი;
- **ბიჯი" -** 50 (ორმოცდაათი) აშშ დოლარი.

**ლოტი N11:** სარეალიზაციო ქონება - **მერსედეს ბენცი - 200, გამოშვების წელი 1991.** სახელმწიფო ნომერი: UUU 613.

**საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს - 1000 აშშ დოლარის შესაბამისი კურსი ლარებში დღგ-ს გარეშე.**

- **ბე" -** 100 აშშ დოლარი;
- **ბიჯი" -** 50 (ორმოცდაათი) აშშ დოლარი.

- **აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი" - 20 ლარი;**

**- განაცხადების მიღების ადგილი -** აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს 2009 წლის 10 აპრილს დილის 10 საათიდან 2009 წლის 24 აპრილის 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ. აღმაშენებლის N52 (კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის ადმინისტრაციული შენობა). ტელ: 8(293) 7-01-48;

**- აუქციონის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო -** 2009 წლის 24 აპრილი 12:00 სთ. ქ. ფოთი. დ.აღმაშენებლის N52, კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" ადმინისტრაციული შენობა;

**- კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" საბანკო რეკვიზიტები -** საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი - **ა\ა 117253900 კოდი 220101502;** თი-ბი-სი ბანკი" ფოთის ფილიალი **ა/ა 609103 კოდი 220101937;** პროკრედიტ ბანკის" ფოთის ფილიალი - **ა/ა 467177 კოდი 220101920;** ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია" ფოთის ფილიალი **ა/ა 55555 კოდი 220101606.**

- აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს;

- სარეალიზაციო ქონების დათვალიერება შესაძლებელია სამუშაო დღეებში დილის 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, 2009 წლის 10 აპრილიდან 23 აპრილის ჩათვლით, ნავსადგურის ადმინისტრაციაზე მიმართვის საფუძველზე;

- ავტომანქანების გაყიდვის შემდგომ არანაირი პრეტენზია რეალიაზებულ ქონებასთან დაკავშირებით კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" მიერ არ მიიღება.

2. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია სარეალიზაციო ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის გადახდა;

3. აუქციონის შედეგების ოქმის შედგენა, დამტკიცება და ხელშეკრულების დადება - სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგება აუქციონის შედეგების ოქმი, რომელშიც აისახება ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმს ხელს აწერს მყიდველი, მეაუქციონე, კომისიის დამსწრე წევრები და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე. აუქციონის შედეგებზე ხელმოწერის უარის მთქმელ მყიდველს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი ბე" არ უბრუნდება;

- აუქციონის შედეგების ოქმი მტკიცდება კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" გენერალური დირექტორის მიერ აუქციონის ჩატარების მომენტიდან 10 დღის ვადაში;

- აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურთან" გააფორმოს ხელშეკრულება;

- აუქციონში გამარჯვებულს ბე"-ს თანხა ეთვლება ანგარიშსწორების დროს. ყველა დანარჩენ მონაწილეს აუქციონის შედეგების გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, მონაწილის მოთხოვნის საფუძველზე, უბრუნდება შემოტანილი ბე"-ს თანხა.

4. თანხის გადახდის ვადა - მყიდველი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" მომსახურე საბანკო დაწესებულებაში (საბანკო რეკვიზიტების მიხედვით) შეიტანოს ნაღდად ან გადარიცხვით ფულადი თანხა, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს. გადახდა იწარმოებს გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსის შესაბამისად;

- თუ მყიდველი აღნიშნულ ვადაში არ გადაიხდის სარეალიზაციო ქონების თანხას, მას არ მიენიჭება საკუთრების უფლება და შეტანილი ბე" არ უბრუნდება.

5. აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ხელმოწერილი განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, სარეალიზაციო ქონების დასახელებას, რომლის შეძენაც სურს მას, საწყის გასაყიდ ფასს და თანხმობას გამოცხადებული პირობების შესრულებაზე;

- ბეს" და მონაწილის ბილეთის" ფასის გადახდის ქვითარი (გადაიხდება კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" საბანკო რეკვიზიტების მიხედვით);

- აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა ფიზიკური პირის ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის სახელით;

- იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

- სააუქცინო კომისიის მიერ განაცხადის რეგისტრაციისა და მონაწილის ბილეთის" შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

**აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურში", ტელ: 995 293 7-01-15**

**კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურში"**

7 აპრილი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟოO პრეტენზია იამზე გერანტიას, ციცინო გერანტიას, მზია შალამბერიძესა და იაშა მუხვაშიას მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **8 570.57 ლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 16 აპრილს 13:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე იამზე გერანტია, მცხ: ზუგდიდი, გამსახურდიას ქ.N36, ციცინო გერანტია, მცხ: ზუგდიდი, გამსახურდიას ქ.N18/13, მზია შალამბერიძე, მცხ: ზუგდიდი, სოფელი ჭითაწყარო და იაშა მუხვაშია, მცხ: ზუგდიდი, გამსახურდიას ქ.N36.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1**. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მისამართი- ქ. გორი სტალინის გამზირი N16, ს.კოდი 218065910, აცხადებს ტენდერს **ქ. გორში ქუჩების ასფალტის საფარის შეკეთების სამუშაოების შესასყიდად** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2** .შესასყიდი ობიექტის მოკლე დახასიათება**: ა) ქუჩების საფარის შეკეთება ასფალტბეტონით-11304 კვ მეტრი. ბ) საკანალიზაციო ჭების აწევა საპროექტო ნიშნულამდე -39 ცალი.**

**3** სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის განმავლობაში.

**4.** დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება, მოთავსებული დახურულ პაკეტში (შეღწევადობის გარეშე), 2009 წლის 29 აპრილს 10 საათიდან- 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. გორი სტალინის გამზ. N16, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე, მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატში (ოთახი N205).

**5.** საკვალიფიკაციო მომაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისათვის**:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის მიმართ არ გააჩნია დავალიანება;

ე) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექცია).

ვ) ინფორმაციას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მატერიალურ-ტქნიკური ბაზის შესახებ

**ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის მიმართ არ გააჩნია დავალიანება;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექცია).

ე) ინფორმაციას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მატერიალურ-ტქნიკური ბაზის შესახებ

**6.** ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ გამოცხადების დღიდან -2009 წლის 28 აპრილის 17 საათამდე. სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენისას შემდეგ მისამართზე: ქ. გორი სტალინის გამზ. N16, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე, მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატში (ოთახი N205).

**7** სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარი გადარიცხული უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში სახელმწიფო ხაზინა , ს/კოდი - 218035016; ბ/ კოდი 220101222, ანგარიშის N 200122900, სახაზინო კოდი 300433174, სატენდერო მოსაკრებელი.

**8**. პრედენტენტმა უნდა წაროადგინოს ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

**9** პაკეტები გაიხსნება 2009 წლის 29 აპრილს 15 საათზე, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

**10** დაფინანსების წყარო -ადგილობრივი ბიუჯეტი

**11** დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატს: (მურაზ შიოშვილი, ტელ 8 (270) 7-26-31; 895 95 98 91.) შემდეგ მისამართზე: ქ. გორი სტალინის გამზირი N16, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე (ოთახი N205).

**12** შერჩევის დროს პრედენტენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება, გარდა მექანიკური შეცდომებისა და იმ შემთხვევისა როდესაც საჭირო ხდება საკვალიფიკაციო მონაცემის ხელახალი დადასტურება.

**13.** სატენდერო მოსაკრებელის გადახდამდე სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შესაძლებელია

სატენდერო კომისია

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს ქ. ქუთაისში, ორახელაშვილის ქუჩა N8-ში მდებარე ქუთაისის შს საქალაქო სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. ქუთაისი ჯავახიშვილის ქუჩა N12, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. **სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადაა ა/წ 9 აპრილიდან 29 აპრილის 18.00 საათამდე.**

1. **შესყიდვის ობიექტი:**

ქ.ქუთაისში ორახელაშვილის ქუჩა N8-ში მდებარე ქუთაისის შს საქალაქო სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები; (დეფექტური აქტი იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში).

2. სამუშაოს შესრულების ადგილი - ქ. ქუთაისი, ორახელაშვილის ქუჩა N8.

3. სამუშაოს შესრულების ვადაა 2009 წლის 1 ოქტომბრამდე.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **30 აპრილის 11.00 საათიდან 14.00 სათამდე** მისამართზე: ქ. ქუთაისი, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველო, ჯავახიშვილის ქუჩა N12.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

4. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

5. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

6. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

7. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს წინადადების მოქმედების ვადას) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია 2 %-ის ოდენობით.

8. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

9. ტენდერი ჩატარდება 2009 წლის 30 აპრილს 14.00 საათზე მისამართზე: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა N12.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გივი ვაჩიბერაძე, ტელ. 899 69 82 87.

**სატენდერო კომისია**

**1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.**

სსიპ "საფინანსო სააგენტოს" (ამჟამად სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს") მიერ 2009 წლის 7 აპრილს გაზეთ 24 საათში" (N76) გამოქვეყნებულ სააუქციონო განცხადებაში, წიწვოვანი ჯიშის მერქნის ფიცრის რეალიზაციის თაობაზე, შეტანილია ცვლილება, კერძოდ, აუქციონის ჩატარების თარიღად განისაზღვრა 2009 წლის 21 აპრილის 12.00 საათი.

**საკონტაქტო პირები: გიორგი ჩხაიძე, მიხეილ კაკალაშვილი**

**ტელ: 98-93-75**

## განცხადება

ს.ს. "მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ექიმი-ფსიქიატრი გურამ არდაშელია და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ინსტიტუტის
ადმინისტრაცია.

### შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოცხადებული აკუმულატორების შესყიდვის შესახებ ტენდერის დამატება

შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ 2009 წლის 27 მარტს გამოცხადებული იქნა ტენდერი აკუმულატორების შესყიდვის შესახებ.

აღნიშნულ ტენდერში შპს „საქრთველოს რკინიგზა"-ს შეაქვს ცვლილება, კერძოდ მე-2 პუნქტში, შესყიდვის ობიექტში №3 ლოტის სახით დაემატა სტარტერული აკუმულატორები და №4 ლოტის სახით - კი სასიგნალო აკუმულატორები;

საბოლოოდ შესყიდვის ობიექტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

| ლოტი № | საქონლის დასახელება და მახასიათებლები | ერთეული | რაოდ |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | აკუმულატორი (12 ვოლტი - 220 ამპ/სთ) *გარანტია მინიმუმ 1 წელი* | ცალი | 40 |
| | | | |
| 2 | გერმეტიზირებული მჟავიანი აკუმულატორი - 12V, 7.5Ah მაქს. გაბარიტები 151x65x100, კლემის ტიპი - FASTON 4.8 *გარანტია მინიმუმ 1 წელი* | ცალი | 100 |
| | | | |
| 3 | აკუმულატორი სტარტერული 6 სტ-100 *(გარანტია მინიმუმ 1 წელი)* | ცალი | 6 |
| | აკუმულატორი სტარტერული 6 სტ-60 *(გარანტია მინიმუმ 1 წელი)* | | 3 |
| | აკუმულატორი სტარტერული 6 სტ-75 *(გარანტია მინიმუმ 1 წელი)* | | 3 |
| | აკუმულატორი სტარტერული 6 სტ-190 *(გარანტია მინიმუმ 1 წელი)* | | 4 |
| | | | |
| 4 | აკუმულატორი სასიგნალო სსპ-100 *(გარანტია მინიმუმ 1 წელი)* | ცალი | 72 |

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

სატენდერო კომისია